ლიტერატურული გაზეთი

№1 (329) 20 იანვარი - 2 თებერვალი 2023 გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევობით ფასი 80 თეთრი

ვახტანგ კომახიძე

დაღვრილი სუპი

საპყრობილეში ვინ რისთვის ხვდება, ამაზე ლაპარაკი, ერთი მხრივ, შორს წაგვიყვანს და მეორე მხრივ, რა მნიშვნელობა აქვს ამაზე ლაპარაკს, ცხოვრება ხომ ყველგან ცხოვრებაა! უფრო მეტიც, ადამიანებს ყველგან შეუძლიათ, ისეთები იყვნენ, როგორებიც უნდათ. აქ კი უფრო მკაცრი წესებია. აი, ვიღაცას შეიძლება, სხვაგან რამე შეეშალოს, საპყრობილეში კი არაფერი გეპატიება...

სადილი, შეიძლება ითქვას, სიწმინდეა! რა თქმა უნდა, საპყრობილეში ვგულისხმობ, თორემ სხვაგან შეიძლება, ძმრად გადინონ. აქ შეცდომისთვის სულსაც ამოგართმევენ, მაგრამ თავისი კერძი ყველას შეუძლია, შეირგოს, რადგან ეს შენი არსებობის ლუკმაა და თუნდაც ვინმემ მოინდომოს, რომ სიცოცხლე მოგისწრაფოს, შენს ლუკმას მაინც ვერ შეეხება და როცა სასადილოში შედიხარ, მოთმინება უნდა იქონიო, სანამ ყველა თავის წილ ულუფას მიირთმევს. მერე კი შეგიძლია, მონელებაც არ აცალო.

საერთოდ, აქ სიცოცხლეც არ არის ხელშეუხებელი, მაგრამ სხვისი ლუკმით არავინ უნდა დანაყრდეს, ყველას თავისი მოსანელებელი თან უნდა გაატანო. არც შენ უნდა დააკარო თითი და არც ამ საპყრობილის გამჩენს უნდა შეარჩინო სიდამპლეშეპარული კომბოსტოს და კარტოფილისგან მოხარშული კერძის წილი.

ზამთარში, როცა სასადილოში შენი ულუფის რიგში დგახარ, იცი, რომ სიცივეს უნდა შეეწინააღმდეგო, ამ უგემურ კერძს კი შეუძლია, შიგნეული გაგითბოს, სითბოს სიამოვნება გაგრძნობინოს. ერთი მხრივ, გული გერევა, რომ ეს დამპალი კერძი უნდა ჩაგასხმევინონ გამომხმარ კუჭ-ნაწლავში და, მეორე მხრივ, იცი, რომ თუ მას ჯამიდან შენი ნებით არ ამოხვრეპ, თანდათან კბილები დაგცვივდება, სახსრები დაგიუძლურდება და თავის გატანაზე ფიქრიც აზრს დაკარგავს. ამიტომ მშვიდად დგახარ და კერძის რიგს ელოდები.

აი, ამისთვის დგახარ რიგში, სამოთხის კარიბჭის გაღებას კი არ ელოდები! შენი ნებით უნდა ამოგახვრეპინონ გაზინთულ ჯამში ჩაწუმპებული ერთიორი ჩამჩა წვენი. რიგში ჩამწკრივებულები არც ლაპარაკობენ. ამ დროს რაზე უნდა ილაპარაკო და ალბათ ცოფიანივით გამოიყურები. ეს ყველასთვის გასაგებია, არც სისხლი გიდუღს და არც კუჭის წვენი, მაგრამ ამ სიცივეში ყოველ მათგანს უნდა, რომ სუპის ჩამომსხმელს დროულად მიაწოდოს თავისი ჯამი და მანამდე მიაღწიოს სასადილო მაგიდამდე, სანამ წვნიანს სითბო შერჩენია.

რიგში ჩემს წინ ჩეჩენი იდგა. უხუცესებთან მიმავალივით მშვიდად მიუყვებოდა წვნიანის რიგს, მაგრამ კერძი რომ ჩაუსხეს, ისე მოუხერხებლად შემოტრიალდა, ჯამები ერთმანეთს შევაჯახეთ. სუპი მთლიანად დაეღვარა. რა უნდა გვექნა, გავიწ-გამოვიწიეთ, კერძი ზედ რომ არ გადაგვსხმოდა.

ჩეჩენმა სიმშვიდე დაკარგა, შენ მოაჯახე ჩემს კერძს შენი ჯამიო. ბიჭო, მე მგონი, ცოტა აფორიაქდი და ჩემს ჯამს შემოასკდი-მეთქი, ვუპასუხე.

იქნებ შენ აფორიაქდი, მე რა მქონდა ასაფორიაქებელი, უკვე ჩამოსხმული მქონდაო.

ბიჭო, სულ რომ არასოდეს ჩამომისხან ეს დამპალი სუპი, ამის გამო არასოდეს ავფორიაქდებიმეთქი, ასე ვუთხარი.

წავიდა ჩეჩენი თავისი ადგილისკენ ცარიელი ჯამით. იჯდა გულამოყრილი იმათ შორის, სუპს რომ ხვრეპდნენ, მივედი და ვუთხარი, ამ სუპის დაღვრის გამო ნუ გაბოროტდები. აი, ჩემი ჯამი, გამომართვი-მეთქი.

რად მინდა შენი სუპი, მე სხვისი არაფერი მინდა, სხვისი არ შემერგებაო.

ბიჭო, შენ მაგარ სიტყვებს ამბობ და მოდი, შუაზე გავიყოთ, ნახევარს გადმოგისხამ და ამით დავამთავროთ-მეთქი.

III

ბექა ახალაია

დისტრიბუტორი

ბევრგან მიგვაქვს პური, მაგრამ
მე განსაკუთრებით
მიხარია, როცა მოხუცთა სახლებში მიგვაქვს,
თითქოს კეთილ საქმეს ვაკეთებ, თავი მგონია
ქველმოქმედი, რაღაცნაირად ამაყი ვხდები,
გეგონება, ჩემი ჯიბიდან ვაძლევდე... თუმცა,
ზოგჯერ ხდება (როგორც ამ დილით),
თავბედს ვიწყევლი:
ვთქვათ, ვიცი, რომ
ერთგან ცხრა პური გვაქვს მისატანი,
რადგან იქ ცხრა მოხუცი ცხოვრობს,
ვაღებ ფურგონს და

ვიღებ ცხრა პურს,
ვაწვდი მოხუცთა სახლის პერსონალს,
ისინი კი მეუბნებიან სრულიად ცივად —
ისე, თითქოს, პოლიტიკაზე ამბობდნენ რამეს, —
რომ დღეს მხოლოდ რვა პური უნდათ...
მართმევენ, მიაქვთ.
მე კი შიგნით ჩამწყდება რაღაც,
რადგან ეს ნიშნავს,
რომ ერთ-ერთი მოხუცი მოკვდა...
ხდება ხანდახან...
და იმ ერთ პურს დავცქერი,
როგორც ახალშობილ ბავშვს,
რომლის ქვეყნად მოვლინებასაც დედა გადაჰყვა.

IV-V

ეკატერინე ტოგონიძე

მოქმედი პირები:
მთხრობელი
თედო
ქეთი

მოქმედების ადგილები:
კაფე, სახელოსნო

კაფე — მწერალთა სახლის ეზო

მთხრობელი: ბავშვობის მეგობრები, თედო და ქეთი, წლებია, შუადღის ყავაზე მაჩაბლის 13-ში ხვდებიან. მწერალთა სახლის ეზოში მდებარე კაფე ქეთის სამსახურთანაც ახლოსაა და თედოს სახელოსნოსთანაც. ახალგაღვიძებული თედოსთვის ეს საუზმეა, ქეთისთვის — შუადღის წახემსება. მუდამ საქმიანი ქეთი ახლაც ორცხობილას ნაფხვენებს იშორებს ხელებიდან და ჩანთიდან ბლოკნოტს იღებს.

ქეთი: ნახე, რას წერს უმბერტო ეკო, ზუსტად ახლა ვთარგმნი: „ვიყავი საქართველოში და მითხრეს, რომ მათი ეროვნული პოემა, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, შედევრია. მჯერა, მაგრამ მას არასდროს ჰქონია ისეთი რეზონანსი, როგორიც შექსპირის პიესებს!“ — რა სამწუხაროა, არა? წარმოგიდგენია, „ვეფხისტყაოსანი“ ქართულ ენაზე რომ დაიწერა, ამან როგორ შეუზღუდა არეალი, რამდენი მკითხველი დაუკარგა... თან მარტო ენაზეც არაა... აი, მერე ეკო ასე აგრძელებს: „იმ ცნობიერების გამოსამუშავებლად, რომელსაც მსოფლიო მასშტაბის აზროვნება შეუძლია, ქვეყანა უნდა აღმოჩნდეს უდიდესი ისტორიული მოვლენების ცენტრში.“

მთხრობელი: შენელებული თედო ქეთის მიღმა იყურება და მწერალთა სახლის მაღალ მანსარდასა და მზიან ვერანდას შესცქერის, რომელიც „ვილეროი და ბოხის“ კერამიკული ფილებითაა მოპირკეთებული. თედომ იცის, რომ მსგავსი ფორმისა და მოხატულობის ფილები დიდი იშვიათობაა. ეს ხელოვნური ქვა განსაკუთრებული შეკვეთისთვის, განსაკუთრებული მესაკუთრისთვის მზადდებოდა. მსგავსი სტილის კერამიკული ფილები მსოფლიოში სულ რამდენიმე ადგილასაა, მათ შორის კიოლნის ტაძარში და შვეიცარიის აინზიდელნის სააბატოში. არასდროს სწყინდება მწერალთა სახლის ტალღოვანი ფრონტენების, ნაძერწი ნიჟარებისა და მცენარეული ორნამენტების თვალიერება — თბილისური და ევროპული არქიტექტურის შერწყმის ბრწყინვალე მაგალითის ცქერა.

ქეთი: გამოდის, რომ ჩვენი ბრალია... ვერასდროს გავამართლეთ რუსთაველის არსებობა ჩვენს წიაღში, ვერ გავხდით ისეთი საინტერესო ერი, რომ მსოფლიოს გაეცნო და დაეფასებინა რუსთაველი.

XI-XIII

ბოკო ჭიღლაძე

უპირატესობათა სია

ფრაგმენტი მომავალი რომანიდან

ფილმში დრამა უხვად იყო. განსაკუთრებული ყურადღებით ლეა სედუს და ბენისიო დელ ტოროს პერსონაჟებს ვუყურებდი.

— არ მიყვარხარ.

— ვხედავ მომავალს, რომელიც შენ ხარ.

— არ მიყვარხარ.

— ვხედავ მომავალს, რომელიც შენ ხარ.

რას ვაკეთებ, როცა უბედური ვარ? ძირითადად იდიოტურ გამომეტყველებას ვიღებ. და თუ მაინც მეტ სიზუსტეს ითხოვთ, იდიოტურ-ბედნიერს. სუნამომ ვერ გაჭრა, მაგრამ სურნელოვან ერთჯერად ხელსახოცს ვერაფერი მოუხერხა.

— სელპაკია? — მეკითხება და ხარბად ისუნთქავს.

— არა, რაღაც სხვა, არომატიანი.

— თუ დაიჯერებ, კოვიდის მერე ყნოსვა პირველად დამიბრუნდა.

— ვერ წარმოვიდგენდი, თორემ მეტს ვიყიდდი.

ჩემო ბიჭო, ეს რა მოგივიდა, როგორ ვერ იგრძენი ნივთთა წინასწარი საჭიროება, სადაა ნიჭი, რომელიც სიყვარულს თან უნდა ახლდეს, ვერ ვიჯერებ, წინსწრებით არაფერი იცი?

შესაფერის მომენტს ველოდი, რომელიც თურმე მხოლოდ ჩემთვის ყოფილა შესაფერისი, ამიტომ აიცილა სასაცილოდ მომუწული ტუჩები, წამით რომ გასრიალდნენ მის ლოყაზე და მერე კისერი მოიმტვრიეს.

ფილმი დამთავრდა. ბურგერებს ვჭამდით და მთავარი მოქმედებისთვის ვემზადებოდით, სადაც საჭირო არა, მაგრამ აუცილებელი გულახდილობით რამდენიმე ამბავი უნდა მოგვეთხრო, რათა აგვეხსნა ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა, რატომ ვერ ვიცინოდით ხშირად ან რატომ გვინდოდა მაინცდამაინც კონკრეტული ისტორიების მოყოლა. დეპრესიაზე არაფერი მითქვამს, ისედაც ყველა გოგოსთან პირს ვაღებდი პირველი კურსის სასაცილო ფანდებზე, აქ კი მინდოდა, რაღაც სხვანაირად ყოფილიყო ან თავად მე ვყოფილიყავი სხვანაირი ანუ ბუნებრივი.

— ჰო, დაიწყო თუ არა პანდემია, სამეგობრო ჩავწექით. იმის მეტი არაფერი გვიკეთებია, ხო იცი.

— ვხვდები. მეც პირველად მაგ დროს გავსინჯე. სისულელეა, მეგონა, პირად დრამას გადავაგორებდი.

— ოოო, და რა პირადი დრამა? — მეგონა, უკან დილდო ამომდეს. შეშინებული ვჩანდი.

— ერთთან ვიყავი, — მძიმედ დაიწყო და ძლივს გააგრძელა, — სამ წელზე მეტი. ისე გამოვიდა, რომ წავიდა, მე კიდევ ძალა არ მეყო.

პირველი რაც გავიფიქრე, სექსი იყო. ამას ვერსად გავექცეოდი, ადრე თუ გვიან ჩემს გოგოს კისერზე უკბენდნენ, ნერწყვმომდგარ სახეს დაუსველებდნენ და როცა თავს ძალა დავატანე მათზე მეტად უხეში, ცხოველური და მონდომებული ვყოფილიყავი, ჩემი ბიჭი სადღაც სიღრმისკენ გაუჩინარდა, თითქოს თავის ჩამოხრჩობას აპირებს და მის ადგილას სამახსოვროდ საოცნებო ნაპრალს მიტოვებსო. დიდ სურვილს დიდი შიში საწერაოდ აედევნა. უბედური ხარ, ჭეშმარიტად უბედური, სიყვარული კი ისევ არ გტოვებს.

„სარაჯიშვილის“ მეტროსთან ჩამოვედით. ერთმანეთისთვის ის ადგილი უნდა გვენახებინა, სადაც მარტონი მოვდიოდით და წვრილ-წვრილ, შეუჩვეველ დარდებს ვამარცხებდით. თურმე ერთი და იგივე ადგილი გვიგულისხმია. სიგარეტს ერთდროულად მოვუკიდეთ, მოუნდა უფრო გულახდილი ყოფილიყო. მითხრა, აქედან მხოლოდ ჩემით თუ გამოვძვრები და შენი ყველა მცდელობა უფრო მეტ ზიანს მომაყენებსო. ისიც თქვა, რომ ავთვისებიანს ელოდა და კეთილთვისებიანი აღმოჩნდა, კიბო აქეთ-იქით დაძვრებოდა ნაცნობ ხალხს შორის და საკბილო ჯერ ვერ ეპოვა. ჩვენი თავები სხვათა ტრაკში ჯიუტად ჩავრგეთ და დავიწყეთ ერთმანეთის გამოშიგნვა. მარტივია, მარიამის თავი იმ ბიჭუნას უკანალშია, ჩემით კი მის შიგნეულობას ვაწვალებ. როგორი ბუნებრივი და ამაღელვებელია, როცა ვინმეზე ოცნებობ და რა აუტანლად სასირცხვილო და უაზროა სხვისი ინტერესი შენს მიმართ. ერთი გარბის, მეორე ტრიალდება. ჩავეხუტე, ხელები უმოძრაოდ ეკიდა. ბოდიში მოიხადა, ამ ბოლო დროს თურმე ზედმეტად ცივი გამხდარა. ვიცოდი, რა იყო სიმართლე ან ეს დღე მოიტანდა თუ არა რამეს, მაგრამ მინდოდა ყველა დაუჯერებელი სისულელე მერწმუნა იმ ღამეს, მინდოდა და თან როგორ, ვინ იცის.

„რუსთაველისკენ“ გადავინაცვლეთ. მორთავდნენო, მითხრა და სხვა არაფერი მინდოდა, შემეძლო, ქუჩა-ქუჩა მევლო, შევყოლოდი ნებისმიერ ჩიხს, ოღონდაც რამე მომხდარიყო. ესკალატორზე ზედმეტ შეხებებს მოვერიდე. ღამე აუცილებლად დამთავრდებოდა, მანამ მინდოდა რამე მოგვესწრო/მომესწრო, როცა გაუსაძლისად რთული იქნებოდა სახლში კარგი ამბის გარეშე დაბრუნება. მომბეზრდა ტყუილები, მაგრამ ოჯახში კარგა ხანია ისედაც აღარაფერს ვამბობდი ურთიერთობებზე და მათ კითხვებსაც აღარ ვისმენდი. სიახლის გარეშე, ცხვირჩამოშვებული, სახედაღრეჯილი ბიჭი, რომელიც კლავიატურას მწერივით ჩაფრენილა, ეძიებს და ვერ ასრულებს ძიებას, რატომ შეიძლება იყოს უბედური, როცა თავად ასეთი მარტივია.

— მალე დავანებებ, ვყარვარ, — ვთქვი და თითები ცხვირთან მივიტანე. ეწყინა და სამ-ოთხ ნაფაზიანი სიგარეტი გადააგდო.

არ ვიცოდი, რამდენად მალე შევეშვებოდი, მაგრამ ყველა კოცნა ამ უსაზიზღრეს გემოს ატარებდა. ხედავთ? წინ გახედ-

ვაც შემძლებია. იმედიანად ვერ იქნებით, რადგან მარიამისთვის არასდროს შემიცურებია და მთელი ეს ლაყბობა სიგარეტზე მოუნელებელ ტკივილად იქცა. გულს ნუ დაიწყვეტთ, მისი კვამლ-კუპრიანი პირი ზუსტად ისეთივე იქნებოდა, როგორსაც შეგაჩვიეს. ტუჩი საშოზე სწრაფად ათავებს და ყველა იმ თვისებას მალევე კარგავს, რამაც მთელი ეს ამბები წამოგაწყებინა. ამიტომაც ვინაცვლებ სხვა ადგილებში: ლოყა, კისერი, ყბის კუთხე, გულმკერდი, სანამ რამე უფრო სველსა და მოძრავს მიადგები, შენ შესრუტვას რომ ლამობს, მანამ დიდი არჩევანი გაქვს. რა არის საფრთხე? უგვანოდ შეკრეჭილი ბოქვენის თმა, ფეხის სუნი, ფართო არეოლები თუ მოუქნელობა, რა იქნება შემდეგი, რაც დანებებას გადაგაწყვეტინებს, მაგრამ საოცრებავ, მე ისევ ვფხიზლობ, ვდგები, ვმაგრდები, ვმსხვილდები და აქვითინების პირას მყოფი ვცდილობ, გულიანად მიგარჭო, რომ ერთხელ და სამუდამოდ დავინახო ძალა, საწყისი, რაც მამომძრავებს, რადგან ვერ ვამჩნევ და მხოლოდ ვგრძნობ, როგორ ჟონავს ჩემი კანიდან მარცხი, რომელიც ვერ შედგა.

— წამო, ერთი დასალევი ადგილი ვიცი და ახლა მე დაგპატიჟებ.

— კარგი, თუ რამე მეც შემოგეშველები.

— მარა დღეს რა დღეა?

— პარასკევი.

— რატომღაც გამეხარდა, არადა სხვა დღეებიც თავისუფალი მაქვს.

— დღეები გადავაბათ?

— რაო?

— უფრო ახლოს ყოფნა მინდა.

— შეგიძლია ოდესმე სხვანაირად დაიწყო?

— შენ შეგიძლია ოდესმე სხვანაირად დაამთავრო?

შალვა დადიანის ქუჩა. რომელიღაც ნომერი. „მწვანე პასპორტები“ ვაჩვენეთ და შეგვიშვეს. შიგნით მსახიობი გავაძრეთ. მაღალი, აბურდული თმით და წვერით, დაყენებული მზერით, სულ გაოცებას და აღფრთოვანებას რომ გამოხატავს. მარიამს გავხედე, გახედა თუ არა იმ სირს და მერე იმ სირს გავხედე, გახედა თუ არა მარიამს და ისეთს არაფერს ვიზამდი და არც გამოვხატავდი და არც დებოშს მოვაწყობდი, რადგან ეს უკვე ძველმოდურ-ანომალიურ აქტად იქცა დიდი დროა, მხოლოდ თუ მათი მზერა გაერთიანდა მინდოდა ვყოფილიყავი მოწმე და შემეხედა წამით, რომ მარიამის გამომეტყველებაში რამე ნაცნობი დეტალი მეპოვა, სხვა დროს ჩემთან გამოყენებული. უპირატესობის დამტკიცება კვლავ შეუძლებელი იყო. ვერსად დავსხდებოდით. ცოტახნით ბართან დარჩა, მე აივნისკენ დავიძარი. ერთი „საძმო“ მეორეს უტრაკებდა, ისევ ნომრის თხოვნის და დევნის სამყაროში ვიყავით მიკროპენისები, რომ თუ სირს ვერ ვარჭობდით, დანა მაინც შეგვერჭო სადმე. მთავარია, ღრმად და ისე ბრუტალურად, რომ რომელიმე მაგისტრალურ არტერიას პატრონი აღარ ჰყოლოდა და მერე ეხადათ მშობლებს გირაო, რომ დავბრუნებოდი უზენაეს სამყოფელს და სხვა ჰაერი თავში ვერაფერს შეცვლიდა და ვერც ჩავარდნილ საქმეებს ამოვაგდებდი და რა სირიც დავიბადე, იმ სირად დავრჩებოდი საუკუნო შესაძლებლობით, შემეხედა გოგო-ბიჭებში მოსრიალე გოგო-ბიჭისთვის და მეღიარებინა ჩემი მარცხი და ამეღო დანა და წინა ტიპს ტრაკში რომ დავარჭე, ახლა სხვისთვის დამერჭო და მერე მევლო ბარიდან ბარში. ამდენ ნომერს ვერ ვიმახსოვრებ, იქნებ შეწყვიტოთ. დაძაბულობა, უჰაერობა, არაზუსტი სიტყვები და გავიმარჯვეთ:

— წავიდეთ, ბანძი ადგილია, — რა ტკბილია ამის მოსმენა.

— ჰოო? — ვმერყეობ, თითქოს ვერ გადავწყვიტე, თითქოს სექსუალური ენერგია ფიზიკურ ენერგიად აკუმულირდა და თუ ახლა ავიშვი და დავერიე სირუკა მსახიობს და ტიპს, რომელიც თავის ნომერს ვერ იხსენებს და ამიტომაც ის „ბაზარიც“ ფონად გასდევს ჩვენს წარმოსახვით სასიყვარულო ამბავს, დავერიე მოკაჩავე ბიჭს, რომელსაც მამა მფარველობს და ხელისუფალი უფლებას აძლევს ნაქირავებ, უფანჯრო სახლში „აიფონის“ პატრონ ბავშვებს ჩაქუჩით თითები ულეწონ და ეჭვგარეშეა ჩემი სიძლიერე, ამიტომ წავალ.

შეუბრალებლად კაშკაშა და ლამაზი შეიძლება იყოს კადრი, სადაც ერთი მეორეს

ედევნება და გუნდას ესვრის, შეიძლება დაეცნენ, იგორიალონ თოვლში და რამდენიმე ხშირმა ჩასუნთქვა-ამოსუნთქვამ თუ მათ პირი ერთმანეთთან ახლოს მიიტანეს, დაადნოს ფიფქი ტუჩის ზემოთ და ტუჩის ქვემოთ და თავად ტუჩზე არაფერი იყოს, რადგან ხურდეს დაუსრულებლად ერთმანეთის ძებნაში, რომ მთავარი ინსპექტორ-გამომძიებლები ისინი არიან და არც ცხვირით ვყნოსავთ, როცა ვეძებთ და არც ყურებს ვცქვეტთ, როცა ხმის გაგონება გვინდა და არც თვალებს ვატრიალებთ, რომ სადღაც ნაცნობმა სახემ გაირბინოს, რომ მხოლოდ ტუჩია და კადრი სითეთრეში მორბენალი გოგო-ბიჭით, მაღალი ბიჭით, შუაზე გაყოფილი თმით და სათვალით და გოგოც სათვალით, თავისივე ნაქსოვი ფერადი ტანსაცმლით, წელზე ასე კარგად რომ ეკვრის და ყველაფერი, დიდიც, პატარაც ნაბოძებ ფორმაზე უარს იტყოდა, ოღონდაც ეპოვა რამე ეგეთი. ადექი და უმტკიცე ამ ნაბოზარ წყვილს, რომ სიყვარული არ არსებობს.

როცა პროტოტიპებს ვცვლი და სითეთრეში გვერდიგვერდ მე და მარიამი ვდგავართ, ნაკლებ ემოციას ვგრძნობ. ვერასდროს გავირბენ, ვერასდროს შევკრავ იმ დაწყევლილ თოვლის გუნდას და აჭყლოპინებული ვერასდროს ვესვრი მარიამს და თუ მაინც გაგვაბრუეს, ვერ იქნება ისეთი მშვენიერი, როგორც ამბავი იმ წყვილზე.

არეულ-დარეულა და ქვითინში ჩაკარგულა უპირატესობათა სია, რომელიც შეიძლება გქონოდა, სხვადასხვა ტიპს ყვერებით და გონებით რომ არ დაეჭირე. არსად არაფერი წასულა, მთელი ევოლუციური პროდუქტი შენშია. გული გონებას არასდროს დაპირისპირებია, სირუკა კი იდგა ეულად და ყოველივე დაუწუწუნებლად მიჰქონდა.

ომნიპოტენცია: შექმნის კი მიკროსირუკა პასუხისმგებლობათა ისეთ ნაკრებს, რომლის აზიდვასაც ვერ შეძლებს? ყვერებით ყოველ სეზონზე გვიჭერენ: გაზაფხული, ზაფხული, ზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი, მაგრამ გონებით ერთგან ისე გაგვბაწრეს, თითქოს ასოს თავს, ყვერების წვერებზე დამდგარს, ეშაფოტზე სკამი გამოაცალეს და იხეოდა და სკდებოდა და არ იხრწნებოდა საწყალი ხორცი. ოთახში საჭმლის ნარჩენებმა სუნი აუშვეს, სულ ორი დღეა, რაც თეფშზე წვანან. და რაც წლობით დგას და ისევ არ ყარს?

— აი, როგორ შეგიძულებ, იცი? მე სხვა ვარ, რაღაცების ჭამას კარგა ხანია შევეშვი, — არა, იგივე ხარ, უბრალოდ მასკულინობამ შეგანერწყვა და უპროპორციო ლოყებზე წვერად იქცა.

— შენთვის სულერთი არასდროს ვიქნები, შესაბამისად, ვერც შემიძულებ, — ამბობს და შთაბეჭდილების მოსახდენად თვალებში მიყურებს და თქვენი ბიჭიც ეჯაჭვება ორ მოცინარ წერტილს.

სანამ ჩაის დასალევად სადმე შევალთ, ზემო წინადადებაზე მეფიქრება და მინდა, როგორმე სიმშვიდე დავურღვიო, თუ წყეულ აპკს მთლიანობის დაკარგვა არ ემუქრება და რომ დამუქრებოდა, როგორი იქნებოდა ცხოვრება, როგორ მოვიქცევდი მარიამის სახეს, როგორ ვიტირებდი კისერთან, რომ მხოლოდ პოზაა მსგავსი და ეაკულაციას დორბლი სდის და ცრემლები გამქრალა, მაგრამ როცა იმ წყეულ წინადადებაზე ვფიქრობ, შურისძიებასაც აზრი ეკარგება, ისევე როგორც მიზნებს, რომ სადღაც რომელიმე მდიდრულ ქალაქში, წარმატებით სავსე და ძალ-ღონით სავსე სასტუმროს ოთახში ფრანგ გოგოს ვჟიმავ და ვუკითხავ უელბეკის ლექსებს ანდაც საბურთალოზე, ცოლთან და ხუთი წლის ლიზიკოსთან ერთად მივსეირნობ და ცოლის ტრაკი ამაყად ტრაკობს და ჩემი ხელიც ძველებურად ხელობს და მარიამი დაბნეულ-გაწამებული შორეთიდან ჩემ დაბმას ცდილობს და ვუღიმი, თითქოს გამიმარჯვნია და როცა ლიზიკოს სათამაშო გზაჯვარედინზე გორდება, ვუბრუნებ მზრუნველი მამა, შუბლზე ვკოცნი და ბავშვი მიკნავლებული ხმით ამბობს: შენთვის სულერთი არასდროს ვიქნები და ვხროტინებ სიკვდილისწინა შიშით და მინდა, ანკესივით გამოებას ბოლო მზერა რომელიმე მაგარ გოგოს და ყველა გოგოს მარიამის სახე აქვს, როგორც სპაიკ ჯონზის ფილმში და არსებობს მხოლოდ ერთი სიტყვა.

მარიამ, მარიამ, მარიამ.

მარიამ? — მარიამ.

მარიამ, მარიამ — მარიამ, მარიამ.

ვახტანგ კომახიძე

დაღვრილი სუპი

დასაწყისი პირველ გვერდზე

არაო, შენი სუპის ნახევარი არანაირად არ მეკუთვნისო.

მაშინ სუპის ჩამომსხმელთან მივალ, ერთ ჯამს გაიმეტებენ, შენთვის ჩამოვასხმევინებ დაუყვედრებლად-მეთქი.

მე სხვისი დაუყვედრებელიც არაფერი მინდა, მიდი, შენს კერძს მიხედეო.

შენ რა გგონია, მე ახლა დავჯდები, ვუყურებ შენს გამომეტყველებას და თან ამ სუპს შევექცევი! თუ არც გაყოფა გინდა და არც ის, რომ ხელმეორედ ჩამოვასხმევინო, მაშინ დავრჩეთ ორივე უსუპოდ და ამით დავამთავროთ-მეთქი.

რითაც დავამთავრებ, მე ვიციო.

კარგი, ბიჭო, ერთ ულუფა სუპზე ამდენს რა გალაპარაკებს-მეთქი. ჩემი სუპიანი ჯამი იქვე მივუტოვე და გამოვბრუნდი. სად წავიდოდი?! საპყრობილეს ხომ ვერ გავცდებოდი?! კერძიც გაცივდებოდა ამასობაში. ის კი ალბათ ფიქრობდა, რომ რამენაირად სამაგიეროს გადამიხდიდა. ამას ახლა შურისძიების სურვილი არ მოასვენებს, კიდევ უფრო დაიტანჯება; რომ არ გაბოროტებულიყო, კიდევ რა უნდა გამეკეთებინა-მეთქი, ვფიქრობდი, მაგრამ რაღა უნდა მექნა...

იგივე ზამთარი იდგა, როცა კარცერში მომათავსეს. ყველა ტუსაღი, ვინც კი ოდესმე კარცერში გაუმწესებიათ, მუდამ ცდილობს, ზედმიწევნით აღწეროს აქ გატარებული დღეები და განსაცდელები. დაუსრულებლად იხსენებენ საათებს და წუთებსაც კი, რადგან აქ ყოველი წუთი საათივით გრძელია, საათი კი — დღესავით, მაგრამ როცა კარცერში შეჰყავხართ, ჯერ ვერც კი ხვდები, როგორ შეიძლება, ხანგრძლივი თხრობისთვის საკმარისი სიტყვები იპოვო მცირე დერეფნის გარშემო ჩამწკრივებული რამდენიმე რკინის კარის, ვიწრო საკნის და იმ კედლების შესახებ, რომლებიც დაუნდობლობის მასალით ააშენეს. აღსაწერი თითქოს არაფერია, მაგრამ თანდათან საკნის ოთხივე კუთხე სათითაოდ შეგაგრძნობინებს ყველაფერს, აქ შენს დასასჯელად და ყველაფრის კარგად დასამახსოვრებლად რომ დაგახვედრეს.

კარცერში შეყვანისთანავე თბილ ბუშლატს გხდიან და შიდა პიჟამოს ანაბარად გტოვებენ. პიჟამო ისეთი თხელია, რომ ზამთარში გაყინული ბეტონის კედლებს ან ლითონის კარს თუ მიეყრდნობი, ჯერ სიცივე გაგიჯდება მთელს ორგანიზმში, მერე ფილტვების ანთება დაგემართება. ამიტომ უნდა იარო. მხოლოდ სამი ნაბიჯის გადადგმა შეგიძლია, მეოთხეზე უნდა შემობრუნდე. თანდათან ისე ეჩვევი ამ მოძრაობას, რომ შეგიძლია, თვალდახუჭულმა გადადგა ნაბიჯები. დადიხარ, მეოთხე ნაბიჯზე ბრუნდები და ხანდახან თვალის გახელაც გინდება, რომ გადაამოწმო, ხომ ნამდვილად კარცერში მიაბიჯებ, ხომ არ გასცდი მის კედლებს, რადგან ისეთი სიზუსტით გამოგდის მეოთხე ნაბიჯზე შემობრუნება, საკუთარ თავს აღარ ენდობი. შეიძლება, იმის გამოც გინდება თვალის გახელა, რომ თავბრუ გესხმის, რადგან ყოველ მეოთხე ნაბიჯზე მობრუნება ერთსა და იმავე მხარეს გიხდება. რომელი ფეხითაც დაიწყებ მოძრაობას, ყოველ მეოთხე ნაბიჯზე სწორედ იმ მხარეს გიწევს შემობრუნება. ერთ-ერთი მხარე უნდა აირჩიო, რადგან ნაბიჯის მონაცვლეობის შეცვლით მოძრაობის ტემპი დაგივარდება და გრძნობ, რომ ასე სხეულში სითბოს შენარჩუნება გაგიჭირდება.

სიარული ერთადერთი გამოსავალი იმიტომაცაა, რომ კარცერში ფიცრებისგან შეკრული ორი საწოლი ხის დაფა დღის განმავლობაში კედლებზეა აკეცილი და მხოლოდ ძილის წინ ხსნის ზედამხედველი მათ საკეტებს. მხოლოდ საკეტის გახსნის შემდეგ არის შესაძლებელი მისი გადმოშლა, მასზე ჩამოჯდომა და წამოწოლა. თუმცა, ზამთარში ჩამოჯდომაზე აზრიც არ გაგიელვებს, თუკი სიარულის თავი შეგრჩენია. გრძნობ, რომ ტემპერატურა თუ არ შეინარჩუნე, სისხლის მიმოქცევა შეგიწყდება. ღამით კი უფრო მეტი უნდა იარო, რადგან შეუმინავი სარკმლიდან შემოჭრილი სიცივე და ქარი ფერდებში გიჭერს...

რამდენიმე დღის შემდეგ ჩეჩენი შემოიყვანეს, მაშინ უკვე სახსრების ტეხვას ვგრძნობდი. შუადღე იყო და საწოლი დაფის საკეტის გახსნამდე მთელი დღე იყო დარჩენილი. სიარულის შეწყვეტას არც ვაპირებდი. ვგრძნობდი, რომ გაჩერებისთანავე სიცივე მთელ სხეულში გამიჯდებოდა. ჩეჩენს ვუთხარი, სახსრებში მამტვრევს, რომ გავჩერდე, ისეთ მდგომარეობაში შეიძლება აღმოვჩნდე, შენ ვერ მიშველი, დადექი მანდ კუთხეში და მაცალე სიარული. ხანდახან გავჩერდები და მერე შენ იარე-მეთქი. ეს იმიტომ ვუთხარი, ორი ადამიანი კარცერში სივიწროვის გამო ერთმანეთს გვერდს ვერ ავუქცევდით. ბიჭო, მე ორიოდე დღეში გამიშვებენ კარცერიდან და მერე სულ შენ შეგიძლია, იარო-მეთქი.

კიდევ კარგი, ისევ სუპი არ მიჭირავს ხელში, თორემ ისევ დამაღვრევინებდიო, მითხრა ჩეჩენმა.

ვკითხე, ახლა რა უნდა ვქნათ, ისევ დაღვრილ სუპზე უნდა ვილაპარაკოთ-მეთქი.

თუ გინდა, ნამდვილ სითბოზე დაგელაპარაკებიო.

როგორია ნამდვილი სითბო-მეთქი.

ყველაზე ნამდვილი სითბო გოგოებს აქვთ ძუძუებს და ბარძაყებს შორისო. ეს ყველაზე კარგი სამკურნალო სითბოაო. კუთხეში იდგა და სიარულში ხელს არ მიშლიდა. მაგრად ვარ, ყინვაგამძლე ვარო.

საღამოს საწოლის საკეტები გაგვიხსნეს და გადმოვშალეთ. სიარული აღარ შემეძლო. სხვა რა გზა მქონდა, უნდა წამოვწოლილიყავი.

ჩეჩენმა დაიწყო სიარული. ვუთხარი, თუ გინდა გათბე, სწრაფად იარე, ყოველ მეოთხე ნაბიჯზე უნდა შემობრუნდე, რომელი ფეხითაც დაიწყებ სიარულს, იმ მხარეს უნდა მოტრიალდე, რომ მობრუნებისას ნაბიჯი შეწყობილი გამოგივიდეს. რაც მთავარია, სიარულის დროს სუპს არავინ დაგაღვრევინებს-მეთქი. უცებ აითვისა. სწრაფად დადიოდა.

დაიწყო ისევ სითბოზე ლაპარაკი, კინოში ვიყავი ერთხელ, გუდერმესში. ღამის სეანსზე ბიჭები რუს გოგოებთან შესახვედრად დავდიოდით. რუსი გოგოები ფილმის ყურების დროს ხელს მოგაკიდებინებენ ხოლმე ბარძაყებზე. კინოში რომ წავედი, ვფიქრობდი, ვინმე რუსი ან კაზაკი გოგო შემხვდება-მეთქი. მართლაც სკამის გამოტოვებით გოგოები ისხდნენ. რა ფილმი გადიოდა, აღარც მახსოვს. მათ სახეებს ეკრანის სინათლე ანათებდა. ჩემს გვერდით გოგოს ვუყურებდი. მინდოდა, რუსი ან კაზაკი ყოფილიყო. ჩემკენ რომ შემობრუნდა და ასანთი მთხოვა, გავიფიქრე, ნამდვილად გამიმართლა, ეს გოგო ჩეჩენი არ იქნება, პაპიროსის მოწევას აპირებს, გუდერმესის კინოში ამას მხოლოდ რუსი და კაზაკი გოგოები ბედავენ-მეთქი. ასანთი მივაწოდე, იმან კი ერთი ღერი ამოიღო და კბილის ჩიჩქნა დაიწყო. როგორ მინდოდა, სიგარეტისთვის მოეკიდებინა, მის გვერდზე გადავჯდებოდი და ბარძაყებს შორის ხელს ჩამაყოფინებდაო.

ვუთხარი, ვერ ყოფილხარ კარგი ყინვაგამძლე, სითბოზე მოგონებები მოგეძალა-მეთქი.

ჯერ სიარული გააგრძელა, მერე მითხრა, მე ყინვაგამძლე ვარ, შენს გასათბობად დავდივარო. პიჟამო გაიხადა და მომაფარა, დაიძინე, მე სიარულით გავთბებიო.

არ მინდა, ბიჭო, გაიყინები, თან დილამდე მაინც ვერ ივლი და მერე რომ გადამხადო, უფრო ცუდი იქნება-მეთქი.

სანამ შევძლებ, მანამდე ვივლი და დილამდე სიარული რომც ვერ შევძლო, იმდენს მაინც მოვახერხებ, რომ პიჟამო არ გადაგხადოო.

აბა, სუპზე რა დაგემართა-მეთქი.

სუპზე მერე ვილაპარაკოთ, მთელი ცხოვრება არ დამავიწყდებაო.

ხო, რა მნიშვნელობა აქვს, ვინ რატომ ხვდება საპყრობილეში, მაგრამ მაინც ვკითხე, ბიჭო, რისთვის ზიხარ-მეთქი.

იმისთვის ვზივარ, რასაც ყოველთვის ვაკეთებდი და ისევ გავაკეთებო...



ოჯახი

ოჯახია: დედა, მამა და ათი წლის ბიჭი.
დედა — ნაზი, ჩუმი, გულჩვილი, სუყველაფერზე
ცრემლები სდის, სხვა არაფერი არ შეუძლია;
მამა — დინჯი, შვილთან ზედმეტად მკაცრი,
ცოლთან კი
ზომიერად მოსიყვარულე. დისტრიბუტორი;
ბიჭი — ცელქი, თითქმის უზრდელი, იმას არასდროს
არ აკეთებს, რაც მას არ უნდა — უნდათ უფროსებს.

მამა დილით იმაზე ადრე გადის სახლიდან,
ვიდრე დედა გაიღვიძებს და ბიჭს გააღვიძებს,
რომ სკოლისთვის მოამზადოს და კარის მეზობელს
(რომლის ბიჭიც მისაზე არი ზუსტად ერთი წლით
დიდი, ანუ წინა კლასშია, მეექვსე კლასში)
გააყოლოს, შუადღისკენ კი თვითონ წავა და
წამოიყვანს სახლში ორივეს, შეთანხმება აქვთ.

და შინ მოსვლის შემდეგ იწყება მთელი ამბები,
დედას უნდა, ბიჭმა რომ ჭამოს, რადგან, არც დილით
უჭამია, ბიჭი კი საჭმელს პირს არ აკარებს,
რა ქნას დედამ, ჯერ ემუქრება (იღებს ტელეფონს),
რომ დარეკავს მამასთან — მამა ასწავლის ჭკუას,
ბიჭს კი ფეხზე ჰკიდია მისი მუქარა, არ ჭამს.
დედა ტირის, დივანზე ჯდება, რა შეუძლია.

ეს ამბავი როცა ჩაივლის, სხვა დაიწყება:
უკვე დროა, გაკვეთილები რომ მოამზადოს
ბიჭმა, მაგრამ რაღაც თამაშებს თამაშობს, სიტყვაც
კი არ ესმის, ჩაყვინთულია კიბერსივრცეში.
რა ქნას დედამ, ჯერ ემუქრება (იღებს ტელეფონს),
რომ დარეკავს მამასთან — მამა ასწავლის ჭკუას,
ბიჭს კი ფეხზე ჰკიდია მისი მუქარა, იქ ზის.
დედა ტირის, დივანზე ჯდება, რა შეუძლია.

ეს ამბავიც როცა ჩაივლის, სხვა დაიწყება:
ბიჭს ბეზრდება კიბერ თამაში, ახლა ნამდვილი,
რეალური თამაში უნდა, ისმის ეზოდან
ბავშვების ხმა, იწევს კარისკენ, დედა არ უშვებს.
ბიჭი დედას ემუდარება, მუხლებზე დგება,
სულ ცოტა ხნით, ერთი საათით ჩაუშვას, მერე
ამოვა და გაკვეთილებსაც უცებ ისწავლის.
რა ქნას დედამ, დედაა მაინც, უჯერებს, უშვებს.
საათიც და ორი საათიც, სამი საათიც
გადის მაგრამ... ეძახის დედა, ბიჭი უყრუებს...
დედა ტირის, დივანზე ჯდება, რა შეუძლია.

როგორც წესი, დედა ქმარს ამას არ ეუბნება,
მაგრამ, ზოგჯერ, ამოასხამს და ეტყვის ყველაფერს,
ოღონდ მაშინ, როცა ბიჭს სძინავს, რადგან, არ უნდა,
ბიჭი მამამ სცემოს, თუ მამა დააპირებს, რომ
გააღვიძოს, დედა არაფრით არ მისცემს ნებას.
ხოდა, დილით, ბრაზგადავლილზე, აღვიძებს მამა
ბიჭს და მკაცრად აფრთხილებს ხოლმე:
„— ბიჭო, დღეს დედა
არ ატირო, თორე, იცოდე, დედას გიტირებ!“

საწყალი დედა...

ტყვეები

ანაკლიის ნავსადგური. ტყვეთა სადგომი. 1722 წელი

— ყური მიგდე: აქედან ჩიტიც ვერ გაფრინდება.
მოაჩვენე, თითქოს მოტყდი და ბედს შეეგუე,
საამისოდ ჯობია, ჩუმად იჯდე, ჩემ გარდა
ნუღარავის გაუცვლი სიტყვას. ამათი საქმე
ისაა, რომ ჩაწვდნენ შენს ფიქრებს და შენს განზრახვას,
მაშინაც კი, როცა თვალებში არ გიყურებენ.
ჩვენ ჭკუაში უნდა ვაჯობოთ! ვაჯობებთ! მისმენ?!

— მესმის, მამა. დღეში ათასჯერ ხომ მიმეორებ.

— მოიხედე: დაცდა მოგვიწევს. და იქ, იმ წყეულ
ოსმალეთში უფრო მარტივი ყოფილა თურმე
თავის დახსნა. ვიცნობ ერთს, ასე ჩამოაღწია.
რამდენიმე გამოპარულან, მაგრამ ყველამ ვერ
გაძლო გზაში... რთულია, თუმცა — შესაძლებელი...
მან თუ შეძლო... ჩვენგან ერთ-ერთი, როგორმე...
მისმენ?!

— მესმის, მამა, ზეპირად ვიცი, იმდენჯერ გითქვამს.

— იმას ვამბობ, ჩვენგან ერთ-ერთი როგორმე უნდა
ჩამოვიდეს, ჩამოაღწიოს, შენი დები და
დედაშენი უკაცოდ თავს რომ ვერ გაიტანენ,
კარგად იცი. წლები, წლებიც რომ გავიდეს, მაინც
ჩამოვაღწევთ, ღრმად და მკაფიოდ ამოიჭერი
გონებაში! ჩვენი მიზანი ესაა! მისმენ?!

— მესმის, მამა. დღეში ათასჯერ ხომ მიმეორებ.

— შეიძლება, კარგი ცხოვრებაც, თუ გაგიმართლა,
დაგხვდეს იქ და... ფხიზლად იყავი, ეშმაკს არ სძინავს,
ნუ ცდუნდები, შენი ოჯახი არ დაივიწყო,
არც — სამშობლო! შენი სამშობლო! ყოველთვის ასე
არ იქნება!.. ესეც გაივლის, გავუმკლავდებით!..
შევარცხვინე მეფე, რომელიც მშვიდად უყურებს
ამ ყველაფერს!.. სხვა მეფე მოვა, იომებს! მისმენ?!

— მესმის, მამა, ზეპირად ვიცი, იმდენჯერ გითქვამს.

— ჩემი დათვლით, სამი კვირაა, აქა ვართ, მალე,
როგორც ყური მოვკარი ამათ საუბარს, გემი
ჩამოდგება... მართლა, აქამდე არ მითქვამს შენთვის:
ჩემო ბიჭო, ესენი მუცლის ამოსაყორად
რომ სხდებიან აქვე, ჩვენს თვალწინ და ნაირ-ნაირ
საჭმელს ჭამენ, ამით ცდილობენ ჩვენს დამცირებას,
ცდილობენ, რომ ნერწყვები ვყლაპოთ,
ამიტომ, ნერწყვი
თუ მოგადგა, გადმოაფურთხე, არ გადაყლაპო —
ნერწყვის ყლაპვა საკუთარ სულში ჩაფურთხებას ჰგავს
და ნუ იზამ, ამათ ჯინაზე ნუ ჩაიფურთხებ!

საბავშვო მანქანა

გადავსებულ ნაგვის ურნასთან საბავშვო, შავი,
მანქანა დგას, გადასაგდებად გამეტებული,
ძირს დაცვენილ ნაგვის პარკებში, სიბინძურეში,
ისე ბზინავს, თვალებს ვერ მოწყვეტ. პატარა ბიჭი
უტრიალებს, ერთი სული აქვს, მივიდეს, ჩაჯდეს,
მაგრამ იქვე, გაჩერებასთან ვდგავართ და
ტრანსპორტს
ველოდებით, ჩვენი რცხვენია, ახლოს ვერ მიდის,
ისე მესმის მისი, რომ, ალბათ, ვერც წარმოიდგენს —

მეც, მასავით, მთელი ბავშვობა მხოლოდ იმაზე
ვოცნებობდი, ეყიდათ ჩემთვის, აი, ასეთი
მანქანა და წლებიც გავიდა, მორჩა ბავშვობაც,
ოცნება კი ოცნებად დარჩა... ჩემს დროს ასეთებს
სატერფული ამოძრავებდა, ახლა კი, მგონი,
ბატარეით მოძრაობს... მოკლედ, მესმის ამ ბიჭის.
ტანსაცმელზე როგორც ეტყობა, მის ოჯახს ფული
არ გადასდის ნამდვილად თავზე. დგას და უყურებს.
ელოდება, როდის წავალთ, რომ მიირბინოს და,

მოწმეების გარეშე, მშვიდად დაეპატრონოს
ნაოცნებარს... ამასობაში ნაგვის მანქანა
მოვიდა და დაცალეს ურნა, იმ მანქანასაც
ძარის ღრმულში გადაუძახეს... შემეძლო, რამე
რომ მეღონა, მაგრამ, რატომღაც, მეუხერხულა...
დაღვრემილი იდგა ცოტა ხანს ბიჭი, მერე კი
გაზონიდან თავისი რგოლი აიღო — ვითომ
საჭე იყო — დაატრიალა, გაჰყვა ტროტუარს...

ცერებრალური დამბლა

გაგანია ნაბახუსევზე ლუდის საყიდლად
ჩავედი და გზაში წინასწარ ვტკბებოდი იმის
წარმოდგენით, პირველს რომ მოსვამ, მერე მეორეს
მიაყოლებ, მერე — მესამეს, ამასობაში
სისხლძარღვები გიფართოვდება, სასიამოვნო
სითბო გივლის, ჰაერს ნელა და ღრმად ჩაისუნთქავ
და ხვდები, რომ ისევ გადარჩი, მადლიერი ხარ...
მივაღწიე მაღაზიამდე, ის იყო, შიგნით
შევდიოდი, უცებ ხის ძირას მოვკარი თვალი
შვილისტოლა მეზობლის გოგოს, ცერებრალური
დამბლა რომ სჭირს...
მის დანახვაზე ყოველთვის ცრემლი
მაწვება და ვნატრობ, მე მჭირდეს... ხოლო ამ ბავშვმა
ლამაზად და გრაციოზულად უნდა იაროს...
შევედი და უკანასკნელი თხუთმეტი ლარით,
რაც მოვიდა, ტკბილეული და ხილი ვუყიდე.

ხომ შემეძლო, ლუდიც მეყიდა ჩემთვის, პატარა
ქილა თუნდაც, მაგრამ კაპიკიც არ დავიტოვე,
დავისაჯე ამითი თავი, რადგან გასულ წელს,
როცა ისევ შემომიბრუნდა მწვავე ნევროზი,
შემხვდა ერთხელ ეზოში, მე კი ფსიქოტროპული
ტაბლეტებით გაბრუებულმა, ბურანში მყოფმა
და სრულიად უემოციომ ყველაფრის მიმართ,
გვერდით ისე ჩავუარე, რომ არც შემიხედავს.

თამბაქოს გამოშრობა

სამოცდაათს მიუკაკუნებს სულ მალე ხოთო,
მდინარესთან ძალიან ახლოს უდგას სახლი და
ლამის ყოველ ადიდებაზე შინ უვარდება
და უტბორავს ყველაფერს: ეზოს, ყანას თუ ბოსტანს,
ხოთოს მამაც, ბაბუაც და იმ ბაბუის მამაც
იქ ცხოვრობდნენ, ოღონდ მდინარე მაშინ არც ისე
ახლოს იყო, ერთხელ კი, სადღაც, ოცი წლის წინათ,
კალაპოტი შეიცვალა და ხოთოს ეზო-კარს
სახიფათოდ მიუახლოვდა. მთავრობამ დამბა

გაუკეთა, თუმცა, ხანდახან, ისე დიდდება
მდინარე, რომ გადმოსკდება და შედის ხოთოსთან.
ხოთოს ბიჭმა იქვე, ცოტათი შემაღლებულზე
აიშენა ახალი სახლი, ხოდა, ცოლ-შვილით
გადავიდა, ხოთო ვერაფრით დაიყოლია —
ცხოვრობს მარტო ორსართულიან თავის ოდაში,
ხოთოს ცოლი თხუთმეტი წლის წინ გარდაიცვალა.
მწეველია, უსაშველოდ ბევრს ეწევა ხოთო,
სიგარეტი (თუნდაც უფილტრო) ჭირივით სძულს და

თვითონ მოჰყავს თამბაქო შვილის ეზოში, ზევით.
ისეთს ახვევს, ისე მსხვილს, მთელი სოფელი ხუმრობს,
შემთხვევით რომ ფეხი წამოკრა მის გადაგდებულ
ნამწვს, დამთავრდა, დაეცემი და ცხვირს გაიტეხო.
ყველაფერი, ყველა ეტაპი, რაც კი თამბაქოს
შეეხება, უყვარს, დაკრეფს და ააცვამს, მერე
საბჯენიან, კაცის სიმაღლე, ხის ჩარჩოებზე —
ვაგონებზე (ასე ეძახის) — წყებად გაკიდებს
და მზადაა გამოსაშრობად... მდინარის პირას

რცხილები დგას დიდი, ბებერი. დგანან ტოტებით
ერთმანეთზე გადახლართულნი, მათ ქვეშ ყოველთვის
ჩრდილია და სწორედ მათ ჩრდილში დააწყობს ხოლმე
ხოთო თავის ვაგონებს მწკრივად (მზე აწყენს, მზეზე
არ აშრობენ) ყოველ დილით და ისინი ჰგვანან
მატარებელს, რომელიც ძველ და დიდი ხნის წინათ
მიტოვებულ ბოლო სადგურზე დატოვეს, ჯერაც
ახალი და ლამაზი, მწვანე, მაგრამ, თანდათან,
ჟანგი შეჭამს... ხოთო კი იქვე, სკამზე ზის, როგორც

იმ სადგურის დარაჯი და მის მოვალეობას
ახლა მხოლოდ მოგერიება თუ წარმოადგენს
შინაური ცხოველების, თან გაზეთს კითხულობს
ან გასცქერის იქვე, არცთუ შორს, გაღმა ნაპირთან,
მობანავე შვილიშვილებს და მეზობლის ბავშვებს.
დრო და დრო კი, როცა ტკივილი თავს შეახსენებს, —
ამას წინათ როგორც ასწავლა ძველმა ნაცნობმა, —
სოკოიან, დამსკდარ ქუსლებზე კარაქს წაისვამს,
შემოაწყობს ძირკვზე და თავის დამშეულ ძაღლებს
ალოკინებს — ურბილდება და ნაკლებად სტკივა.

დათა

სიცხიანი წევს, ხვალ სკოლაში რო ვერ წავა, იცის,
არ უხარია, რადგან ხვალაც თუ ექნება სიცხე,
გარეთ არავინ არ გაუშვებს, უნდა იწვეს. აბა,
სკოლის გაცდენას რა აზრი აქვს?! ამას ისევ წასვლა
ჯობია, მაგრამ ვინ მოუსმენს. კიდე კაი, კითხვას

არ აძალებენ, აი, ეგ კი იქნებოდა ნაღდად
კოშმარი ყველა კოშმარს შორის. შუქი, ალბათ, ხვალაც
არ მოვა, რაღაც აფეთქდაო, სულ ასეა. როცა
გაიზრდება და ფულს იშოვის, საკუთარი ჰესი
უნდა გამართოს აქვე, ახლოს, მდინარეზე, ხო თქვა

მასწავლებელმა, ფული თუ გაქვს, პატარა ჰესს ყველგან
ააშენებო, ხოდა, როცა ააშენებს, ყველას,
მთელ სოფელს მისცემს უფასო დენს, გაანათებს, ასე
კი არ იქნება, როგორც ახლა — გალეული მთვარის
და ნავთის ლამფის იმედად რო დარჩენილან... მოკლედ,

არ მოვა შუქი, ტელევიზორს ვერ უყურებს, ხვალაც
იგივე: ჩაი. ტაბლეტები. სიცხის ზომვა ხშირად
(გვერდით ოთახში — წნევიანი დიდი ბებოს კვნესა)...
ერთმანეთისგან მეზობლების ჭიშკრების ხმებს არჩევს
და აყურადებს — ერთადერთი გასართობი ეს აქვს.

ბინის გასაღების საკიდი

იმ დღეს დავკარგე (მერამდენედ!) გასაღები, ისევ
გამოვიძახე ხელოსანი, იმდენჯერ მყავს უკვე
ამოყვანილი, კარგად მიცნობს. უხარია, ალბათ,
ასეთი რომ ვარ — ჩემნაირი კლიენტები განა
ბევრი ჰყავს? რაღაც არ მგონია,
ხუთ-ექვს თვეში ერთხელ
გასაღებს ვინმე რომ კარგავდეს. ერთი სიტყვით, ძველი
საკეტი მოხსნა და ახალი დააყენა. საკეტს,

როგორც ყოველთვის, მოჰყვა ოთხი გასაღები, მაგრამ
ოთხივეს თან ხომ ვერ ვატარებ? ერთი დამაქვს, ხოდა,
რომ ვკარგავ ხოლმე, უჯრაშია დანარჩენი სამი...
როცა წავიდა ხელოსანი, მეზობელმა, ყოვლად
ძვირფასმა კაცმა, შემიყვანა თავისთან და ექვსი
თუ შვიდი წლის წინ ტრაგიკულად დაღუპული შვილის

საკიდი მომცა, უფრო სწორედ, იმ ოთხიდან ერთ-ერთ
გასაღებს თვითონ მოარგო და მომცა, ასე აღარ
დაგეკარგება, ძირს დავარდნას გაიგებო... თუმცა
ჩემი ამბავი მე ხომ ვიცი?! შეიძლება, მალე,
საკიდიანად რომ დავკარგო — უსაკიდო დამაქვს.
რომ დამეკარგოს, მერე როგორ გავუსწორო თვალი
იმ საოცარ კაცს —
გულკეთილ და შვილდაკარგულ მამას?!

ბუფეტი

ნაშუადღევის მზე ადგება „დევნილების კორპუსს“...
მის ფანჯარაშიც შემოდის და თხელი ფარდის ჩრდილი
ფიგურებად ჩანს საბანზე და მაგიდაზე... „ცუდი
ავადობა“ სჭირს,
როგორც ერთხელ მეზობელმა სტუმარს
მის დანახვაზე უჩურჩულა. გაეცინა გულში.
ევფემიზმები იქით იყოს, კიბო აქვს და კვდება,
უჩვეულოა მის ასაკში, მაგრამ ზოგჯერ ასეც
არი ხოლმე და, რახან არი... თუმცა, რაღა მასთან?!

წევს და უყურებს დაბალ კორპუსს,
იმ კორპუსის იქით —
უნივერსიტეტს, სადაც წლები იმუშავა, ახლა
მხოლოდ შორიდან უცქერს ხოლმე...
იქვე არი სკოლაც...
ხო, მართლა, დილით, სხვათა შორის,
ცოლმა უთხრა დედას:
თურმე, სკოლაში გაუხსნიათ ბუფეტი და ბავშვებს
აღარ ატანენ სახლებიდან საჭმელს, მაგრამ მათთვის
რა?! სად აქვთ ფული, ბავშვს რომ მისცენ.
არა, არა! ცუდად

არ უთქვამს, ისე, უბრალოდ თქვა...
და მან სუსტად, რაც კი
ძალი და ღონე შერჩენოდა, მოუჭირა საბანს
ორივე ხელი, წამლებისკენ გაიხედა, სკამზე
რომ ეწყო, უცებ მოუნდა, რომ... მოუნდა, რომ... როცა
ბავშვი სკოლიდან მოიყვანეს (მეოთხეში სწავლობს),
უწუწავია, ამიტომაც — ერთიანად სველი,
ჰკითხა ბუფეტზე.
„— არ იდარდო, არავის ვთხოვ, მამა!“ —
თქვა და აკოცა ბავშვმა, მან კი გადაყლაპა ცრემლი!

საქმის გარჩევა

სასაფლაოზე დაიბარეს, წაიყვანა უბნის
ბიჭები, დახვდნენ მათზე ბევრნი.
რა თქმა უნდა, შიშით
კი შეეშინდა, მაგრამ ხო არ შეიმჩნევდა, რაღაც
შიშისმაგვარი თავის ბიჭებსაც შეატყო, თუმცა
სიმართლე იყო მისკენ, ხოდა, დაიმშვიდა თავი,
სხვებსაც შეხედა სათითაოდ, გაამხნევა ყველა
თვალებით. სძულდა გარჩევის წინ მისალმება,
ხელს რომ

ისე გართმევენ, თითქოს იყვნენ მეგობრები, ცოტა
ხანში ის ხელი შეიძლება, დაგარტყან ან, სულაც,
უარესისთვის გაგიმეტონ... ახლაც ზუსტად ასე
მოხდა, საუბრის დაწყებიდან სულ მალევე ჩხუბი
დაიწყეს, დანის ტრიალი და ამბები და დანა
თვითონაც ჰქონდა, დააძრო და მოიქნია, ერთი

დაჭრა, ჩაარტყეს რაღაც მძიმე, გაითიშა, ისევ
მოვიდა გონზე, ძმაკაცები ძირს ეყარნენ, თითქმის
ყველა. მიიხედ-მოიხედა, ვერ იპოვა ვერსად
თავისი დანა, ქვა აიღო, პირველივეს მხარში
ჩაარტყა. იგრძნო, მკლავში დაჭრეს,
მიტრიალდა, ერთი
იდგა და კიდევ აპირებდა, დაასწრო და ის ქვა

სახეში თხლიშა... მარტო დარჩა, ახლა ყველა მისკენ
დაიძრა, აზრი აღარ ჰქონდა, მიბრუნდა და ქვევით
დაეშვა, იქ კი სხვები დახვდნენ, მოიმწყვდიეს ლამის.
ფეხზე ძლივს იდგა, მიხვდა, ვეღარ გაასწრებდა, უცებ
დედის საფლავი გაახსენდა, იქვე იყო, ხოდა,
გაიქცა მისკენ... როგორც მაშინ, ბავშვობაში, როცა
შეაშინებდა ვიღაცა ან რამე ხიფათს გრძნობდა.

გიორგი არჩემაშვილი

* * *

ჩვენში რომ ღმერთის სისხლი ერიოს,
შევამცირებდით კვდომის პერიოდს

და სად ოქროსფერ სხივთა ბადეა,
იქ აღვნიშნავდით ჩვენს დაბადებას,

მაგრამ ხორცის და ძვლების ამ ხროვამ
სულის სიკვდილთან მიგვაახლოვა

და ყალბმა ლოცვამ, ვისთვის ალერსმა,
შიგნიდან დაგვწვა უწინარესად,

რამეთუ ჩვენში ღმერთი არ არის
და მაინც ურცხვად ვავლებთ პარალელს,

თან გვეშინია, თან არ გვეთმობა,
არადა ყველას გვინდა ღმერთობა...

* * *

ვიდრე შენ მეცხრე ჯოჯოხეთს გალევ,
ცეცხლშიც რომ გაზრობს სუსხი ყინვისა,
სულისმიერი განწყობა თვალებს
დაეუფლებათ ზეცის ხილვისას —

იქ, ჭეშმარიტი მმართველი ვინ არს?
რატომ ქმნის სივრცის მიღმა ანკლავებს
ან ცრემლს სულიდან თვალებში მდინარს
ოდესმე მაინც თუ შეაკავებს?..

* * *

ვერშეგრძნებისა და ვერშეხების
ისეთ წარღვნისფერ ნისლში ვეხვევი —
ვისაც სიცოცხლის გზები აებნა,
სული რომ მივცე დასაამებლად
და რომ იმედის უხმო მკვლელებმა
მზე ვერ მომართონ ასაელვებლად,
რამეთუ ღმერთის შექმნილ მარჯნიან
წყლებში არცერთ გულს გაუმარჯვია...

* * *

ჩემი სამშობლო დღეს დგას ყანწებთან
სადარაჯოზე, თანაც ყანწისებრ
ათას სტომაქში ისე ჩაწვება,
რომ ყველა მლოცველს გაანარცისებს...

ისინი წლობით სვამენ დარიშხანს,
შუბლს უგრილებენ სევდის ტოტები,
რომ მათი დარდი არსად გაიშვას,
თავიც დაიხრჩონ თავგამოდებით,
რადგან სულ, თანაც მიწაგაყიდულთ
გულში უარონ ჯავრის ისრებმა
და წყევლასავით იმ ცას აყრიდნენ,
რომლის ქვეშ მიწაც არ ეღირსებათ...

* * *

მცირე ველია, მაგრამ უველეს
სივრცეს ქმნის დროის ცერად ამგები —
იქ ვიხმობ ჩემი სულის მსურველებს,
ბავშვივით ვხტი და ვექომაგები.
ვახასიათებ: ვერ შეძლო მოხრა,
შემუსრა, დაწვა დარდის ხიდები...
ვის გსურთ ეს სული, რომ დაგრჩეთ ოხრად,
რადგან საკუთარს არ უფრთხილდებით?
და ფიქრს, გულივით ნატანჯს და კენჭნილს,
გახარებოდეს რამე, ასე რომ
ჯერაც არ მახსოვს, ტანჯავდა ეჭვი...
და უხარია, მე რომ ვარსებობ!..
ვეტყოდი, მაგრამ... დღემდე თორიან
რაინდებს მარხავს მიწის დინება
და მწვერვალებზე, სადაც თოვლია,
თითები გზაში მოგვეყინება...

* * *

სულიერთაგან სამისა სახისა კაცთა განარჩევენ:
პირველთა კაცთა იხსენიებენ, ვითარცა მპოვნელთა
უფლისასა, თუცაღა ვერშემცნობელთა, გინა ცათა ქუეშე
მობინადრეთა, რომელნიცა ზეცისა მიღმა ვერა ჰხედვი-
ან და სამძღვართა განვრცობასა არაოდენ მოისურვებენ.
შესახელებულთა ამათ ჰყვანდეს უბევრესი ღვთაებაი და
თვითოეული თაყუანსა სცემდეს ოდენ მისმიერსა და უა-
რჰყოფდეს სხუათა და სხუათა ღმერთთა, ხოლო სხუანი-
ცა და სხუანიცა იმავესა იქმოდნნენ მისისა ღვთაებისა
მიმართ. დაღათუ მრავალთა ერთიცა სწამდეთ, იმ ერთ-
საცა ათასადა განიყოფიან და სხუათა იმ ერთისა სხვარი-
გად თაყუანისმცემელთა ესრე რისხავენ, ვითარცა ეშ-
მაკეულთა. ამა კაცთა სახელითა უზენაესისა მრავალგზ-
ის აღიპყრეს მახვილი ხელთა და შემუსრნეს არაოდენ სხ-
უათა ღმერთთა მავედრებელნი, არამედ მეწილენი მათი-
სა უფლისა, რამეთუ არსი ყოველი ჭეშმარიტად ოდენ
ღმერთსა თვისსა და თვისწილ ღმერთსა სცნობდეს. ესე
კაცნი, ამა მიზეზთა გამოისობით, ბევრეულსა მოაკვდი-
ნებდნენ უხსოვარ ჟამთაგან მოაქამომდე და დღესაცა პი-
რთამდე აღივსებიან მოყუასისა სისხლითა და ხორცითა,
ვითარცა ნადირნი სისხლმოწყურებულნი... ოდენ მცირ-
ედნი არიან რჩეულნი რჩეულთა შორისა და ღირსეულნი
ღირსეულთა შორის...

კაცთა მეორეთა ღმერთისა უარმყოფელთა, გინა
ღვთისმგმობელთა უწოდებენ, რამეთუ გზასა ცრუმეც-
ნიერთასა შესდგომიან, ზეცისა მიღმა განუჭვრეტიათ და
მრავალნიცა საოცრებანი მოუხილვიათ. თუმცაღა ეძიე-
ბენ და ვერა ჰპოვებენ კუალსა პირველსაწყისისასა, ოდენ
მჩხიბაობითა საზრდოობენ და გარეშემომყოფთაცა ასაზ-
რდოებენ. საწყალობელთა ამათ არა უწყიან, რომე გონე-
ბაი კაცისაი ვერშეცნობად არს ყოვლისა ხილულისა, გინა
უხილავისა და რაიცა აქამომდე შეუმეცნებიათ უმცირე-
სია არსებულისა. ვითარმედ კაცთა მეორეთა განუზრ-
ახავთ მიწიდამ სხუა ვარსკულავსა ზედა დამკუდრებაი
და უდაბურისა ამისა წალკოტად გარდაქცევაი. ესე საქმე
თივისა ერთი ზვინიდამ მეორეზედ მკალისა გარდახტო-
მასა ჰგავს, თითქორე მკალმან პირველსა ზვინსა ზედა
დიდი და კეთილი საქმენი მოითავა და მეორესა გარდავი-
და...

ხოლო კაცთა მესამეთა მარადჟამს ღმერთის მაძიე-
ბელთა ეძახიან...

* * *

ცოდვათა შორის უმძიმესად კაცნი მოკუდინებასა სთ-
ვლიან, ესრე ჰგიებენ — რამეთუ სიცოცხლისა წარგვრისა
უფლებაი ძეხორციელსა არა აქუნდეს, მხოლოდღა არ-
სთაგამრიგემან განაგოს საქმენი სულისანი და განსაჯოს,
რომელმან რაჟამს დაუტევოს გუამი იგი...

მწარედ სცდებიან ამა შეგონებითა შეპყრობილნი და
არრას იტყვიან უმთავრესისა ცოდვისა გამო, რომელიცა
არს ყოვლისა ბოროტებისა წყაროი: ვითარმედ კაცთა არა
ძალუძმთ ავთა გულისთქმათა მოზღუდვაი, გინა ეშმაკე-
ულთა ჰაზრთა და ზრახუათა ზედა მეუფებაი და დღესა
ერთსა ათასსა ცოდვასა უცილობელად სჩადიან, თით-
ქორე ჭეშმარიტად კეთილთა საქმეთა მოიღებენ. ესე არს
ბუნებაი ადამის ძეთა, აღივსებიან ყოველგვარითა უკე-
თურითა და გარდმოდინდებიან, ვითარცა მდინარენი
ცოფმორეულნი წასალეკად გარეშემომყოფთა და ავთ-
ათვისა სხუათაცა ზრახვასა ჰყოფენ, გინა სიტყვითა, გინა
საქმითა...

ოდეს მოილევენ საქმეთა ბოროტთა, ფარისეველნი სა-
ხლსა უფლისასა სტუმრობენ იმა ცოდვათა მისატევე-
ბლად, რომელთაცა ტაძრიდან გასვლისა შემდგომად
კუალად განამრავლებენ, რამეთუ არა აქუთ გული მოყვა-
სისა სიყვარულისათვის და არცა სული შემოქმედისა თვი-
სისა შესაცნობად...

დაღათუ არა ჰყუანდეთ მართლისა მთქმელი, არცა მა-
მხილებელი, რომელიცა ხმასა აღიმაღლებდა და არქმევ-
და მათ: მოვაჭარნო სულთათვის, ვაჭარნო სულისანო,
განვედინ წმინდისა სახლეულისაგან ამისგან, ვითარცა
ეშმაკეულნი, რომელთა მოქცევაი შეუძლებელ არს!..

ნეფრიტის კრიალოსანი

სამი ფლეიტა, გაცვეთილი წამოსასხამი, ხმლის ნამტვრევი და შუბის ბუნიკი, რომელსაც სისხლის წვეთივით ატყვია ჟანგის ლაქა... მუზარადსა და საბრძოლო სამოსის ნაწილებთან ერთად ბერებს ისინიც ბეჯითად ჩაელაგებინათ რამდენიმე ზარდახშაში. წინამძღვარმა მორიგი ლუსკუმა გახსნა და გაყვითლებული პერგამენტი ამოიღო.

ჟაკ პრევერი ცნობისმოყვარედ დააცქერდა გაუგებარ იეროგლიფებს. ის იაპონურად კი ლაპარაკობდა, მაგრამ კითხვა არ იცოდა.

წინამძღვარმა უთარგმნა:

„გასულ წელს, მესამე თვეს, ასანო ტაკუნიმო კანი, ემზადებოდა რა იმპერატორის წარმომადგენლის დასახვედრად, იძულებული იყო, შეეტია და დაეჭრა ბატონი კოძუკე-ნო-სუკე თავისივე ციხე-დარბაზში, რათა შური ეძია შეურაცხყოფის გამო. რამდენადაც ამით მან შებღალა კერიის სიწმინდე და დაარღვია ყველანაირი წესიერება, მას მიესაჯა სიკვდილი ხარაკირის საშუალებით, ხოლო ქონება და მათ შორის აკოს ციხე-დარბაზი, გადაეცა სახელმწიფოს და მისი ვასალების მიერ განაწილებული იქნა სიოგუნის მიერ ამორჩეულ მეომრებს შორის. ამის შემდეგ მისი ვასალები სხვადასხვა მხარეს გაიფანტნენ. ჩხუბის შემსწრე მაღალი თანამდებობის მოხელეებმა არ დაანებეს ასანო ტაკუნომო კანს, მოეკლა შეურაცხმყოფელი ბატონი კოძუკე-ნო-სუკე. ისე მოხდა, რომ ასანო ტაკუნომო კანი შურის უძიებლად მოკვდა, რასაც ჩვენ, მისი ვასალები, არ დავუშვებდით. შეუძლებელია, იცხოვრო ერთ ჭერქვეშ მამის ან სიუზერენის მკვლელთან. ამიტომ გავბედეთ და ომი გამოვუცხადეთ ესოდენ მაღალი რანგის მოხელეს. დღეს ჩვენ თავს დავესხმით კირა კოძუკე-ნო სუკეს, რათა დავასრულოთ ჩვენი გარდაცვლილი ბატონის დაწყებული საქმე. უმორჩილესად ვთხოვთ იმ ადამიანს, ვინც ჩვენს მკვდარ სხეულებს ნახავს, გახსნას და წაიკითხოს ეს ბარათი.

გენროკუს მეთხუთმეტე წელი, მეთორმეტე თვე.

ხელმოწერა: ოისი კურანოსკე, ასანო ტაკუმო-ნო კანის ვასალი და კიდევ ორმოცდაექვსი სამურაი.“

მეორე დოკუმენტი ხელწერილი იყო:

„1. თავი — ერთი.

2. ქაღალდის გრაგნილი — ერთი.

ვადასტურებთ, რომ ეს ნივთები მივიღეთ

ხელმოწერა:

საიადა მაგობეი (ბეჭედი).

საიტო კუანაი (ბეჭედი).

სენგაკუძის ტაძრის მსახურებს;

მის ყოვლადღირსება სეკისის;

მის ყოვლადღირსება იტიდონს“.

მორიგი ბარათი იტყობინებოდა:

„გენროკუს მეთხუთმეტე წელი, მეთორმეტე თვე, მეთხუთმეტე დღე. ჩვენ, ოისი კურანოსკე და ორმოცდაშვიდი სამურაი, აქ მოვედით, რათა პატივი გვეცა ჩვენი მიცვალებული ბატონის საფლავისათვის და მოხარულები ვართ, სიცოცხლე გავიღოთ მისთვის. უმდაბლესად ვთხოვთ ჩვენი ბატონის უღირსეულეს სულს, მიიღოს ეს მსხვერპლი. გასული წლის მესამე თვის მეთოთხმეტე დღეს ჩვენს კეთილშობილ ბატონს პატივი ჰქონდა თავს დასხმოდა კირა კოძუკე-ნო სუკეს ჩვენთვის უცნობი მიზეზით. ჩვენი კეთილშობილი ბატონი მოკვდა. კოძუკე-ნო სუკე გადარჩა. მართალია, ხელისუფლების ბოლო განკარგულების გამო ჩვენი გადაწყვეტილება არ მოეწონებოდა ჩვენს განსვენებულ ბატონს, მაგრამ გაუწითლებლად ვერ გავიმეორებდით ანდრეზს: „არ იცხოვრო ერთი ცის ქვეშ და არ იაორო მიწაზე მამის ან ბატონის მკვლელთან ერთად,“ ან ჯოჯოხეთიდან სამოთხეში წავდგომოდით მას, სანამ დაწყებულ საქმეს არ დავასრულებდით. ლოდინის თითოეული დღე ჩვენთვის სამ ხანგრძლივ შემოდგომას უდრიდა. ორი დღე თოვლში ვიარეთ და ერთჯერ მეტად ხემსი არ ჩაგვსვლია პირში. ხანმოთეულნი და დაუძლურებულნი, სნეულნი წამოვდექით სარეცლებიდან, რათა სიხარულით გაგვეღო სიცოცხლე ჩვენი ბატონისათვის და თუმცა ხალხი დაგვცინოდა და ფიზიკური უძლურების გამო კალიებს გვადარებდა, ჩვენი შეჩერება არაფერს შეეძლო. გასულ ღამეს სათათბიროდ შევიყარენით, დღეს კი ბატონი კოძუკე-ნო სუკეს თავი თქვენს საფლავზე მოვიტანეთ. ვუბრუნებთ ჩვენს კეთილშობილ ბატონს ამ ხანჯალს, რომლითაც მან ხარაკირი ჩაიტარა და რომლითაც ოისი კურანოსკემ თავი გააგდებინა კოძუკე-ნო სუკეს. თუკი თქვენი კეთილშობილი სული აქ არის, საფლავის ახლოს, გვანიშნეთ, აიღეთ ხანჯალი და ჩაასვით მტრის თავს. დაე ამის შემდეგ თქვენი სიძულვილი მისდამი სამუდამოდ განქარდეს.“

ტაძრის გამოღებული კარიდან ჩანდა ქალაქი ედო, წინ — მინიატურული ბაღი, სადაც მახვილგონივრულად მიმოფანტულ ქვებს შორის ჯუჯა ხეები ხარობდა. ეზოს მარცხნივ, გულმოწყალების ქალღმერთ კვანიმის მოოქროვილი ქანდაკის ქვეშ იყო ორმოცდაშვიდი სამურაისა და მათი ბატონის გამოსახულება. ისინი ხისაგან გამოეკვეთათ, გაელაქათ და სახეები შეეღებათ. სამურაებს ხელთ იარაღი ეჭირათ. სამრეკლოს გვერდით, ბილიკის ახლო, რომელიც ბორცვისაკენ მიემართებოდა, შემოღობილი და გვიმრით დახვიფლული ჭა იყო. ოდნავ მოშორებით იდგა კარავი, სადაც მოხუცი ბუკინისტი წიგნებს, სურათებს და მედალიონებს ჰყიდდა. უფრო მოშორებით, შედარებით მომაღლოდ, ჩანდა ორმოცდაშვიდი საფლავის ფილა, თითოეული მათგანის გვერდით იდგა წყლის დოქი და ეწყო საკმევლის მარცვლები სხეულის მიმტოვებელი სულის დასაშოშმინებლად.

— ამ ჭაში სამურაებმა მტრის მოჭრილი თავი განბანეს, — წინამძღვარმა ხელში ვერცხლის გასაღები შეათამაშა, რომლითაც წეღან ტაძრის კარი გააღო. ისინი ახლა ცეცხლგამძლე ფარდულის წინ იდგნენ. ამ ფარდულში სამურაების იარაღი და სამოსი ინახებოდა, — ამიტომაც ამ ჭიდან წყლის ამოღება არ შეიძლება.

— ისინი სიკვდილით დასაჯეს? — იკითხა ჟაკ პრევერმა.

— სასამართლომ მათ ხარაკირი გადაუწყვიტა, — წინამძღვარმა ბერებს ანიშნა, რელიკვიები ზარდახშებში ჩაებრუნებინათ, — იქნებ გსურთ, სამახსოვროდ რაიმე შეიძინოთ?

— ფლეიტას ვიყიდი.

— რელიკვიები არ იყიდება. შეგიძლიათ, მედალიონი ან სურათი შეიძინოთ.

ერთმანეთს თავის დაკვრით გამოეთხოვნენ და ჟაკ პრევერი კარვისაკენ გაემართა. გამყიდველი ბებრულად დაფაცურდა. ფრანგს უკბილო პირით უღიმოდა და თითით სურათებს უჩვენებდა. სურათებზე სამურაების გმირობა გამოესახათ. ისე ჩანდა, რომ შურისმაძიებელი სამურაები აქაურებისათვის ლამის წმინდანები იყვნენ. „ველური ხალხია,“ — გაიფიქრა პრევერმა და მწვანე ნეფრიტის კრიალოსანი აიღო.

— ისიჰარას კრიალოსანია, — მოესმა ზურგსუკან. პრევერი შებრუნდა და მკერდზე მოწიწებით მკლავებგადაჯვარედინებული, მომღიმარი ბერი დაინახა, — ისიჰარა რონინი იყო, არც ერთმა კლანმა არ მიიღო და ამიტომ ამ საფლავთან ხარაკირი გაიკეთა.

პრევერი წუთით კრიალოსანს დააცქერდა.

— კარგი, ვყიდულობ, — მან კრიალოსანი ჯიბეში ჩაიდო და მოხუცს თითებით ანიშნა. ბერიკაცმა ორი თითი ასწია. პრევერმა ფული მისცა, ერთი მონეტა კი ბერს ჩაუდო ხელში.

— გულმოწყალების ქალღმერთი სიკეთის წილ სიკეთეს მოგიზღავს, — ბერმა მონეტა სახელოში შემალა. მერე შებრუნდა და ფლოსტების ფრატუნით ტაძრისაკენ წავიდა. პრევერიც ეზოს გავლით გაჩერებული ეკიპაჟისაკენ გაემართა, რომელსაც ედოში უნდა წაეყვანა.

მშვიდი, სასიამოვნო დღე იყო. ცაზე აქა-იქ ღრუბლები დაცურავდნენ. ეკიპაჟი ედოს გარეუბანში მიჩაქჩაქებდა და სინგაკუძეს ტაძარიც მალე თვალს მიეფარა. პრევერი ზღვას უცქერდა და ძალაუნებურად სამურაებზე ფიქრობდა. „ველური ხალხია,“ — გაიფიქრა ისევ და შეეცადა ნანახი დაევიწყებინა.

ედოში პრევერი იმ სავაჭრო პარტნიორებს უნდა შეხვედროდა, ვისგანაც აბრეშუმს ყიდულობდა ხოლმე. ამიტომ პირდაპირ ჩაიხანაში მივიდა და საღამომდე იქ იყო. კრიალოსანი გადაავიწყდა და მხოლოდ დაძინებისას გაახსენდა, სასტუმროში, როცა სერთუკი გაიხადა და ჯიბიდან ხელს ნეფრიტის აცმა ამოჰყვა. საწოლის გვერდით ტუმბოზე დადო და დაიძინა. რა ხანი ეძინა, ვერ მიხვდა, მაგრამ ფაჩუნმა გააღვიძა. ფანჯრის ღიობში ვიღაცის ლანდი ჩანდა. „ქურდია,“ — გაიფიქრა პრევერმა და წამოვარდა. იმავე წამს ქურდმაც ისკუპა და ზედ დაახტა. პრევერი შეებრძოლა. კატასავით სხარტი უცნობი ყოველ წამს ხელიდან უსხლტებოდა და პრევერი მიხვდა, რომ ბრძოლას აგებდა. როგორც იქნა, ქურდს ყელში ხელი წაუჭირა და აღარ გაუშვა. ქურდმა სწრაფი ილეთით სცადა თავის დახსნა, მაგრამ პრევერმა ის კედელს მიანარცხა. ტკაცანი გაისმა, გოგრის გასკდომის მსგავსი. ქურდი ძირს დაეცა და აღარ გაინძრა. პრევერი სულს ითქვამდა. მერე ფარანი აანთო. ქურდი მკვდარი იყო. პრევერს ვერ გაეაზრებინა, რომ კაცი შემოაკვდა. ბალიშის ქვეშ ხელი შეჰყო და აბრეშუმის ქისა მოსინჯა. ოქრო აქ იყო, უკლებლივ. ალბათ ვიღაცამ იცოდა, რომ ფული თან ჰქონდა და ქურდი შემოგზავნა. დერეფანი უკვე ხმაურობდა. პრევერმა ჩაიცვა და ოთახიდან გამოვიდა. რამდენიმე მსახურთან ერთად სასტუმროს პატრონი ანთებული ფარნით მისკენ მოდიოდა. პრევერმა მოკლედ უამბო, რაც შეემთხვა.

— პოლიციას უნდა ვაცნობოთ, — სასტუმროს პატრონი სანათს ხელისგულს აფარებდა, თითქოს ჩრდილში დარჩენა სურდა, — ეს ამბავი ხელისუფლებას უნდა მოხსენდეს.

ნახევარი საათის შემდეგ, ვიდრე პრევერი და სასტუმროს პატრონი ისევ დერეფანში იდგნენ და საუბრობდნენ, პოლიციის მოხელე მოვიდა და გვამის მორგში გადასვენება ბრძანა, პრევერს კი საპოლიციო უბანში გაყოლა სთხოვა. პრევერმა ჯერ საფრანგეთის საელჩოსთან დაკავშირება ისურვა.

— ხვალ დილით თანაშემწეს გავგზავნი, — დააიმედა მოხელემ.

— არ წამოვალ, სანამ საელჩოს არ შეატყობინებთ, — დაუჟინა პრევერმა.

— ამ შუაღამისას?

— ვინმე აუცილებლად იქნება, გააღვიძეთ.

მოხელემ რიგით პოლიციელს რაღაც უჩურჩულა და მერე პრევერს მიუბრუნდა:

— საელჩოს წარმომადგენელი საპოლიციო უბანში მოვა. წამომყევით.

პრევერი აღარ შეეწინააღმდეგა. მოხელეს გაჰყვა. პოლიციის განყოფილებაში ის ბამბუკის გალიის მაგვარ საკანში გამოკეტეს და მიატოვეს. უკვე თენდებოდა. პრევერი მიხვდა, რომ მოატყუეს და საელჩოს თანამშრომელი არ მოვიდოდა.

დილით ისევ ნაცნობი მოხელე ეწვია და ვიღაც პირწმინდად გაპარსული, ევროპულად ჩაცმული ტანდაბალი კაცი მოიყოლა, ვინც გამომძიებლად გაეცნო პრევერს.

— ვერ დაგიმალავთ, მუსიე პრევერ, უსიამოვნო ამბავი შეგემთხვათ, — გამომძიებელი ფრანგულად ლაპარაკობდა და ქაღალდზე რაღაცას ჩხაპნიდა აცა-ბაცა, — მინდა გითხრათ, რომ თქვენი მდგომარეობა უიმედოა.

— რაო? ის კაცი ხომ თვითონ დამესხა თავს, ჩემს ოთახში შემოიპარა.

— ფორმალურად იქნებ მართალიც ხართ, თუმცა თქვენს შემთხვევაში სწორედ ფორმალობაა თქვენი უბედურება.

— რას გულისხმობთ? — ჰკითხა პრევერმა, რაკი გამომძიებელი დუმდა და ჩხაპნას არ ეშვებოდა.

— მე რაღაც-რაღაც ცნობები შევაგროვე მოკლულის შესახებ და გაირკვა, რომ ის ედოში ცნობილი ბანდის წევრი იყო. ვერ დაგიმალავთ, საფრთხე გემუქრებათ. აქედან თუ გაგიშვებთ, ვაითუ...

— საელჩოსთან მალაპარაკეთ. ჩემს უსაფრთხოებას ისინი დაიცავენ.

გამომძიებელი ნაჩხაპნს დასცქეროდა. მერე თავი აიღო.

— თქვენ ალბათ, ვერცკი ხვდებით, რა მოხდა! — თქვა თითქოს დანანებით, — მათ ვერაფერი შეაკავებთ, მუსიე პრევერ!

— მოვითხოვ, საელჩოს წარმომადგენელს შემახვედროთ.

გამოძიებელმა თავი გადააქნია და გაიღიმა.

— მინდა, გარიგება შემოგთავაზოთ და ვფიქრობ, თქვენნაირი გონიერი კაცი უმალ მიხვდება ჩემი შემოთავაზების სიკეთეს, — ის კვლავ ჩხაპნას დაუბრუნდა, — საქმეს თუ მსვლელობას მივცემთ, სასამართლომდე ალბათ რამდენიმე კვირა გაივლის. ესეც უკეთეს ვარიანტში. სამხილების შეგროვებას, მოწმეთა დაკითხვას, ფაქტების გადამოწმებას და ლაბორატორიულ ანალიზს დიდი დრო მიაქვს. სასამართლო პროცესი კი უფრო დიდხანს ჭიანურდება. მით უმეტეს, მკვლელობის შემთხვევაში. მანამდე თქვენ წინასწარი პატიმრობის საკანში მოგიწევთ ყოფნა. საელჩოს თავდებით დროებით რომც გაგათავისუფლოთ, ქვეყნიდან მაინც ვერ გახვალთ. ხვდებით, რა მოხდება?!

— რა?

გამომძიებელმა ქვემოდან ამოხედა.

— ამ ხნის განმავლობაში თქვენ დაუცველი იქნებით, მუსიე პრევერ! მერწმუნეთ! საკმარისია მედილეგეს შემთხვევით კარი ღია დარჩეს ანდა საჭმელში საწამლავი შეურიოს... თქვენს მდგომარეობაში მყოფი კაცი არაფრისაგან არის დაზღვეული. ეგეც შესაძლებელია მოკლულის ამხანაგებმა პირდაპირ სასამართლო პროცესის დროს იძიონ შური.

— რას მთავაზობთ?

გამომძიებელმა კალამი დადო და სკამიდან წამოიწია.

— როგორც ვიცი, თქვენ აქ აბრეშუმის საყიდლად დაიარებით. ახლაც დიდი პარ-

ტიის შეძენა გქონდათ განზრახული, ხომ მართალია? — გამომძიებელი პირისპირ შეაცქერდა, — აბრეშუმი თქვენს ქვეყანაში ძვირად ფასობს და ალბათ გვარიან შემოსავალს იძლევა.

— რამდენი? — უკმეხად ჰკითხა პრევერმა.

— ვფიქრობ, ის ქისა საკმარისი იქნება, წუხელ რომ ჩამოგართვეს. სამაგიეროდ, დღესვე შეგიძლიათ ფარულად გაემგზავროთ აქედან, სანამ ბანდის წევრები თქვენს ვინაობას შეიტყობენ.

— გინდათ, შემაშინოთ? მერე რომ ვეღარასოდეს ჩამოვიდე აქ სავაჭროდ! ამით ხომ ქონებას ვკარგავ!

— სიცოცხლეს კი შეინარჩუნებთ. მე თქვენს ადგილას არც დავფიქრდებოდი.

— საელჩოს წარმომადგენელს სანამ არ შემახვედრებთ, არ დაგთანხმდებით.

— ესე იგი, მაინც გსურთ საქმეს მსვლელობა მიეცეს? ნება თქვენია, მუსიე პრევერ, მაგრამ არ გირჩევდით. მოდი, ასე მოვილაპარაკოთ: მე თქვენ აქედან გაგიშვებთ, მერე კი რაც გინდათ, ის ჰქენით, თუნდაც საელჩოში მიდით და მფარველობა ითხოვეთ. ოღონდ მე ნუღარ დამემდურებით. გაითვალისწინეთ, რომ სხვა ქვეყანაში ხართ, აქ სხვა ტრადიციაა...

— ჰო, ვიცი, ბარბაროსული ტრადიცია, — პირქუშად თქვა პრევერმა.

გამომძიებელს ნათქვამი არ სწყენია.

— რა შემიძლია გითხრათ, მუსიე პრევერ? ალბათ, თქვენივე ბედს უნდა მოჰკითხოთ, აქ რომ ხართ... ორ პოლიციელს გამოგაყოლებთ ნავსადგურამდე. იქ კი ნებისმიერ გემზე შეგიძლიათ დაჯდეთ და სამშობლოში გაემგზავროთ.

პრევერი მიხვდა, რომ ხაფანგში გაება და ამ იაპონელ მაკაკას მისი გაძარცვის გეგმაც კარგად მოეფიქრებინა. სწორედ ამიტომ არ აცნობეს საფრანგეთის საელჩოს მისი დაპატიმრების ამბავი, ახლა კი შანტაჟით ცდილობენ, ფული გამოსძალონ! ქისა წუხელ ჩამოართვეს და როგორც ჩანს, ვეღარ დაიბრუნებდა. გამომძიებელს აკი ოქრომ გაუღვიძა ქისის მიტაცების სურვილი! პრევერის გონებაში სწრაფად ბრუნავდა პაწია ბორბალი, რომელსაც თითქოს სიბნელიდან ამოჰქონდა ვარაუდების თუ არგუმენტების ნაფლეთები. ჰო, ჩათრევას ჩაყოლა სჯობს. მერე კი ვნახოთ. მთავარია, აქედან გააღწიოს. ანანებს ამ მაიმახებს თავხედობას! საელჩოში მივა და უჩივლებს. ბორბალი უფრო აჩქარდა და პრევერმაც ვეღარ შეასწრო შინაგანი მზერა წეღანდელი დიალოგის ფრაგმენტს, როცა გამომძიებელმა თავად ურჩია, თუ გინდა, საელჩოს მიაკითხე და საქმე აღძარიო; სხვა დროს ეს რჩევა დააეჭვებდა, მაგრამ ახლა უძილობით გადაღლილს და ნერვიულობით მოქანცულს, გამომძიებლის მზაკვრობა გამოეპარა.

— კარგი, ვიღებ თქვენს წინადადებას. როდის გამიშვებთ?

— დაღამებისას, დღისით სიარული საშიშია.

— იმედია, სამგზავრო ფულს მაინც დამიტოვებთ? — ირონიულად ჰკითხა პრევერმა.

— თქვენ მდიდარი ხართ, პატიოსანი სიტყვა რომ მისცეთ გემის კაპიტანს, სამშობლოში დაუფიქრებლად ჩაგიყვანთ.

— მაგრამ გემი ხომ კაპიტნის საკუთრება არ არის მესიე ე...ე...

— ტანაკავა, — უკარნახა გამომძიებელმა, — ისიჰარა ტანაკავა მქვია. მგზავრობის ხარჯს, აი, ეგ ნეფრიტის კრიალოსანიც აგინაზღაურებთ.

— არა მგონია, რამედ ღირდეს, იაფად ვიყიდე.

— სამაგიეროდ, ძვირად გაყიდით. ოსტატური ნამუშევარია.

საუბარი ამით გათავდა. პრევერმა ბოღმა გულში ჩაიბრუნა და ტანაკავას ისღა ჰკითხა, როგორ აპირებდა საქმის ჩაფარცხვას.

— ეგ მე მომანდეთ, მუსიე პრევერ, მსახურებიცა და სასტუმროს პატრონიც იტყვიან, რომ ის კაცი მაღლა სართულიდან გადმოვარდა და დაიმტვრა. ყველაფერი უბედურ შემთხვევას დაბრალდება.

— მე აქ უამრავმა ადამიანმა მნახა. ამას როგორღა მოევლება?

— ნუ სწუხართ, ეგ არაფერია, ვითომ დაკარგული პასპორტის თაობაზე იყავით პოლიციაში.

პრევერი დადუმდა. ტანაკავას მართლაც უზადოდ მოეფიქრებინა ყველაფერი.

ჰო, ამ აზიელ მაკაკებს ეშმაკობას ვერ დაუწუნებდი.

ტანაკავა წამოდგა და გამოემშვიდობა.

— ალბათ, ვეღარ გნახავთ, მუსიე პრევერ, მშვიდობით!

პრევერმა მძულვარე მზერით გააცილა. პოლიციელმა ის კვლავ გალიაში დააბრუნა და ფლავი და წყალი მოუტანა. პრევერმა ბრინჯი შეჭამა და დაძინება სცადა, მაგრამ ვერ შესძლო. მცირე ხნით ჩასთვლემდა ხოლმე და მერე ისევ მოლოდინი აფხიზლებდა.

შებინდებისას ნაცნობმა მოხელემ გაუღო საკნის კარი. პირადი ნივთები დაუბრუნეს და ორი პოლიციელის თანხლებით პრევერი შენობიდან გამოვიდა. ღამდებოდა. ცაზე ვარსკვლავები კრთოდნენ. პოლიციელებმა ის შემოვლითი გზით წაიყვანეს ნავსადგურისაკენ. პრევერს ზღვის სუნი მოედინა და ქვემოთ ნავებისა თუ ჯონქების მოციმციმე სინათლეებიც დაინახა. უდაბური ბილიკით მიდიოდნენ. კლდის ძირს ტალღები ეტყლაშუნებოდა. მოულოდნელად მცველები მოშორებით შედგნენ და აჩურჩულდნენ. პრევერიც მორჩილად გაჩერდა.

— იარე! — დაუყვირა ერთ-ერთმა პოლიციელმა და თოფი მიუშვირა.

პრევერი დაიძაგრა. მცველების ქცევამ დააეჭვა. ყვირილი რაღაც არაბუნებრივად გაისმა. უნდა გაფრთხილდეს! თუმცა მანამდე მაინც ვერ მიხვდა, რა ჩაეფიქრებინათ პოლიციელებს, სანამ ბილიკის მოსაბრუნს არ მიუახლოვდნენ და ორივემ უკნიდან ხელი არ უბიძგა. პრევერი ბილიკიდან გადაფრინდა. წამის მეასედში, ვიდრე უფსკრულის წიაღში ეშვებოდა, სიკვდილის შიშს არ შეუშფოთებია. ბედად, სერთუკის კალთით კლდიდან ამოზრდილ ბუჩქს გამოედო და ჰაერში გამოეკიდა.

კლდის თავზე ფარანი აციმციმდა. პრევერმა მისკენ გადმოხრილი ლანდები შენიშნა. მცველები დაბლა იყურებოდნენ და ცდილობდნენ, დაენახათ, სად ჩავარდა. პრევერი ცალი ხელით ტოტს მოეჭიდა ფეხის წვერით კი ფრიალო მოსინჯა. ამ ადგილას კლდე ოდნავ შეწეული იყო. პრევერი სერთუკიდან გამოძვრა და ფრიალოს აეკრა. მერე მოშორებით გადაინაცვლა. ზემოთ ციმციმი გაქრა, ეტყობა, პოლიციელები წავიდნენ. პრევერმა კიდევ ცოტა ხანი დაიცადა და ნელა ამოძვრა მაღლა. პოლიციელები მართლა წასულიყვნენ, რადგან ვერ წარმოიდგენდნენ, რომ უფსკრულში ჩავარდნილი ადამიანი გადარჩებოდა. უნდა ეჩქარა. წინ ნავსადგური იყო. პრევერი ცდილობდა, მოესაზრებინა, სად შეეფარებინა თავი: ალბათ, სჯობს, რომელიმე ფრანგულ გემს მიადგეს და დილამდე იქ გაითენოს, მაგრამ უცებ ტანაკავას ცბიერი სახე წამოუტივტივდა და მიხვდა, რომ ნავსადგურში მისვლა არ ივარგებდა — ტანაკავა ხომ პოლიციელებს იქაც ჩაუსაფრებდა! საელჩოს გზაც გადაკეტილი ექნება. პრევერმა მუშტები შეკრა და შეიგინა. მერე შებრუნდა და ბილიკს უკან გაუყვა. ნაპირ-ნაპირ მიდიოდა, რათა გეზი არ დაეკარგა. დაღლილი იყო, მაგრამ ვერ გაჩერდებოდა. სწრაფად მიაბიჯებდა. ქალაქს უნდა გასცლოდა. მხოლოდ ქალაქგარეთ თუ იქნებოდა უხიფათოდ. მალე ედო უკან დარჩა. პრევერი ფიჭვნარს შეერია. აქ შეეძლო მცირე ხნით დაესვენა. უცებ წინ სინათლე შენიშნა. ფიჭვნარიდან გამოვიდა და დაცერებული სახურავი დაინახა. სენგაკუძეს კარიბჭესთან იყო. „მოწყალების ქალღმერთი სიკეთის წილ სიკეთეს მოგიზღავთ!“ — გაახსენდა ბერის დალოცვა. პრევერმა კარიბჭეზე დაარაკუნა. ალაყაფში გამოჭრილი პაწია სარკმელი გაიღო და მეკარის სახე გაილანდა მთვარის შუქზე. პრევერმა ტყუილი უთხრა: აქ გავლისას ეკიპაჟი გამიტყდა და ღამე უბინაოდ დავრჩიო. ისიც ახსენა, რომ გუშინ საქველმოქმედო თანხა შესწირა ქალღმერთ კვანის და კვლავ მზადაა, მადლიერების ნიშნად, რაკი შეიფარებს, ტაძარს ძღვენი მიართვას. მეკარე გაქრა. პრევერი იცდიდა. მერე ალაყაფი მოღიავდა და პრევერმა ნაცნობი ბერი დაინახა, ვინც გუშინ ნეფრიტის კრიალოსანი აყიდვინა. ოღონდ ვინ იცის, ის იყო თუ არა! აქაურები ხომ წვეთი წყალივით ჰგვანან ერთმანეთს. ბერმა თავაზიანი ღიმილით შეიწვია და მდუმარე დერეფანი გაატარა. სტუმარს საერთო დარბაზიდან შეწყობილი ზუნი შეესმა — ალბათ, ბერები ლოცვად იდგნენ, მას კი სულთათანად ჩაესმა ეს ხმა. ბერმა სიოძი გადასწია და პრევერს შესვლა ანიშნა. სენაკი ცარიელი იყო. კუთხეში ფარანი ენთო. იატაკზე ჭილოფი ეგო. ბერის გასვლისთანავე პრევერი ზედ მიწვა და მყისვე ჩაეძინა.

რა ხანი ეძინა, ვერ გაიგო, მაგარამ ფაჩუნმა გააღვიძა. ვიღაც გვერდითი ოთახის სიოძის გაღებას ცდილობდა. დერეფანში ფრთხილი ნაბიჯის ექო, იარაღის ჟღარუნი და ბოხი ხმა ისმოდა. ტანაკავას პოლიციელები! მაინც მოაგნეს! თუ წინამძღვარმა გაგზავნა მათ მოსაყვანად ვინმე?! პრევერი ახლა უკვე საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ტანაკავა არ დაეხსნებოდა. ის თავად იყო ბანდის წევრი და დაღუპული ამხანაგისათვის შურს ეძიებდა, საკნიდან კი იმიტომ გაათავისუფლა, რომ გზად პოლიციელებს კლდეზე გადაეჩეხათ და მისი ფული მიეთვისებინა, და რაკი ეს არ გამოუვიდა, აქ მოსდია და მისი დაპატიმრება უნდა, რათა მერე ისევ სადმე გზაში ძაღლივით ჩაკლან.

ხმაური თითქოს ჭერიდან მოდიოდა. პრევერი სმენად იქცა. სიოძისთან მივიდა და ყური მიადო. გაურკვეველი ბუბუნი სადღაც შორიდან აღწევდა. სიოძი ოდნავ გამოსწია და დერეფანს გახედა. საკვირველია, მაგრამ იქ არავინ იყო. პრევერი მხედველობას არ ენდო. ისინი ალბათ, ტაძრიდან გასასვლელ კარს უკან უდარაჯებენ. გაბედა და დერეფანი სანახევროდ გაიარა. მერე ისევ გაჩერდა. მონასტერში სიჩუმე იყო. პრევერმა გზა ფრთხილად განაგრძო. არავინ შეხვედრია. საოცარია! გასასვლელი კარი ღია იყო და ბაღი ჩანდა. ჯუჯა ხეები კუზიანი ადამიანებივით ჩაზრდოდნენ მიწას.

უცებ ზურგს უკნიდან ნაბიჯების ხმაური, ტალღის ბუბუნის მსგავსი ლაპარაკი და იარაღის ჟღერა წამოვიდა ისევ. პრევერმა ჩაისუნთქა, იღრიალა და ეზოში გავარდა, რათა ხილულ თუ უხილავ მტერს დასტაკებოდა. ბაღში ალალბედზე გარბოდა, თუმცა ერთხელაც არ დასჯახებია მახვილგონივრულად მიმოფანტულ ქვებს, სანამ წინ საფლავის ფილები არ აუჩნდა. მთვარის შუქი ზედ ამოკვეთილ იეროგლიფებს აციმციმებდა. პრევერი წუთით შედგა სულის მოსათქმელად და ორმოცდაექვსი სამურაის ხის ქანდაკებაც დაინახა, მათ ზემოთ კი ქალღმერთ კვანიმის მომღიმარი სახე...

* * *

— მკვდარია, — წინამძღვარი უძრავად გაშეშებულ სხეულს დააცქერდა, — ვფიქრობ, ხელისუფლებას უნდა შევატყობინოთ.

მის გვერდით მდგომი ბერი მოწიწებით მოიხარა წელში.

— მე მგონი, გული გაუსკდა.

— შუაღამისას აქ რა უნდოდა, სეკისი? შენ ხომ ის დასაძინებლად დააბინავე სტუმრებისათვის განკუთვნილ სენაკში?

ბერმა ჩაიმუხლა და საფლავებს შორის მიმოფანტული მარცვლები აკრიფა.

— საკმეველია?

— ნეფრიტი, თქვენო მაღალღირსებავ! გუშინ ამ კაცმა კრიალოსანი იყიდა, რონინ ისიჰავას კუთვნილი ნივთი. თქვენს მაღალღირსებას მოეხსენება, რომ ისიჰავამ აქ, ორმოცდაექვსი სამურაის საფლავზე, ხარაკირი ჩაიტარა.

— მოიცა, სეკისი, გინდა თქვა, რომ...

წინამძღვარი დადუმდა, ბერმა კი ხელში ნეფრიტის მარცვლები მომუჭა და მზერა მარცხნივ, მოწყალების ქალღმერთისაკენ გააპარა. ქალღმერთის შეღებილი სახე თითქოს საზარელს არაფერს გამოხატავდა, პირიქით, მხიარულად იღიმოდა, მაგრამ ბერიცა და წინამძღვარიც ძრწოლამ აიტანა და თავები დახარეს. მერე კი დიდხანს ჩუმად ლოცულობდნენ და ცდილობდნენ, მიწაზე გართხმული მიცვალებულისათვის არ შეეხედათ...

ჟირაფი

კვამლი ჯერ მარცხნივ მიიზოზებოდა (ჩვენგან მარცხნივ), მერე დაიგრიხა და მარჯვნივ გადაიხარა, ბოლოს გასწორდა და წავიდა ზემოთ. ცეცხლს, ეტყობა, სახმილი აკლდა და კვამლიც ხან სუსტდებოდა და მიილეოდა ხოლმე, ხანაც მოძლიერდებოდა და ბოლქვა-ბოლქვა ადიოდა მაღლა და ბევრდებოდა, ღრუბელივით იბერებოდა.

ნაძვის ტოტზე ციყვმა გაირბინა და გირჩი ჩამოუვარდა. კოცონთან წრიულად ვისხედით. მერე ხევიდან კეთროვანი ამოვიდა და გათბობა გვთხოვა. გულ-მოწყალების გამო ცეცხლთან ადგილი კი დავუთმეთ, მაგრამ თავად ჩვენ იქაურობას გავერიდეთ და მოშორებით დავდექით — დასნეულების გვეშინოდა.

— ვინა ხართ? — გვკითხა მან, თან ცეცხლს დამზრალი ხელებით ეფიცხებოდა.

— მონადირეები, ხალიფასათვის მხეცებს ვიჭერთ.

— მერე დაიჭირეთ?

— ჯერ არაფერი, მაგრამ ჟირაფი ვნახეთ...

— ჟირაფი აქ, ტყეში?

— ჰო, ჩვენც კი გაგვიკვირდა, მაგრამ ნამდვილად ის იყო, გრძელკისერა, ზოლიანი...

კეთროვანმა ჩაიქირქილა.

— ჭეშმარიტად, დიდ არს სიმაცთურე კაცთა, თუკი ამ უღრან ტყეში ჟირაფი მოგელანდათ!

— მოგველანდა? დაუფიქრდი, რას ამბობ?! სნეული შენ ხარ და არა ჩვენ. ეგ შენ გელანდება, ვითომ კოცონთან ზიხარ და მონადირეებს ელაპარაკები, მაგრამ ეს მხოლოდ სიზმარია და მეტი არაფერი.

— ვინა ხართ? — ახლა კი უკვე შიშნეულად გვკითხა მან და კეთრისაგან დაჭმული სახე ჩვენსკენ შემოაბრუნა.

— შენი სიზმრის ლანდები, — მივუგეთ ერთხმად, — ვისაც ასევე ესიზმრებათ, რომ კეთროვანს ესაუბრებიან.

ის ცოტა ხანს ჩუმად იყო. ფიქრობდა.

— ჟირაფი? ჟირაფი რატომღა ჩნდება ამ სიზმარში?

— ოო, ჟირაფი ყველაზე დიდი ილუზიაა, — უთხრა ერთმა ჩვენგანმა, — უიმისოდ ხომ სიზმარი არც იქნებოდა და ამიტომაც ბინადრობს ჩრდილოურ ნაძვნარში და ამიტომ არის ზოლიანი, როგორც კეთრის ლაქები შენს ტანზე...

X

ნატალი დარასელია

* * *

როდესაც ფერად ვიტრინებთან ჩავივლი ხოლმე,
ღია ფანჯრიდან გამოძურწულ საუზმის სურნელს
ვისუნთქავ ხარბად, წარმოვიდგენ,
როგორ წვავს ომლეტს
ვიღაც და პურის თხელ ნაჭერზე მურაბას უსმევს.
იღვიძებს ჩემში უცხო ბავშვი, ჩემი სიღრმიდან
მოცოცავს მაღლა, გამოღწევას ცდილობს და ლამობს,
დაუგდოს ყური სხვა ბავშვისთვის ნამღერ სიმღერას
და საკუთარი უზღაპრებო სიყრმე დამალოს.
დამალოს მუხლი, არასდროს რომ უკოცნის დედა,
დამალოს ნერწყვი,
როცა ხედავს სანატრელ ნამცხვრებს,
გაჩერდეს მაშინ, როცა ყველა უფალს მისდევდა,
მოღერებული ორი მუშტით — პატარა მაცნე,
რომელსაც დედა ყოველ დილით ნათხოვარ ქურთუკს,
ნათხოვარ კაბას, სვიტერსა და ბათინკებს აცმევს.
და მიდის ბავშვი, არც კი იცის, რომ გავა წლები
და უფრო მეტი ტკივილი და მეტი შიმშილი,
მეტი გარიყვა, მეტი შფოთვა, მარტოსულობა,
უსურვილობა, უძილობა, მიტოვებლობა
რომ გაუხდება ასატანი და გასაძლები.
მე კი ჩავუვლი ფეხაკრეფით ფერად ვიტრინებს,
ჩავჩურთავ ჩემ ბავშვს ჩემ სიღრმეში,
როგორც თოჯინას
ძველებურ სკივრში, მზის შუქზე რომ ამოვაჯინე.
გამოიქცევა დაგორგლილი საუზმის სუნი,
მურაბის სუნი, დედის თბილი ლოყების სუნი
უცხო სახლიდან, ოთახიდან, უცხო ფანჯრიდან
და მე კი იქვე ჩამოვჯდები, რათა ავტირდე.

* * *

შენთან ქალს მოიყვანენ.
შავი კაბით.
შავი პერანგით.
შავი გეტრებით.
არაფერს გეტყვის, მხოლოდ თვალებით
გადაარჩინო — შეგევედრება.
შენთან ქალს მოიყვანენ.
ოდესღაც ამავე
ქალაქში ამ ქალმა
შვილის ცხედარი ჩაიხუტა გულში
და სახლში
ჩამოასვენა.
ქალი იხსენებს ამ შემზარავ ფაქტს
და გულის სიღრმეს ეჭვით ისერავს —
შენთან კი არა, სიკვდილთან მიიყვანენ.
ქალია ცხოვრებისგან გარიყული.
შვილების გულიდან გაურიყავი.
ფრთხილად იყავი!
ამ ქალს შვილი
ისე ჩაგაბარებს,
თითქოს შენ იყო მომაკვდავი ქალის შვილი
და თავად ექიმი იყოს.
ნუ შეგაშინებს სიღარიბის მძაფრი სურნელი
(შვილისთვის მწიფე ასკილების სუნია უფრო),
ნუ შეგაშინებს შერჩენილი ხელზე მიწა
(შვილისთვის ცხელი პური არის იმ მიწის ორთქლი).
ქალს მოგიყვანენ ჩიტივით მსუბუქს.
უბუმბულ-უფრთოს.
ქალს მოგიყვანენ.
ტკივილის მოთქმას.
როცა დაწვება შენს წინაშე,
როცა წამლები
შორს წაიყვანენ,
უგრძნობ სივრცის მკლავზე დაარწევ,
როცა მის ფიქრებს თეთრ სუდარას ჩააცმევს ნისლი.
ფრთხილად იყავი! ნუ გაწირავ!
დედაა ისიც,
ვიღაცის დედა!
ფრთხილად გაჭერი.
ფრთხილად შეეხე.
ძუძუს დვრილები არ შეშფოთდნენ.
და ამ დვრილებზე
ჩემი ბავშვობის წვანან ჭინკები,
წვანან ლამები.
მე ერთი ვიცი დანამდვილებით —
გაჩერებული გულიც კი უცემს
ძველი ციმციმით და გამალებით.
შენ ღმერთკაცივით გიყურებენ უცხო თვალები.
შენ ღმერთკაცივით გაბარია უცხო ხორცი და
უცხო სხეული.
სანამ გაწმინდავ ბეტადინით...
საცა იქნება
ძვალი და რბილი ერთურთს მოცილდეს.
ესმოდეს შენს ყურს, ამ ოთახის მიღმა რაც ხდება.
ვიღაცა ბორგავს.
ვიღაც კვნესის.
ვიღაც ფითრდება.
თუ შენ სხვის დედას ვერ გადაარჩენ,
ის სხვაც მოკვდება.
დაიმტვრევა,
გადაფრინდება,
იმ ოთახიდან, სადაც ახლა შენ და დედა ხართ.
და სხვა ექთნები.
ექიმები.
ხელსაწყოები.
შენთან ქალს მოიყვანენ.
და შენი ხელებით
სულ სხვა ცხოვრება ეწყალობება.
რადგან ზღაპრებით არ შენდება მისი ცხოვრება,
რადგანაც წლებით დახუნძლულ ხურჯინს
მიათრევს, მიაქვს.
ის სიმსუბუქით შეედრება
სიოს და ნიავს.
მის ყოფას რადგან ვერ გაძლების სახელი ქვია,
იმიტომ არის შავი კაბით.
შავი პერანგით.
შავი გეტრებით.
დრომ შეაჩვია წყლის ჩაგუბებას
და უხმო არის მისი მუდარა, მისი ვედრება
და ხმაზე მეტის თქმა ისწავლა თვალის გუგებით.
ხშირად დუმდა და ხშირად უგებდნენ,
როგორ ტკიოდა და არ ჩიოდა.
ახლა ის არის. ღმერთისსულა და ქირურგები,
რათა გადარჩეს.
ფრთხილად იყავი.
ცხოვრებისგან გარიყულიც კი
შვილთა გულებში რჩება მუდამ გაურიყავი.
სანამ გაკერავ,
გახერხილ ძვლებს სანამ აკინძავ,
სხვათა ყოფნაც კი
გამოკრულია აღსასრულის მძიმე საკიდზე.
და მაინც შეძლებ!
გაჩერებულ გულს და გონებას
აამუშავებ.
(თვალს რომ გაახელს შავკაბა ქალი
იტყვის:
— უფალო, ამ სიცოცხლეს ვავნე კი რამე?
ან ჩემ ანგელოზს რა დავუშავე?),
პასუხსაც უმალ იპოვის თვითონ
ჩიტზე მსუბუქი, ღვთისსულა ქალი.
გადარჩა უკვე.
გადარჩა, რადგან
ბოროტისაგან იზღუდა თვალი.
და ნუ მოჰყვები, ნუ ეტყვი, რომ ნაცვლად სისხლისა
შავი ჭვარტლით და ფერფლით ჰქონდა ძარღვები სავსე
და რომ იმედი ვერ იპოვე მასში მისხალი,
რომ შენც კი (მრავლის მნახველ ექიმსაც)
ჩამოგეთრთვილა ცრემლებით სახე.
ნუ, ნუ გაამხელ იმ საყდარზე,
გულში რომ აგო,
ნურცერთ სულიერს ნუ მოუყვები,
საყდრის კედლებზე
მკვდარი შვილი რომ მოაფრესკავა.
საშიში არის.
და სარისკოა.
ის გაგიღიმებს და ამ ღიმილით მადლობას გეტყვის.
მადლობას ისეთს,
თითქოს ლოდები
დაუხვდა ციდან
ნაუცბათევად
მოვარდნილ სეტყვას.
შენთან სხვა ბევრ ქალს მოიყვანენ.
შენთან კაცებსაც მოიყვანენ.
შენთან სიკვდილსაც მოიყვანენ.
სიკვდილ-სიცოცხლის დავას.
მრავალს უშველო, დაე!
მრავალი იხსნა, დაე!

გათვლა

ითვლი.
შენი თვალების მიღმა ცაა,
სადაც ჩიტებმა ფრენა ვერ შეძლეს.
შენს ცრემლში ბევრი ჭაობია,
სადაც ბაყაყები ვერ მრავლდებიან.
შენი გული ახლა გრდემლია, სადაც შიში,
როგორც უზარმაზარი მახვილი,
მორიგი პანიკური შეტევით იჭედება.
ერთი.
ორი.
სამი.
ოთხ...
ყელში გებჯინება
სამი დღის წინ მირთმეული უღიმღამო ვახშამი,
რომელიც მკვდრეთით აღადგინა შენმა გონებამ
და ამ აღდგომით შენს გონებას კიდევ მორიგი
აკვიატება ისე შეერწყა და გამოება,
რომ სადაცაა აღებინებ.
შენ, საზოგადოებისთვის საშიშო დამნაშავევ!
ბრალად გედება თავშეყრის ადგილას რწყევა.
სასჯელი, შერცხვენა და შეჩვენება.
დაცინვა და გაქილიკება.
ერთი.
ორი.
სამი.
ოთხ...
სასწრაფო დახმარების ლურჯ-წითელა ციმციმა და
მწვანეხალათიანი ექიმები მოვიდნენ.
ჩვეულებრივი დღე.
ჩვეულებრივი ამბით.
ხალხში, სადაც არავინ გიცნობს და
მაინც ნაცნობივით გაბიჯებს.
გადალახული სიგიჟის ზღვარი და დამბალ ტანზე,
დაშლილ ტანზე ამოყურყუმელავებული რეალობა:
ორი ავადმყოფი სახლში.
უიატაკო ოთახი.
უიღბლო სასიყვარულო ურთიერთობები.
ფეხებზე თმა
და სახეზე პიგმენტური ლაქა.
სწორედაც რომ, ამის განსახილველი დროა,
როცა შენი ქალაქის რომელიღაცა ქუჩის
მოსაცდელთან დგახარ აკანკალებული,
მტვრიანი ბოტასებით, გაურეცხავი ჯინსებით
და შენს საშველად მოსულ ექიმს ეზიზღები სწორედ ისე,
როგორც იმ ექიმს, ვინც გიყვარდა.
ყველა თავისი საზრუნავით.
ყველა თავისი ნაჭუჭიდან გათვალიერებს,
როგორც საფრთხეს,
შენ თავზე შავი გვირგვინი გადევს თეთრი წარწერით:
„ფობიის მონა“.
თვალებში მიღებული მედიკამენტების
ფასები გითამაშებს,
როგორც ფულს დახარბებულ ბანკირს.
შენ ახლა ისე ცუდადა ხარ, რომ გინდა სახლი.
გინდა დედა, გინდა საყვარელი.
შენ ახლა გინდა გინდა.
შენი ხსოვნიდან იწყებენ გაუჩინარებას ადგილები,
სახელები, მანძილისა და დროის აღქმა
და შენ ჰაერს გამოკიდებული დგახარ
ყველაფრის პირისპირ.
ვინმე მოვა და გადაგარჩენს.
შენ ვიქტორინაში მონაწილეობ და კითხვას,
რომლის პასუხიც არ იცი,
უნდა უპასუხო მეგობრის დახმარებით.
მეგობარი ნომერი 1 — არ არსებობს.
მეგობარი ნომერი 2 — ადრე თხოვე და
არც კი გიპასუხა.
მეგობარი ნომერი 3 — გპასუხობს, რომ არ სცალია.
მეგობარი ნომერი 4...
მეგობარი.
მეგობარ.
მეგობა.
მეგობ.
მეგო.
მეგ.
მე.
მეგონა.
სასოწარკვეთილების აქტი.
იმედგაცრუების აქტი.
გამოსავლის ძიება.
სიკვდილი?
მხოლოდ უკიდურესობისთვის.
შემიყვარე.
შეძელი.
მიალიცლიცებ შუშის თვალებს მორიგ თერაპევტს,
მორიგ ფსიქოლოგს, მორიგ ფსიქიატრს,
რომელსაც რა გჭირს — სრულებითაც ვერ გაუგია —
შენ კი, რას ეძებ ან რა გინდა, ვერ აღგიქვია —
ამ მედიკოსთა სათაო ოფისში,
სადაც სიცოცხლე თანხობრივად იჭრება.
ჩაფუშული ხარ.
დგახარ კოჭამდე ჩაშლილი საკუთარ კანში
და გადაწეული ტერფის კიდიდან უყურებ გამვლელებს.
გამოჩნდა ვიღაც.
მოდის.
გაგიცნობს.

ერთი თვის შემდეგ:
მე აგორაფობია მაქვს და
საშინლად მეშინია გულისრევის.
მე შეიძლება, მგზავრობისას გული ამერიოს.
— ნახვამდის!
უბრუნდები კოჭებს. ისევ გაჰყურებ არემარეს.
გამოჩნდა ვიღაც.
მოდის.
გაგიცნობს.
ერთი თვის შემდეგ:
მე დეპრესია მაქვს. თვითმკვლელობის სურვილი
მიღრღნის შიგნეულობას.
მიშველე.
— ნახვამდის!
ბავშვი ხარ.
ჯდები ფეხმორთხმული შენს ვიწრო კანში,
სათამაშოებით დახუნძლული.
ბუშტები წარწერებით:
— გაგივლის!
— თავი ხელში აიყვანე!
— ჰაჰაა!
— საცოდავი!
— შეშლილი!
— სამყაროს მხოლოდ ძლიერები სურს!
— შენთვის ვის სცალია?
თითებს ლოღნი. შენ ჯერ კიდევ არ იცი კითხვა.
წარწერები კი ბუშტებია, რომელიც გართობს
და როცა შენი ძუძუს ბოლოში
საკუთარ ბავშვობას უყურებ მშობელივით,
ცრემლები წაგსკდება თვალებიდან,
წუხხარ და ტკივილში ყვინთაობ.
შენ ვერასოდეს უშველი შენს შვილს,
რადგან შენც ვერ გიშველა დედამ,
ვერც მასწავლებელმა, ლექტორმა, მეგობარმა,
დედობილმა, შეყვარებულმა,
არასამთავრობოების წევრმა, ფემინისტმა,
ხელისუფალმა თუ ოპოზიციონერმა.
შენ შენი საგიჟეთი ხარ.
თეთრი ხალათით, დიდი ნემსით და
ოცნებებით აკინძული ელექტროშოკით
ჩამოუვლი საკუთარ შიშებს, ყოველ საღამოს,
ბრძოლისა და სიკვდილის შემდეგ და
შლი გონებას.
მხოლოდ დროებით, პატივსაცემო შიშების მონავ!
მხოლოდ მომდევნო შეტევამდე.
ხმამაღლა არ თქვა.
საშიში ხარ.
სასაცილო ხარ.
როგორ აუხსნი ნორმალურ ხალხს,
რომ შენს სამოთხეს
უნიტაზის ფერი და ფორმა აქვს?!
და რომ როდესაც შენსა და საზოგადოებრივ
საპირფარეშოს შორის მანძილი მატულობს,
შფოთვას იწყებ.
როგორ აუხსნი ნორმალურ ხალხს,
რომ ცოცხლად ტირი მას,
ვინც ჯერ ისევ ცოცხალია,
მაგრამ შენ მარხავ და წარმოიდგენ,
როგორ გტკივა.
როგორ აუხსნი შენს სიგამხდრეს,
გამქრალ ძუძუებს,
როცა საჭმელს ინტოქსიკაციის შიშით არ ჭამ,
რომ გეშინია, არ არწყიო და ეს სიტყვაც კი
სირცხვილია ნორმალურთათვის?
როგორ აუხსნი მგზავრობისას ატკიებულ მუცელს,
რომელიც არასდროს იშლება?
სირცხვილია.
სირცხვილია.
სირცხვილია.
შენი ჯერ ისევ გადაუშლელი ფეხები,
რადგან სხვის ჭერქვეშ, სახლიდან შორს,
ვინმესთან ერთად ყოფნისას,
პანიკური შეტევით მოცულ სხეულს ვერ იმორჩილებ,
ვერ ადუნებ...
როგორ აუხსნი იმ კაცებს,
რომლებიც სიყვარულს გეფიცებიან,
რომ შენ ისე ავად ხარ, იმდენად ავად,
რომ მხოლოდ სიყვარულით შეიძლება შენი ატანა,
როცა მათი სიყვარული ჰაერია და წყალია და
ცეცხლია და მიწაა,
მაგრამ არა შენთვის?
და მაინც... გარეთ გაზაფხულია.
ბაყაყების გაბმულ ყიყინში
შენი ტკივილი იკარგება.
თითქოს სულაც არა ხარ მარტო.
თითქოს სრულიად მარტო არ მარხავ საკუთარ დღეებს,
დუბლირებულს, ერთნაირს...
თითქოს რამე შეიცვლებოდეს იმ თეთრი აბებით,
რომლებსაც ყლაპავ ყოველ დილით და საღამოს
და ჯერ ისევ ვერავის აჯერებ,
რომ შენი ცუდად ყოფნა ისეთივე ლოგიკური და
ნორმალურია,
როგორც გასტრიტი, გრიპი, სიმსივნე
ან რაღაც მსგავსი.
სირცხვილია.
სირცხვილია.
სირცხვილია, როცა საფრთხე შენი თავისთვის ხარ და
სხვებს აშინებ.

ნინო კაკაჩია

შემოდგომის არილი

გარეთ ოქტომბერია...
მალე ფოთოლცვენები
ბაღებს მოედებიან,
როგორც მომლოცველები.

ეზოს მოაწყდებიან
ჭილყვავების გუნდები...
ხმებიც დაირხევიან,
რომ ერთმანეთს ვუხდებით...

ქალაქს მხრებით მზე მიაქვს
და ნაგლეჯი ღრუბლების...
შენ მზეც ხარ და მეტიც ხარ,
როცა სახლში ბრუნდები.

„ზამთრის თამაშები“

გაიძურწნენ დღეები...
გარეთ არის გნიასი
ბავშვების და დედების.
ქრის ნოტიო ნიავი;
მოაქვს იასამნების
სველი, სველი სურნელი...
რატომ არ მესალმები?!
აღარ მესაუბრები?!
წვიმა უხვად არიგებს
ვიოლინოს აკორდებს.
მახსოვს, როგორ დამცინე,
პირველად რომ გაკოცე.
ქრის ნოტიო ნიავი,
ზამთრის თავშესაქცევი.
გარეთ არის გნიასი...
ხმაურობენ ბავშვები....



მარტის არტი

ცას საცაა წვიმისფერი წასკდეს ცრემლი.

ცა სავსეა იეროგლიფებით...

დაგეშილი და შეშლილი დამდევს მარტი,
უდღეური, როგორც ლირი... ვატერლოო...

ჩანს ბიგელის სწორი ხაზი. აბსტრაქცია...
თავს მახსენებს ჩემი ქორონიკონი...
ტანზე ახლა არაფერი არ მაცვია
გარდა შენი ბუტაფორი მინორის...

ვარ შეშლილი მარტის მრევლი. ფანტაზია

უბორკილო ამინდის და ღმერთის...
ჩანს ბიგელის შორი ხაზი. აბსტრაქცია.

ცა სავსეა იეროგლიფებით...

ქარის რეჩიტატივი

გადავიარე უღელტეხილი,
ახლა სხვა ქარი წამომეწია,
ვარ ზამთრის ჩიტი, გულგატეხილი
და შეწირული იღუმენია...

დგას ჩემი სახლი, ნავსაყუდელი
ათასი ფიქრის და მოკრძალების.
მივდივარ, ვტოვებ, არ დავბრუნდები
აღარც სურვილით, არც დაძალებით.

ვარ აშვებული, თავისუფალი,
გარკვეულია, სად ვარ და ვინ ვარ...
ზამთარი, დარდის ჭირისუფალი,
ბავშვივით დამდევს, მთოშავს და მყინავს.

ღმერთო, რა ძნელი ასატანია!
ღმერთო, რა ძნელი მოსასმენია...
ვარ შეწირული იღუმენია,
ვარ შეწირული იღუმენია...

ქალაქი ჩემი — მარიუპოლი

შუბლზე მატყვია ცხელი სისხლი, ცხელი იარა,
ტანიდან ამდის ოხშივარი, ცეცხლი და ბოლი,
გადამირჩინე შენ, უფალო, ბავშვებიანად
ქალაქი ჩემი — მარიუპოლი...
არ მასვენებენ წისქვილები და სანახები,
გადაბუგული გადამწვარი ტრამალებიდან
ვითხოვ და ვიცი, შენ, უფალო, არ დამზარდები —
გადამირჩინე, გადამირჩინე ჩემი ბავშვები...
დგას უკრაინა, მეც აქ ვდგავარ, სისხლი მაცხია,
ტანიდან ამდის ოხშივარიც, ცეცხლიც და ბოლიც,
გადამირჩინე, შენ, უფალო, მიწა-წყლიანად
ქალაქი ჩემი მარიუპოლი...

ბალიში

რა ძალიან მინდოდა ყურთბალიში!.. არა გერმის ბუმბულით სავსე, არამედ უბრალო ყურთბალიში, რიგიანად რომ დამესვენა და დამძინებოდა, თუმცა ძილს ვერ ვახერხებდი. ჯადოქარმა მომცა ის ბალიში, თან გამაფრთხილა, სიზმარს არ დავმორჩილებოდი.

როგორ-მეთქი, ვკითხე.

— დაიჯერე, რომ სიზმარიც ნამდვილია და მაშინ ის რეალობას გაუთანაბრდება და ვეღარ დაგზაფრავს.

— თუკი სინამდვილე უფრო მაშინებს?

— მაშინ სიზმრად ეძებე ხსნა. მით უმეტეს, რომ იქ გაქრობაც შესაძლებელია, რასაც რეალურად ვერ მოახერხებ — ის, ვინც ამქვეყნიდან ქრება, ხომ სიზმრად მიდის, სიზმრად გამქრალი კი — არსად.

— სად არის მერე ეგ არსად?

— არსად ნიშნავს, რომ არსადაა.

ესეიგი მაინც ყოფილა-მეთქი სადღაც.

ჯადოქარი გაბრაზდა და ბალიშის წართმევა უნდოდა, მაგრამ მე დროულად გამეღვიძა.

მარტორქა

ის წუნწუხიან მიწაზე იდგა მოწყენილი და თავდახრილი და ხიშტისებური რქა წინ გაეშვირა, თუმცა საფრთხე უკნიდან ელოდა. ზოოპარკის მეთვალყურისაგან მალულად ონავარი ბიჭები გალიაში ფეხს ჰყოფდნენ და უკანალზე ჭიტლაყს ურტყამდნენ. მარტორქა დარტყმას არ იმჩნევდა, თითქოს ვერც გრძნობდა ტკივილს. ზოგჯერ თავს ააღერდა და დამთვალიერებლებს თვალებს მიაშტერებდა.

„მე შენი ძმა ვარ, — თითქოს ამბობდა მზერით, — რად მტანჯავ?“

ბიჭებს კი ეგონათ, ვერთობითო, მაგრამ დიდი ხნის მერე, გარდაცვალების შემდეგ, როცა ეს ამბავი არცკი ემახსოვრებათ, როცა ჰაერის სამზღვარს გადაივლიან და ზეცის სკნელს მიუახლოვდებიან, მათ წინ დახვდებათ მარტორქისნილბიანი დემონი, რომელიც ხიშტისებურ რქაზე მძივივით ააგებს გამბედავებს, ვინც წინ წაწევას მოინდომებს, სუსტები და მშიშრები კი უკუიქცევიან და კვლავ დედამიწაზე დაბრუნდებიან, რათა ისევდაისევ ფეხით თელონ წუნწუხი, სადაც ახლა მარტორქა გარინდულა...

მანევრი

ახმაურებულ ქუჩებს თუ გაუყვები, სადღაც მაინც მიხვალ. იქ არ იქნება სხვა ცა, სხვა მიწა, მაგრამ იქნება მოჩვენებითი სიმშვიდე, რომელიც ვინძლო არც გჭირდება...

ბოტანიკური მაღაზიის ეზოში, წნულ მესერს იქით, ხის გეჯებში ჩარგული ყვავილები ყელყელაობენ. ეზო უკაცრიელია. თუ მოგესურვება, შეხვალ და ყვავილს აარჩევ, თუმცა დიდი ხანი ვერც იქ დარჩები: ვიღაც აუცილებლად გადევნებს ეჭვიან მზერას სანახევროდ ღია კარიდან ან შემინული სარკმლიდან და გეჯასთან თუ შეყოვნდები, მაშინვე პირმოთნე ღიმილით გამოეშურება შენკენ, რათა არჩევანი მოგიწონოს და ყვავილი გიქოს; შენ კი არაფერი გსურს, იმის მეტი, ამოიქაქანო, შეისვენო ქუჩის ხმაურისაგან და უჩინარ მეთვალყურეს თავს ისე აჩვენებ, ვითომ აქაურობა მოგწონს, მაგრამ ეს მხოლოდ მანევრია, სხვათა დამაბნეველი...

ნიშნები

ხიტანას ხელოვნება მისივე მარაოთი ამოიცნობა. როცა ის მარაოთი ერთობა, ეს ერთდროულად რამდენიმე აზრს, უკეთ — სურვილს გამოხატავს, და ვინც ეს მინიშნება იცის, ქალიშვილს სურვილსაც იოლად მიუხვდება.

ასე ფიქრობს ტორერო, ხართა მკვლელი, როცა ხიტანასთან პაემანზე მიეშურება. ოღონდ იმედის გაცრუება კი ელის: ესესაა მინიშნება შეიცვალა და ნაცვლად ნდომისა, მაღლა აწეული და მოკეცილი მარაო (და არა ფარშავანგის კუდივით გაშლილი, რაც ვნებას გამოხატავდა!) უკიდურეს სიძულვილს გადმოსცემს. ტორერო ვერ ხვდება, რა შეიცვალა. მას ისევე ვნებიანად უყვარს ხიტანა, ვინც მდუმარებს და გამუდმებით მიანიშნებს, როგორ სძულს ბიჭი.

ყოველივე კი იმის ბრალია, რომ ტორერო მარტო ერთი რიგის ნიშნებს იცნობს კარგად: ქვიშას და სისხლს. ამიტომაც ვერ ამჩნევს მარაოს ჩრდილს ქვიშაზე, რაც თავისივე ჩრდილი ჰგონია, და თუკი ერთხელაც ხარისაგან განგმირული დაეცემა, ვინძლო მიხვდეს კიდეც, რომ არსებობს სხვა ნაჩრდილებიც, რასაც სხვა სამყაროები მოაფენენ ამქვეყნად...

მანათობელი გული

მეცნიერ-გენეტიკოსი, ვინც მანათობელი გული შექმნა, ჯერ კიდევ შეიგრძნობს ჩაის სმისას ნამცხვრის ძველებურ გემოს. რატომ ევლინება მას მუდამ ერთიდაიგივე ხილვა, ვითომ გზაჯვარედინზე ძევს წყვილი უხმარი წაღა, რომელიც ჯერ არავის ჩაუცვამს?! რა წარმოშობს სიზმარს და ვინ განმარტავს მას?! ეს არავინ იცის, ოღონდ მეცნიერი ხვდება, რომ ამგვარი ჩაის სმა სულაც არ არის უხიფათო — ერთიც იქნება, მოუძლურებული ხელი, ფინჯანში რომ ნამცხვარს ალბობს, ვეღარ გატოკდება, ის კი იჯდება ასე, თითქოს სავარძელს მილურსმული და თვალდაჭყეტილი, რადგან დაძინება აღარ შეეძლება... ეს რომ მოხდებოდეს, მაშინ ხომ ნახავდა მანათობელ გულს, რომელიც ცისფერი შუქით ანთია დაუღამებელ სიბნელეში...

ციფრები

წარმოვიდგინოთ, რომ მარათონული რბოლის მონაწილენი აბნეულად გარბიან მიზნისაკენ და თუმცა თითოეულ მათგანს მაისურიან ზურგზე დიდი ასოებით აწერია შესაბამისი ციფრი, თანმიმდევრობა დარღვეულია — ის, ვინც ვთქვათ, აღნიშნულია ციფრით „ერთი“, იმის უკან მიჩანჩალებს, ვისაც „ორიანი“ აწერია; ამის მსგავსად, ციფრები „ოცდაერთი“ და „ორმოცდარვა“ გვერდიგვერდ გარბიან, ხოლო დაღლილი „შვიდიანი“ სულაც ადგილზე დგას და უცქერის, როგორ ჩაიქროლებენ სხვები.

წარმოვიდგინოთ ესეც, რომ ამათგან მოშორებით, მდინარის ნაპირას ქვიშნარში, თამაშობს ბავშვი. ის ერთმანეთის მიყოლებით ალაგებს კენჭებს, თუმცა მათი რაოდენობა არ იცის. ვერ ხვდება, რომ ორ კენჭს თუ კიდევ ორს მიუსვამ, ოთხია, ან რვა კენჭს თუ სამს დააკლებ, ხუთი დაგრჩება.

და მაინც ვინ გვეტყვის, რომ ეს ერთიდაიმავე რიგის უგუნურებაა — მრბოლელთა ნუმერაციის აღრევა და კენჭების არათანმიმდევრობა?! ბავშვმა ჯერ არ იცის, რა არის ცოდნა — ის მხოლოდ კენჭებით ერთობა, მარათონელები კი წუთით ივიწყებენ ცოდნას, რათა მიზანს მიუახლოვდნენ... უცნაურია...

ციკლიდან: „ტფილისური კიანთი“

ლანდი

შაითან-ბაზარი ჭრელად ფუთფუთებდა. მილეთის ხალხი მიმოიქცეოდა დუქნებსა და გასართობ კარვებს შორის, სადაც მოლხენა იყო. მროკავნი, მუცლითმეზღაპრენი, ცეცხლისა თუ ხანჯლის მყლაპავნი და თოჯინებით მოთამაშენი ზიმზიმებდნენ ბრბოში, რომელიც პირღია შესცქეროდა სანახაობას.

მეთოთხმეტე რანგის გადამწერმა პატიკო ვ.-მ განზე გაიხედა. აქ ის უცხო იყო, არავის იცნობდა. გაღარიბებული აზნაურის ერთადერთი ვაჟი გადამწერად მსახურობდა კანცელარიაში მცირეოდენი ჯამაგირის სანაცვლოდ, რომლის დიდ ნაწილსაც სოფლად უგზავნიდა ქვრივ დედას. იქ იზრდებოდნენ პატიკოს და-ძმანი და პატიკოც მოვალედ რაცხდა თავს, ეზრუნა ამ პაწაწუნა არსებებზე და დაევიწყებინა პირადი ბედნიერება, რომელიც ისედაც არ გააჩნდა, რაღაი ღარიბი იყო და თანვე მორცხვი... ხოლო რა არის პირადი ბედნიერება ღარიბი აზნაურისათვის?! რასაკვირველია, სიყვარული და მასთან — მაძღარი ცხოვრება... სიყვარული, დაბოლოებული ცოლ-ქმრული გვირგვინით... საუკუნო აღთქმა, კავშირი უმანკო გულთა და ნეტარება განუზომელი, თუმცა პატიკოს ჰქონდა მარტო გზნება სურვილისა და არ ჰქონდა უნარი ამნაირი ბედნიერებისა, მიუხედავად იმისა, რომ არ იყო თვალად ნასი; პირიქით, სასიამო შესახედაობის ყმაწვილიც ეთქმოდა და თუ არა გაცვეთილი ტანისამოსი და ქალური სიმორცხვე, თითქმის კდემა, მრავალნი გასათხოარი ქალიშვილნი უარს არ იტყოდნენ იმასთან ფლირტზეც და ვინ იცის ჯვრისწერაზეც! ეჰ, რა იყო... განა არა, ბედის მძლავრობას ჰგავდა ეს ამბავი, რომ პატიკოს ვერ დაეძლია სიწითლე და ვერ გაებედნა ქალიშვილებთან გაბმული საუბარი მაშინ, როცა მისი ამხანაგნი უდარდელად ჰყბედობდნენ გოგოებთან... პატიკო მარტო იყო... ამადაც გაეცალა ზეიმს და განვიდა აშმორებულ ქუჩიდგან, იმ სურვილით, რომ მტკვრამდე ჩასულიყო და წყლისთვის მაინც გაენდო ამაო გულითქმა... აქ ოხრავდა ხოლმე შემუსვრილი, დამძიმებული... მდინარის ბუტბუტი უამებდა იარას, სალბუნად ედებოდა. წყლის ჩუხჩუხში იხატებოდა მარად მედინი ამაოება წუთისოფლისა და იწროება კაცთა ცხოვრებისა, რომელიც ისევე ჩაჭედილა არტახებში, როგორც მტკვარია მოქცეული ორთავ ნაპირს შუა. მტკვარი იყო პატიკოს მეგობარი, მესაიდუმლე და ახლაც მიჰმართა მან წყალთა წიაღს, თუმცა მდინარემდე კი ვერ ჩააღწია, რადგან დამრეცი ბილიკის მოსაბრუნიდან უცებ ვიღაც მთხოვარა გამოვიდა და წინ დაუდგა.

რა ნებავდა ნეტავ? პატიკო შესჩქვიფდა, მაგრამ არ შეშინებია, ოღონდ ტანზე თითქოს ლორწო მოედო. უცნობი ისეთი განმჩხრეკი თვალით უცქერდა, პატიკოს შეაძაგძაგა.

— მოწყალეო ხელმწიფევ, გთხოვთ, მომცეთ გზა, — დაიწყო მან მაღალფარდოვნად, მაგრამ უცნობს აინუნშიც არ ჩაუგდია პატიკოს თავაზი. იმან ხელი გამოიშვირა და პატიკოს ჯვალოს ტომარა დაანახვა.

— რა, რა გნებავთ? — გაფაციცდა პატიკო, რაკი ეგონა, მთხოვარა ვინ იცის, მკვდარ კატას ან ყვავს მალავს ტომარაში და ჩემი გამასხრება სურსო — აქაურობა ხომ სანაგვე იყო და სანაპიროზე დაზვინული ბუჩო მწარედ ყროლდებოდა.

— იყიდეთ, ბატონო, — შესთხოვა გლახამ და წინ მიიწია.

— რა?

— ლანდი.

— ლანდი? — პატიკოს სიტყვა ყელში გაეხირა.

— დამიჯერეთ, გამოგადგებათ, იაფად დაგითმობთ, — აჩურჩულდა უცნობი და უფრო დაუახლოვდა პატიკოს.

— მოწყალეო ხელმწიფევ, თქვენ მე დამცინით.

უცნობმა პირი გააწკლაპუნა და ტომარას თავი მოხსნა. იქიდან მყისვე შუქის კონა ამოვიდა და ჰაერში დაეკიდა. პატიკო განცვიფრდა. სინათლის სილუეტი ძალზე ჰგავდა კაცის აღეს. შესაძლოა პატიკოსას.

— იყიდეთ, ბატონო, — განუმეორა გლახამ.

— რად მინდა? — იკითხა პატიკომ და უკან მიიკუნჭა.

— იაფად გაძლევთ, უზალთუნად, — უცნობმა ისევ მოუკრა პირი ტომარას, რომელიც ძალზე გაიბერა, თითქოს შიგნით მოუსვენარი არსება იყო დამწყვდეული.

— უზალთუნი ცოტა არ არის, — პატიკომ არ იცოდა, რა ეწამებინა და ამიტომ ეს სიტყვები მოაფიქრდა, იქნებ უცნაური მთხოვარა მოეშორებინა როგორმე, მაგრამ ის თავის დანებებას არ აპირებდა.

— ნისიად მოგცემთ, — ამეტყველდა უცნობი, — ორი კვირის შემდეგ აქ მოხვალთ და ფულს მომიტანთ. აბა, ყაბული ხართ?

პატიკომ არ იცოდა, რა ექნა და უნებურად ხელი გაუწოდა, ტომარა ჩამოართვა. ტომარა ისე მსუბუქი იყო, კინაღამ ჰაერში აცურდა და პატიკომ ძლივს დაიჭირა. სიმსუბუქის მიუხედავად, მაინც ძნელი სატარებელი იყო. „ხალხში ვერ გავივლი,“ — გაიფიქრა პატიკომ და ტომარა ბუჩქს გამოაბა, რათა დაღამებას დალოდებოდა. სანამ პატიკო ამ გაწამაწიაში იყო, მთხოვარა უკვე წასულიყო. ქვემოდან მტკვრის დუდუნი ისმოდა. პატიკო უსმენდა წყლის ხმაურს, მაგრამ უწინდელი შვება ვეღარ იგრძნო. ნიავის დაქროლვაზე ტომარა ლივლივებდა და აფრენას ლამობდა. „უზალთუნი ბევრია,“ — ფიქრობდა პატიკო და ტომრისათვის საჭიროება ვერ მოენახა. საღამომდე აქ იჯდა, მერე ტომარა ახსნა და შინ წაიღო. იქ ლანდი გამოუშვა. ტყვეობიდან თავდახსნილი იისფერი სინათლის კონა ჯერ ჭერამდე ამაღლდა, მერე, როცა მეტად ვეღარ გაატანა, მაგიდაზე დაეშვა და ზედ გაიარ-გამოიარა. ოთახის კუთხეებს ედებოდა და ასხლეტილი ბუშტივით შუაში გამოვარდებოდა ხოლმე. პატიკომ მალევე შენიშნა, რომ გამჭვირვალე ლანდი სერნაწრს იოლად იცვლიდა, რაც პატიკოს განწყობაზე იყო დამოკიდებული. თუ პატიკო იხაშმებოდა, ლანდიც სივდებოდა, ღამის მრგვალდებოდა; თუ უხაროდა, ლანდი იძაბებოდა, იწელებოდა, წაგრძელდებოდა ხოლმე კვამლის სვეტივით ანდა ღრუბელივით იქსაქსებოდა... პატიკოს უყვარდა ღრუბელი, რომელსაც ჩრდილი ჰქონდა, ლანდს — არა... მაშინ პატიკო თვალს ხუჭავდა, რათა ჩრდილი წარმოედგინა, მაგრამ ვერაფერს ხედავდა. გაახელდა თვალს და ისევ ღარიბულ, ნაქირავებ ბინაში იყო, ავეჯს შორის ჩაკარგული...

ერთ დღეს პატიკო დაიკარგა. ის მტკვრის პირას მივიდა დათქმულ დროს, რათა უცნობისათვის შეპირებული უზალთუნი მიეტანა, თუმცა იმან ალოდინა და არ გამოჩნდა და არა... პატიკო მაინც მოთმინებით იჯდა მდელოზე და დაბლა მდინარეს გაჰყურებდა. სადაგი დღე იყო, ცხელოდა. პატიკო მშვიდი იყო. უცებ ის მიხვდა, რომ არც მდინარეს ჰქონდა ჩრდილი. მტკვარი ორ ნაპირს შუა მიედინებოდა, მაგრამ არც ერთს არ უერთდებოდა. ცაზე ღრუბელი ჩანდა, ისიც ნელიად მცურავი, მედინი. სად მიდიოდა? სად იყო სამზღვარი? ოცნებით ატაცებული პატიკო წამოხტა და დაეშო ქვემოთკენ. ჩაირბინა ფლატე, დახრამული ნაპირი, ქვიშიანი რიყე და წყალში შედგა ფეხი. რა უნდოდა? საით ისწრაფვოდა? ნუთუ გაღმა ნაპირისაკენ? პატიკო იქნებ ამაებზე არ ფიქრობდა, მაგრამ წინ მიიწევდა და როცა ტალღა წელამდე შეამოადგა, მყისვე იგრძნო, რომ წყალზე მსუბუქი იყო და მტკვარს მისი ტარება შეეძლო...

ეკატერინე ტოგონიძე

თვის საჩუქარი

მინადორა ტოროშელიძეს

დასაწყისი პირველ გვერდზე

მთხრობელი: თედო მექანიკურად უქნევს თავს. ფიქრებით იმ ეპოქაშია გადანაცვლებული, რომელშიც ცნობილმა მეცენატმა დავით სარაჯიშვილმა აქ მამის დანატოვარი ძველი სახლი დაანგრია და ახალი შენობა ააგო. ამისთვის გერმანიიდან არქიტექტორი კარლ ცაარი ჩამოიყვანა. თედოს მუზა — მინადორა ტოროშელიძე — სწორედ იმ დროში ცხოვრობდა. 1903-05 წლებში, მწერალთა სახლის აშენებისას, რომელიც თავდაპირველად სარაჯიშვილის საცხოვრებელი იყო, დაახლოებით 25 წლის იქნებოდა. ქეთი ყავის ჭიქას ცლის და ლაპარაკს განაგრძობს.

ქეთი: გეოპოლიტიკა გასაგებია, ამას ვერ შეცვლი, ეს ჩვენი ბედისწერაა, მაგრამ ჩვენც ვერ ვივარგეთ... „ვეფხისტყაოსნის“ სიბრძნე ყოველდღიურობაში ვერ გადმოვიტანეთ, ვერ ვაქციეთ ცხოვრების ნაწილად. აი, ახლა რომ გაიძახიან თანამედროვე ფსიქოლოგები და ქოუჩები, დატოვე შენი კომფორტის ზონა, იმისთვის რომ გაიზარდო და პიროვნულად განვითარდეო... როდის თქვა რუსთაველმა: „რაც არა გწადდეს იგი ქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა“... კომფორტის ზონის დატოვებაა, აბა, რა არის? და რამდენი ასეთი... მისმენ?

თედო: კი, კი...

ქეთი: უმბერტო ეკო ასე ხუმრობს, „შეუძლებელია არსებობდეს დიდი ბულგარელი მწერალიო“. ყველა ხუმრობაში ხომ სიმართლის მარცვალია. ჰოდა, თუკი ბულგარეთი თავისი კულტურით მსოფლიოსთვის საკმარისად საინტერესო არ არის, მაშინ ვინც უნდა დაიბადოს იქ, დიდ მწერლად ვერ შედგება, ნუ, ძალიან გაუჭირდება, უკვე არათანაბარ პირობებში ჩადგება, არ არსებობს ასეთი მოლოდინი ბულგარეთისგან, რომ შეუძლია დიდი მოაზროვნე შვას... რა უსამართლობაა... არა, არ მისმენ! რაზე ფიქრობ?

თედო: მაგაზე ვფიქრობ...

ქეთი: რაზე მაგაზე? სადღაც სხვაგან ხარ...

თედო: რა იქნებოდა, წლების განმავლობაში რომ არ გაენადგურებინათ ის ხალხი, რომელიც ერის გონებას წარმოადგენდა და ერის სახეს ქმნიდა. ზუსტად მაგ ხალხს შეეძლო, საქართველო ანგარიშგასაწევ, მნიშვნელოვან ქვეყნად ექცია. მინადორა ტოროშელიძეზე იცი რამე?

ქეთი: ეგ ვინ არის? ა, პირველი რესპუბლიკელი?.. რეპრესირებული ქალი.

თედო: ჰო... პირველი ქალი დეპუტატი.

ქეთი: ის... მაგის სურათი გქონდა სახელოსნოში? მე ვიღაც შენიანი მეგონა, დიდი ბებია, წინაპარი...

თედო: ჩვენი წინაპარია, ყველასი... ჩვენი წარსულია ეგ ხალხი. პორტრეტი მაქვს დასახატი. მუზეუმისთვის შემიკვეთეს.

ქეთი: რა კარგია! დახატე მერე!

თედო: ფოტო არაა საკმარისი...

ქეთი: რატომ, მშვენივრად ჩანდა ნაკვთები. ნორმალური ხარისხის ფოტო იყო... რაღაც მკაცრი სახე დამამახსოვრდა.

თედო: რა მარტივად იცი ხოლმე თქმა... შენ თვითონ რამდენს ანდომებ თითო გვერდის თარგმნას, თითო წინადადების მიღმა რამდენს იჩხრიკები, იკვლევ... უნდა ვიცნობდე ადამიანს, რომ დავხატო. ისე არ შემიძლია.

ქეთი: როგორ უნდა იცნობდე? როდის გარდაიცვალა?

თედო: 1967 წელს, 88 წლის ასაკში.

ქეთი: ჩვენს დაბადებამდე 14 წლით ადრე.

თედო: ამას წინათ შენ არ ციტირებდი, როგორც წვეთში აისახება ოკეანე, ისე ჩანს ადამიანის თვალებში მთელი განვლილი ცხოვრებაო?!

ქეთი: კარგია, ხანდახან მაინც მისმენ...

თედო: გისმენ, გისმენ. მოკლედ არ ვიქნები, რა, მართალი, პირდაპირ სურათიდან რომ გადავხატო. არც გამომივა.

ქეთი: შენ თუ მთელი ეპოქის ჩახატვას აპირებ თვალებში, მაშინ მართლა არ ვიცი... რამდენი წლისას ხატავ?

თედო: ეგ კარგი კითხვაა. არ უთქვამთ, ჩემი გადასაწყვეტია... ერთი ზუსტად ვიცი, რომ პორტრეტი არ არსებობს ადამიანის ხასიათის, მისი ბიოგრაფიის გარეშე.

ქეთი: ანუ რას აპირებ? დრო რამდენი გაქვს?

თედო: ერთი თვე მომცეს, მაგრამ ათი დღე უკვე გამიფრინდა.

ქეთი: გინდა, სახლ-მუზეუმში მივიდეთ, საფლავი ვნახოთ. წამოგყვები!

თედო: არ ვიცით ზუსტად, სადაა დასაფლავებული, საბჭოთა რეჟიმმა ხომ მოსპო ყველაფერი, ადამიანებთან ერთად ინფორმაციაც. სადღაც ვაკის ან საბურთალოს სასაფლაოზეა. სახლ-მუზეუმი საერთოდ არ არსებობს. როგორც მინადორას შვილიშვილი, მარინე ქარცივაძე, ამბობს, ვაკეში, მრგვალ ბაღთან ახლაც დგას ორსართულიანი აგურის სახლი — 1933 წელს მინადორას და მისი მეუღლის, მალაქიას მიერ აშენებული. დღეს უკვე მაღალსართულიან კორპუსებში ჩაკარგული... ამ სახლში ტოროშელიძეების ოჯახმა 1936 წლამდე იცხოვრა, რეპრესიების დაწყებამდე.

ქეთი: მინადორა ვინ იყო პროფესიით?

თედო: ექიმი. პოლიტიკოსი.

ქეთი: საინტერესოა... რამე მოგონებები ან პირადი მიმოწერა არსებობს?

თედო: ცოტა რამეა, ყველაფერი უნდა წავიკითხო.

ქეთი: შენი ამბავი რომ ვიცი, სანამ საყვარელ კერძსაც არ გამოიძიებ, არ მოისვენებ...

თედო: კერძი უკვე ვიცი, ბორშჩს მირთმევდა სიამოვნებით, პლეხანოვის ცოლის მომზადებულს. მეგობრობდა მაგ ოჯახთან, ჟენევაში პლეხანოვების წრეში სწავლობდა... უჰ, კარგ ბორშჩს კი შეჭამდა კაცი...

ქეთი: ვა, ჟენევაში მიიღო განათლება?.. და მე რაში დაგეხმარო?

თედო: არაფერში... ისედაც ვიცი, რომ კითხვებით არ მომასვენებ. ეგეც თავისებური დახმარებაა.

ქეთი: თუ გინდა, ის დრო გავიხსენოთ, გამოცდებისთვის რომ ვემზადებოდით. მე ჩავიბარებ ხოლმე, რასაც წაიკითხავ.

თედო: ოჰ, ქეთინო მასწავლებელო, შენი სტუდენტები არ გყოფნის?

ქეთი: მართლა გეუბნები. მეც წავიკითხავ რაღაცებს და ჩამჭრელ კითხვებს დაგისვამ!

მთხრობელი: თედო და ქეთი სიცილით დგებიან, ანგარიშს ასწორებენ და მწერალთა სახლის ეზოს ტოვებენ. თაღიდან გასვლისას მათი გზები იყოფა. თედო მარჯვნივ მიდის — სახელოსნოსკენ, რომელიც მუშაობის პერიოდში მის საცხოვრებლად იქცევა ხოლმე. ქეთი — მარცხნივ, თავისი ოფისისკენ. მეორე დღეს ქეთის მარტოს უწევს ყავის დალევა, თედო არც მესამე დღეს ჩანს. ბოლოს ქეთის მოთმინება ეწურება, მიმტანს ყავას ქაღალდის ჭიქებში ამზადებინებს და თედოს სახელოსნოში აკითხავს.

სახელოსნო

ქეთი: გირეკავ, არ მპასუხობ. კაფეში არ მოდიხარ!

თედო: ვა, ქეთი... ბოდიში, მუშაობას შევყევი. ყავა მომიტანე?

ქეთი: მაჩვენე, ეს რა დაგიხატია?!

თედო: არაფერი, ისე, ჩემთვის....

ქეთი: ვინ არის ეს ბავშვი? რატომ ტირის?

თედო: კარგი, მოიცა, ხომ იცი, არ მიყვარს პროცესში ჩვენება...

ქეთი: მინადორას რატომ არ ხატავ? ვაიმე, მოიცა, ეს ბავშვი ჰგავს თუ მეჩვენება? მინადორა დახატე? მინადორას ბავშვობაა?

მთხრობელი: თედო თანხმობის ნიშნად თავს უქნევს. მის არეულ მაგიდაზე გადაშლილი წიგნი დევს „დაკარგული ისტორია — მეხსიერება რეპრესირებული ქალების შესახებ“. ქეთი ინტერესით უყურებს და მინადორას მოგონების კითხვას ხმამაღლა იწყებს:

ქეთი: „დავიბადე 1879 წლის პირველ მარტს...“ — ჰოროსკოპით შენსავით თევზები ყოფილა, მგრძნობიარე, ნიჭიერი, იდეალისტი. ქუთაისში დაბადებულა, სოფელ ღორეშაში. „მამაჩემი, ეფრემ ბესარიონის ძე ორჯონიკიძე, აზნაური იყო წარმოშობით, ჰქონდა 2 დესიატინა მიწა და ჰყავდა ექვსი სული შვილი, ხუთი ქალიშვილი და ერთი ვაჟი. მიუხედავად იმისა, რომ დღე და ღამე მუშაობდა საკუთარ მეურნეობაში და ჩვენც ვეხმარებოდით, სიმინდი არ გვყოფნიდა მომდევნო მოსავლამდე და გვიწევდა შიმშილის ატანა“ — აზნაურებსაც ასე უჭირდათ, ხო?

თედო: კი...

ქეთი: „მამა განათლებული და ქართულ ენაზე ნაკითხი კაცი იყო. უფროს დებს თავად მისცა განათლება სახლში; მე და ჩემი უმცროსი და კი მიგვაბარა სამრევლო სკოლაში, სადაც დავამთავრეთ სამი მოსამზადებელი კლასი. მასწავლებელი ძალზე კმაყოფილი იყო ჩვენი წარმატებებით. ის ძალიან წუხდა, რომ მამას არ გააჩნდა საშუალება ჩვენს გასაგზავნად საშუალო სკოლაში და გადაწყვიტა, დალაპარაკებოდა მას. მასწავლებელმა მოახერხა მამას დაყაბულება“ — რა კაი ქალი ყოფილა... განათლება რომ არ მიეღო, იქნებ დეპუტატიც ვერ გამხდარიყო. ეს ჩანაწერებიც არ გვექნებოდა დღეს... „და, აი, ერთ მშვენიერ დილას მამამ გაგვაღვიძა და გვითხრა: „ადექით, თორემ მატარებელი გაგვასწრებს და სახლში დარჩებით“. ჩვენ წამოვხტით, სწრაფად მოვემზადეთ და სადგურისკენ გავეშურეთ, რომელიც ჩვენგან 17 ვერსზე იყო“ — ანუ ღორეშიდან მიდიან ქალაქში... „ჩავედით ქუთაისში. ქუჩებში სიარულისას გავიგეთ, რომ მიღება ყველგან უკვე დამთავრდა. სასწავლებლები გადატვირთულია. ჩვენ ძალიან იმედგაცრუებულები დავრჩით და ცრემლები გვახრჩობდა. მასწავლებლები სიბრალულით გვიცქერდნენ და ძალიან თანაგვიგრძნობდნენ.“

მთხრობელი: ქეთი ფრთხილად იღებს თედოს პირველ ჩანახატს და ბავშვის სახეს დაჰყურებს.

ქეთი: ეს მომენტი დახატე? პატარა იმედგაცრუებული მინადორა...

თედო: ერთი მასწავლებელი მისულა მამამისთან და უთქვამს, ნუ წაიყვანთ უკან ბავშვებს, სადმე დააბინავეთ, შეიძლება, ვინმე არ მოვიდეს ან ადგილები დაამატონო. დაუჯერა ეფრემმა. ერთ ოჯახში დატოვა თვეში 7 მანეთად. მერე ნახე, რას წერს: „ჩვენ ყოველდღე დავდიოდით და პასუხად ვიღებდით, რომ ჯერ-ჯერობით არაფერია იმედისმომცემი.“ ორი კვირის მერე, როგორც იქნა, მიიღეს. აი, ასე გრძელდება: „დაიწყო სასკოლო ცხოვრება. ჩვენ ვცდილობდით, არ ჩამოვრჩენოდით დანარჩენებს და ფრიადებზე ვამზადებდით გაკვეთილებს. საშობაო არდადეგებზე ჩვენი ძმა ჩამოვიდა და სახლში წაგვიყვანა ორი კვირით. ჩემი და გაცივდა და ფილტვების ანთება დაემართა. მეშვიდე დღეს გარდაიცვალა. მე დავრჩი მარტო.“

ქეთი: ვაიმე, რა საშინელებაა... ამ ნახატზე ამიტომ ტირის? ნეტა ამ ამბის მერე ხომ არ გადაწყვიტა ექიმობა?

თედო: შეიძლება, მაგაზე არ მიფიქრია. ნახე, ეს ჩანაწერიც საინტერესოა: „ერთხელ მივიღე მამისგან წერილი, სადაც მწერდა: „შენ უკვე დიდი ხარ, მალე მეხუთე კლასში გადახვალ. მე გაძლევ სრულ თავისუფლებას, შეგიძლია, იარო თეატრში, საღამოებზე, სასეირნოდ პარკში და ასე შემდეგ, მაგრამ გახსოვდეს, თუკი რაიმე ამორალური შეგემთხვევა, მე თავს მოვიკლავ.“ მე მამას კარგად ვიცნობდი, ის მკაცრი და სამართლიანი იყო და სიტყვებს იოლად არ ისროდა. ეს სიტყვები მე მთელი სიცოცხლის მანძილზე თან მსდევდა.“

ქეთი: ნუ სდევ წადილთა ნებასაო?

თედო: „მძულს უგულოდ სიყვარული, ხვევნა, კოცნა, მტლაშა-მტლუშიო...“

ქეთი: პირად ცხოვრებაზე რომ მიხვალ, არ გამომაპარო! მიდი, აღარ შეგიშლი, დამთავრდა ჩემი შესვენება. ყავაზე თუ ვეღარ გამოხვალ, მე თვითონ შემოგივლი ხოლმე.

მთხრობელი: რამდენიმე დღეში ქეთი ისევ მიდის თედოსთან. ხელში კონტეინერი უჭირავს და ფრთხილად ადის ძველ, ჭრიალა კიბეზე. კარი, როგორც ყოველთვის, ღიაა.

ქეთი: თედო, ბორშჩი მოგიტანე! მთლად პლეხანოვის ცოლის მომზადებული არ არის, მაგრამ ძალიან გემრიელია. თედო!

მთხრობელი: თედო არ არის. ქეთი ცარიელ სახელოსნოს თვალს მოავლებს. მაგიდაზე გახსნილი ლეპტოპი, მონიშნული რუკა, გადაშლილი წიგნი და რამდენიმე ახალი გრაფიკული ნამუშევარი დევს. რუკაზე გეოგრაფიული წერტილებია გაფერადებული: ღორეშა, ქუთაისი, ჟენევა, თბილისი, ბაქო, სამტრედია, მოსკოვი, შმიკენტი, ტაიშეტლაგი და ბიდაიკი. ქეთი ხვდება, რომ ეს მინადორას ადგილებია, მისი ცხოვრება ვითარდებოდა, სადაც იზრდებოდა, სწავლობდა, მუშაობდა, იყო დაპატიმრებული, ან გადასახლებული. მოლბერტზე მიყუდებულ ტილოზე მინადორას სახის კონტურებია გამოსახული. ოდნავ ოთხკუთხა ყბები, შუაზე გაყოფილი თმა და თხელი წარბები უკვე ძალიან ჩამოჰგავს ფოტოზე აღბეჭდილ ქალს. თვალები ჯერ არ არის დახატული. ქეთი მაგიდაზე ადგილს ათავისუფლებს კონტეინერისთვის. ფანჯრის რაფაზე მეზობლის კატა იზმორება.

ქეთი: რაო, ფისო? სად არის თედო?.. სიგარეტზე გავიდა?

მთხრობელი: ქეთი ნამუშევარს იღებს. გრაფიკულ ჩანახატზე მინადორას ხელები აქვს გაშლილი, თითქოს ვიღაცას მისდევს, სასოწარკვეთილი ედევნება და ეძახის. თვალებზე ცრემლები უბრწყინავს. ქეთი გადაშლილ წიგნს ჩაჰყურებს:

ქეთი: „ვფიქრობდი, იქნებ პეტროგრადის ქალთა მედიკურ ინსტიტუტში მოვხვდე რამენაირად-თქო. სახლის აივანზე ვიჯექი და ხმამაღლა ვიმეორებდი ლათინურს. ეზოს ჭიშკარი გაიღო უცებ და ეტლიდან სამი კაცი გადმოვიდა. ავდექი, უნდა მეკითხა, ვის ეძებთ-მეთქი, მაგრამ პირის გაღება ვერ მოვასწარი, რომ მომესმა: „აჰა! დაგიჭირეთ. სწორედ ბედზე მოვედით!..“ სახტად დავრჩი, როცა ვიცანი ჩემი საღმერთებელი არტისტი ლადო მესხიშვილი და ჩემი ორი მეგობარი... კიბეზე სიჩქარით ჩავედი და შემდეგი სიტყვებით მივეგებე: „რითი უნდა ავხსნა ასეთი ბედნიერება, რომ ლადო ჩემთან მოვიდა?“

მთხრობელი: ქეთი ფანჯარას უახლოვდება, ფისოს ეფერება და თან თითქოს მას უკითხავს მინადორას ამბავს.

→

დასასრული

ეკატერინე ტოგონიძე

თვის საჩუქარი

მინადორა ტოროშელიძეს



ქეთი: „აბა, მოგვისმინე გულდასმით, — თქვა ლადომ. აივანზე დავსხედით, — მე მგონია, რომ შენთვის გასაგებია, თუ რა მნიშვნელობა აქვს და რა სარგებლობა მოაქვს მასებისთვის თეატრს. მეტადრე მაშინ, როცა იქ ეწევიან მოღვაწეობას განათლებული ხალხი. ეს საუკეთესო შკოლაა ხალხისთვის. მაგრამ, საუბედუროდ, დღევანდელი შემადგენლობა ქუთაისის თეატრისა, მეტადრე ქალებისა, დამაკმაყოფილებელი არ არის. ინტელიგენცია არ უშვებს სცენაზე თავიანთ ქალიშვილებს, ცოლებს და დებს, რომელთაც საშუალო სასწავლებელი აქვთ გათავებული. ეს ჩვენ გვაიძულებს, ისეთი ქალები ავიყვანოთ, რომლებსაც განათლება არ მიუღიათ და რომლებსაც უძნელდებათ მუშაობა. ბევრი ვიფიქრეთ, ვიმსჯელეთ და ბოლოს გადავწყვიტეთ, მოგვენახა ისეთი ადამიანი, რომელიც გაგვიგებს და დაგვეხმარება კვანძის გახსნაში. შემოვა დროებით მაინც სცენაზე და მაგალითს მისცემს სხვებს. აი, ამ თხოვნით მოვედით შენთან სრული რწმენით, რომ უარს არ გვეტყვი და სცენაზე შემოხვალ“ — გაიგე, ფისო? 100 წლის წინ კი არა, აგერ შარშან უთხრა მამაჩემმა ჩემს დას თეატრალურში ჩაბარებაზე უარი. ზოგჯერ მგონია, რომ არაფერი იცვლება... „სცენაზე მუშაობა სამარცხვინოდ მე არ მიმაჩნია“ — აი, ყოჩაღ მინადორას! „თქვენი ნათქვამი ჩემთვის გასაგებია, მაგრამ, ამ დღეებში რუსეთში მინდა წასვლა — იქნებ სამედიცინო ინსტიტუტში მოვეწყო...“ ვა, შეხედე, უარს ეუბნება თავის „საღმერთებელ“ ლადო მესხიშვილს... აჰ, მერე მაინც ითანხმებენ. „სეზონი დაიწყო. როლებს ვამზადებდი სინდისიერად. ხანდახან ისე შევდიოდი როლში, რომ ცრემლებს ვაქცევდი. ერთხელ „ურიელ აკოსტას“ თამაშობდნენ. მე დედის როლი მომცეს. როდესაც ურიელ აკოსტა დასასჯელად მიჰყავდათ, მე უკან მივდევდი და ვუძახოდი: ურიელ, აკოსტა, შვილო! ცრემლები ღაფა-ღუფით მომდიოდა...“

მთხროგელი: ქეთი თედოს ნახატს უყურებს და ლამის უკვე ჩაესმის, როგორ მისტირის ხელებგაშლილი დედა შვილს. ასკვნის, რომ მინადორა თედოს აქ ურიელის დედის როლში დაუხატავს. მერე ინტერნეტში წაკითხული მოკლე ბიოგრაფია ახსენდება, საიდანაც გაიგო, რომ მოგვიანებით მინადორამ მართლაც გამოცადა შვილების დაკარგვა. რეპრესიებს 38 წელში მისი ორი ვაჟი შეეწირა. ქეთი ახლა ამ სცენას უკვე საბედისწერო მნიშვნელობას ანიჭებს და ფიქრებში გართული ვეღარც ამჩნევს სახელოსნოში დაბრუნებულ თედოს.

თედო: ქეთი! შენ აქა ხარ? მე კაფეში მოვედი და შენ თურმე აქა ხარ.

ქეთი: აბა, მე რა ვიცოდი, რომ მოხვიდოდი? რანაირად ავცდით? აი, დედაჩემის გაკეთებული ბორშჩი მოგიტანე...

თედო: ვაჰ, დიდი მადლობა! მოკითხვა გადაეცი ლალი დეიდას! მოიცა, თეფშებს მოვიტან.

ქეთი: არა, სამსახურში უნდა მივბრუნდე. ხვალ შევხვდეთ კაფეში. ახლა პრუსტის კითხვარს ვამზადებდი ჟურნალისთვის და ვიფიქრე, შენც დაგისვამ ამ კითხვებს, მინადორას პირით მიპასუხე. შეიძლება, დაგეხმაროს...

თედო: კარგი, კარგი, ხვალამდე...

კაფე

მთხროგელი: თედო და ქეთი ისევ სარაჯიშვილის მიერ აშენებული სახლის ეზოში სხედან და ტრადიციულად შუადღის ყავას მიირთმევენ, ნამძინარევი თედოსთვის პირველი ფინჯანია, დაქოქილი ქეთისთვის — მეორე. მწერალთა სახლის შენობას ისეთი სიზუსტით აქვს ძველი იერსახე შენარჩუნებული, იოლად წარმოიდგენ თავს მე-20 საუკუნის დასაწყისში.

თედო: იცი, პირველად აქ მოეწყო გიგო გაბაშვილის გამოფენა.

ქეთი: მართლა?.. რამხელა ისტორია აქვს, არა, აქაურობას? კარგი ამბების გარდა, რამდენი უბედურება ახსოვს. 37 წლების ტერორი... მწერლებს იძულებით რომ გამოჰქონდათ განაჩენი ერთმანეთისთვის. პაოლო იაშვილმა, მგონი, იქ, მოიკლა თავი...

თედო: კი, მეორე სართულზე, სანადირო თოფით. დაკრძალვაზე დასწრება მისი მეგობრებიდან მარტო კოლაუ ნადირაძემ გაბედა. რეპრესიები 60-იან წლებამდე გაგრძელდა.

ქეთი: შენი მუზა, მინადორაც, ნამყოფი იქნებოდა აქ.

თედო: მინადორას ქმარი საერთოდ მწერალთა კავშირის თავმჯდომარე იყო, მალაქია ტოროშელიძე. ოღონდ დაპატიმრებამდე, 1934 წლამდე. 37-ში უკვე დახვრიტეს კიდეც, ტერორიზმის, ტროცკისტული ცენტრის წევრობის ბრალდებით.

ქეთი: მენშევიკი მინადორას ქმარი იყო საქართველოს საბჭოთა მწერალთა კავშირის თავმჯდომარე?

თედო: ჰო, ის ბოლშევიკი იყო... მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორი... თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი.

ქეთი: რას ამბობ?!. პირად ცხოვრებამდეც მივედით! რა წარმოუდგენელია! სად გაიცნეს ერთმანეთი?

თედო: ჟენევაში. აი, ზუსტად სარაჯიშვილის სტიპენდიამ მისცა იქ სწავლის საშუალება. მოგონებებში უწერია, მეგობრების შემწეობით მივიღე სარაჯიშვილის სტიპენდია თვეში 25 მანეთიო, რაც მთლიანად უფარავდა პანსიონში ცხოვრების ხარჯს. მალაქიაც იქ ნახა 1901 წელს. ერთმანეთის ოპონენტებად მოგვიანებით იქცნენ, როცა 1905 წლიდან ამიერკავკასიაში სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში განხეთქილება დაიწყო. და ასე დალაგდა: მინადორა აქტიური „მენშევიკი“ იყო, მალაქია — „ბოლშევიკი“. 18-21 წლებში მალაქია იდევნებოდა მთავრობის მიერ, რომლის წევრიც მინადორა იყო. 21 წლიდან უკვე პირიქით.

ქეთი: ვაიმე... დღეს ცოლ-ქმარი კი არა უბრალო ნაცნობები ვეღარ ვახერხებთ მშვიდობიან ურთიერთობას განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებებით, სამსახურში ავკრძალეთ პოლიტიკაზე ლაპარაკი, მუშაობაც შეუძლებელი გახდა...

თედო: ადვილი არც ამათთვის იქნებოდა. გადასახლებიდან დაბრუნებული მინადორასთვის შვილიშვილს უკითხავს, შენ მენშევიკი იყავიო? ბავშვისთვის სკოლაში, რა თქმა უნდა, უარყოფითი პათოსით უსწავლებიათ ეს პერიოდი. თუმცა მარტო მაშინ? დღემდე მიჩქმალულია პირველი რესპუბლიკის, პირველი მთავრობის ამბები... ღმერთო, როგორაა დამახინჯებული ისტორია. რუსები ხო ყველანაირად ეცადნენ, საკუთარ უნიათობაში დავერწმუნებინეთ, ეგ ბოროტი ზღაპარი ჩვენი თავისუფლების და რწმენის ჩასაკლავად დაიწერა, დღემდე გვაჯერებენ, რომ დამოუკიდებლობა არ შეგვიძლია, მაგათ გარეშე არაფერს წარმოვადგენთ...

ქეთი: ჰო, ეგრეა... და მინადორამ რა უპასუხა შვილიშვილს?

თედო: ჩვენ ყველანი სოციალ-დემოკრატები ვიყავითო. მარტო ეს უთხრა. საერთოდ გადასახლებიდან დაბრუნებული არ ლაპარაკობდა წარსულზე. სავარაუდოდ, არც აწმყოზე ან მომავალზე... გადასახლებიდან დაბრუნებული ადამიანები ცალკე ტრაგედიაა... ძირითადად, დუმდნენ.

ქეთი: თედო, მართლა გჭირდება ამ ყველაფრის ცოდნა პორტრეტის დასახატად?

თედო: აი, ნელ-ნელა გაცოცხლდა ის ფოტო, უცხო ადამიანი აღარ მიყურებს იქიდან. ასე მგონია, უკვე ახლობელია. ეს კავშირი სწორად დამანახებს, ნამდვილს დამახატვინებს. თან მართლა საინტერესო ქალია. აი, სიამოვნებით რომ იმეგობრებ, ისეთი... ახალი ფოტოებიც მომაწოდეს. ქერა იყო თურმე, რაც არც ერთ სურათზე არ ჩანს, შავგვრემანი მეგონა.

ქეთი: მართალია, მუქად უჩანს თმა.

თედო: შემთხვევით გადავაწყდი მის მოგონებებში, რომ ჟენევაში ერთხელ სარა ბერნარი ჩავიდა, გახარებული მინადორა თეატრისკენ მიდიოდა ბილეთების საყიდლად, მოსწონდა ბერნარი, უყვარდა თეატრი.

ქეთი: ვიცი, ვიცი, ცოტა ხანს მსახიობადაც ხომ იმუშავა.

თედო: კი. გზაში თანამოაზრე შეხვდა და ლენინის ჩასვლა აცნობა. მინადორამ სარა ბერნარი დაუფიქრებლად გაცვალა ლენინზე.

ქეთი: აი, მაგას ვერ ვაპატიებ!

თედო: ორივე ერთად არ გამოდიოდა და იმ საღამოს... პასუხისმგებლობის ამბავია, ლენინისთვის მოხსენების წაკითხვა უნდა ეთხოვა, უნდა დაეთანხმებინა. ამიტომ თეატრის ნაცვლად ისკრელების კლუბში წავიდა.

ქეთი: ნუ ამართლებ.

თედო: შენც იცი, რას ნიშნავდა და რას წარმოადგენდა ლენინი იმ ხალხისთვის იმ დროს?! ახლა ადვილია კრიტიკა. მოკლედ, ლენინი დაითანხმა, მაგრამ ქართველებზე უთქვამს რაღაც ცუდად: „ქართველები ისეთ ამბავს აწყობენ, ორატორს ლაპარაკს არ აცდიანო“. იმ პერიოდში ანარქისტები შლიდნენ ხოლმე ასეთ გამოსვლებს, ყაყანით, სტვენით. მინადორა წერს, ქერა ვიყავი და ლენინს ეჭვიც არ გასჩენია, ქართველს რომ ელაპარაკებოდაო. აქედან გავიგე მისი თმის ფერი.

ქეთი: აჰა... და ლენინს არაფერი უპასუხა?

თედო: როგორ არა, თავი შეურაცხყოფილად იგრძნო და შეუტია: ქართველი რა შუაშია, ანარქისტი რუსიც, ბულგარელიც და სხვაც ერთნაირად იქცევაო. ლენინს ბოდიშიც კი მოუხდია... ეგეთი იყო მინადორა, პირდაპირი, მართალი, იდეის ერთგული... როცა რაღაცის სჯეროდა, ბოლომდე მიყვებოდა ამ რწმენას. თეატრის მსახიობობასაც იმიტომ დათანხმდა, რომ მაგალითი მიეცა მაღალი წრის ქალებისთვის, მორიგი სულელური სტერეოტიპი დაამსხვრია, თითქოს განათლებულ, ინტელიგენტ ქალს მსახიობობა არ ეკადრებოდა. აი, ლენინის მსგავსი შემთხვევა უამრავი იყო, სადაც ჩანს, როგორ უპირისპირდება მისთვისვე დიდ ავტორიტეტს. ვერ იტანს უსამართლობას. პლეხანოვი, რომელიც მისი მასწავლებელი და, პრაქტიკულად, მფარველი იყო, ახალი გაცნობილი ჰყავდა, როცა ასევე თამამად შეეკამათა. მოიცა, გეტყვი...

მთხროგელი: თედო ჯიბიდან პატარა წიგნაკს იღებს და გატაცებით კითხულობს ამოწერილ ფრაზას:

თედო: „ერთი რამ ვერ გამიგია, რით აიხსნება, რომ როცა პოლონელები ან სხვა ერები აყენებენ თავიანთი ავტონომიის საკითხს, რუსი ამხანაგები ამას მშვიდად იღებენ, მაგრამ საკმარისია ეს ქართველებმა გააკეთონ და ავტონომია მოითხოვონ, რუსები მაშინვე ყალყზე დგებიანო...“ ზუსტად ასე იყო, ყველა კონტექსტში გვავიწროებდნენ, მუდამ გვებრძოდნენ. მაგ დროს მინადორა ახალგაზრდა იყო, სტუდენტი, არ იქნებოდა ამ აზრების ასე ხმამაღლა გამოხატვა ადვილი.

ქეთი: თედო, უკვე მგონია, რომ მარტო მინადორას კი არა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაბადებას ხატავ.

მთხროგელი: ქეთი დგება, თავს ოდნავ მარცხნივ ხრის, ცალ ხელს გულმკერდზე იდებს და პათეტიკურად განაგრძობს ლაპარაკს.

ქეთი: აი, ბოტიჩელის ვენერას დაბადება ხომ არის: სიყვარულის ქალღმერთი ზღვის ქაფიდან იბადება. ჰოდა, ასე იბადება მინადორა შენს ნახატში ოღონდ ქართული დემოკრატიის წიაღიდან. ბოტიჩელისთან რომ მარცხნიდან დასავლეთის ქარი უბერავს, ჩვენთან — დასავლური ღირებულებებია, რომლებიც თვითონ ევროპელებზე ადრე დავამკვიდრეთ საქართველოში.

თედო: კი ბატონო, მინადორას ბიოგრაფიაც ამაზე მიუთითებს: ქალების არჩევნებში მონაწილეობა, ქალი დეპუტატები! თანასწორობის პრინციპები, პარლამენტარიზმი, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება...

ქეთი: ჰო, ვენერას მარჯვნივ გრაცია ხვდება, ჩვენ კიდევ — ბოროტების იმპერია, რომელიც მალე გადაგვყლაპავს და ეცდება, საერთოდ ამოგვიშალოს მეხსიერებიდან ჩვენი სამწლიანი დამოუკიდებლობა...

თედო: შენ იცინე და მართლა ეგრე იყო. იმ დროის თითოეული მნიშვნელოვანი ადამიანის ცხოვრება მთელ ეპოქას ასახავს, მარტო მინადორას მაგალითი რომ ავიღოთ, პირდაპირ გვიყვება უმნიშვნელოვანეს ისტორიულ ეპიზოდებს: რევოლუცია, პირველი მსოფლიო ომი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა, გასაბჭოება, რეპრესიების ერთი, მეორე ტალღა. მილიონობით ადამიანის ტრაგედია... და დღეს ნორმალურად ინფორმაციაც კი არ გვაქვს მათ შესახებ.

მთხროგელი: თედო თავის პატარა წიგნაკში ეძებს რაღაცას.

თედო: ერთ მომენტში სერგო ორჯონიკიძე მიდის მინადორასთან, მეგობრობდნენ.

ქეთი: მეგობრობდნენ? ღმერთო...

მთხროგელი: ქეთი იმედგაცრუებული ჩამოყრის ხელებს და სკამს უბრუნდება.

თედო: რას ვიზამთ, ნათესავი იყო და ბავშვობის მეგობარი. მოკლედ, 1921 წელია, რუსეთის წითელი არმია უკვე საქართვ-

ელოშია. ჩვენთან დაღუპულ ჯარისკაცებს, სახალხო გვარდიელებს, იუნკერებს და მოხალისეებს ასაფლავებენ. ბოლშევიკი ორჯონიკიძე იმ დღეებში ბაქოდან თბილისში ჩამოსულა და მინადორას ნახვა მოუნდომებია. მინადორას უარი უთქვამს. ორჯონიკიძემ რა ქნა, იცი? მის ოთახში აივნიდან გადაძვრა, მაინც ნახა. გამოჰკითხა, როგორ ხარო. რატომ გამოიყურები ცუდადო. მინადორამ უთხრა: „წითელ ჯვარში ვმუშაობ, ვაგროვებ მოკლულებს და ვმარხავ მათ“. ანუ შენგან დახოცილებს ვასაფლავებო, პირდაპირ მიახალა.

მთხრობელი: ქეთის მობილური ურეკავს. ხმას უთიშავს და ნაჩქარევად აგროვებს ნივთებს.

ქეთი: თედო, მაპატიე, უნდა გავიქცე. ხვალ ისევ აქ, ისევ ამ დროს!

თედო: მიდი, მიდი, მე გადავიხდი.

ქეთი: მადლობა...

მთხრობელი: ქეთი გარბის და თაღიდან გამოსძახებს:

ქეთი: და ნახატს როდის მაჩვენებ?

თედო: როცა დავამთავრებ!

სახელოსნო

მთხრობელი: ღამეა. თედოს სახელოსნო უკვე სავსეა მინადორას პორტრეტებით. 7 გრაფიკული ჩანახატი ბიოგრაფიული თანმიმდევრობით მიჰყვება ერთმანეთს: მინადორა ბავშვი; მინადორა ახალგაზრდა მსახიობი; მინადორა ჟენევის უნივერსიტეტის სტუდენტი და პოლიტიკური აქტივისტი, ანთებული, აქტიური; მინადორა სამი შვილის დედა, შედარებით რბილი, მზრუნველი გამომეტყველებით; მინადორა პირველი დეპუტატი ქალი, მტკიცე და თავდაჯერებული მზერით; მინადორა გადასახლების მომენტში, როცა წასაყვანად მიაკითხეს, ის კი სარკესთან მდგარი შლაპას ამაყად ისწორებს. ეს ერთი კადრიც საკმარისია მისი უტეხი ხასიათის ამოსაცნობად. თედომ მინადორას შვილიშვილის მონათხრობიდან გაიგო, რომ ოჯახს ნათელ-მირონით ნათესავი მიუგზავნეს, ვინმე ლევანი. მაშინ მინადორას ქმარი, მალაქია, რამდენიმე დღის აყვანილი იყო. ამას ტრადიციულად ძალიან აგრესიულად, სახლის ჩხრეკით, გადმონგრევით, ადამიანების დამცირებით და დაშინებით აკეთებდნენ... მინადორას ნაკვთი არ გასტოკებია, როცა მიაკითხეს. ირონიით უკითხავს, სავარაუდოდ თავისსავე ნათლულისთვის, რა არის, მიჭერო?! ვინმე ლევანმა იუარა. ორდერი მაჩვენე, ისე არ წამოვალო... ორდერი არ უჩვენებია, ერთადერთი რამ ურჩია: თბილი ტანსაცმელი და ლეიბი წამოიღეო. თბილი ტანსაცმელი და ლეიბი, როგორც უმწარესი განაჩენის მაუწყებელი... ცხადზე ცხადი იყო, რომ გადასახლებაში მიჰყავდათ. მინადორა კი სარკესთან დედოფალივით იდგა და გვირგვინივით ისწორებდა ქუდს.

ბოლო, მე-7 ჩანახატზე 71 წლის მინადორა მატარებლის სადგურზე დგას, გადასახლებიდან დაბრუნებული, დაბერებული და დადუმებული.

თედო საკუთარ ნამუშევრებს დაჰყურებს და ცდილობს, გააერთიანოს, სადღაც შუაში გაჩერდეს, ისეთ წერტილში დადგეს, როცა ჯერ კიდევ არ ჩაჰქრობია ქალს თვალებში შუქი და მომავლის რწმენა. სევდა ნახატიდან ნახატამდე მძაფრდება, სულ უფრო მძიმე და დაღლილია მისი გამოხედვა. ტუჩებთან იმედგაცრუება ეპარება, უპეებთან — სასოწარკვეთა. მაგრამ ყველგან აქვს რაღაც უცვლელი და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი. რაღაც მოუხელთებელი, რის გარეშეც შეუძლებელია მინადორას პორტრეტის დასრულება.

თედო: სიამაყე?

მთხრობელი: ხმამაღლა ეკითხება თავის თავს თედო. მოეჩვენება, რომ რაღაცას ჩაავლო და გამალებით შეუდგება პალიტრაზე ზეთის საღებავების გაზავებას. გეგონება, ეშინია, ძლივს მიგნებული განწყობა ხელიდან არ გაუსხლტეს. თავს იმხნევებს და ხმამაღლა განაგრძობს ლაპარაკს:

თედო: კისერი. როგორ უჭირავს კისერი... ყელი კი არ აქვს მოღერებული, ეს უფრო სხვაა. თავის დაჭერის დახვეწილი მანერა, შინაგანი თავდაჯერება, სიმტკიცე. მხრები ჩამოშვებული, თითქოს მკლავებიც უიმედოდ ჩამოყრილი, მაგრამ კისერში დიდი ძალაა, ნიკაპი ყოველთვის ოდნავ აწეული. ჰო, სიამაყეა.

მთხრობელი: თედოს დავით კაკაბაძის ნახატი ახსენდება. „იმერეთი — დედაჩემი,“ 1918 წელი. ნამუშევარს ინტერნეტში ეძებს. მინადორა თითქოს ჩამოჰგავს კაკაბაძის დედას პირის მოკუმვის მანერით, შუბლით და ყურით. თედო ტილოზე წვრილი ფუნჯით ამკვეთრებს სახის ოვალს, რომელიც ფრთხილად კვეთს ყელის კონტურსაც. ტილოს შორდება და ოთახის ბოლოდან აკვირდება. სიამაყის გარდა კიდევ არის რაღაც, რაც სრულყოფილი პორტრეტისთვის სჭირდება, რაღაც სხვაც უნდა იკითხებოდეს მინადორას თვალებში. თედო აუჩქარებლად, გულდასმით მუშაობს. ფერს სძენს უკვე გამოყვანილ ყვრიმალებს, წარბებს, მკაცრ ტუჩებს, მაგრამ თვალები ისევ დაუხატავი რჩება. მთავარი ჯერ ისევ ამოუცნობია.

თედო: ნეტა რაზე ფიქრობ, რა გაქვს მაგ მზერაში?

მთხრობელი: ფანჯრიდან შემოპარული მეზობლის კატა თედოს გადავსებულ მაგიდაზე ახტება და ჭიქას წააქცევს. ტკბილი ყავა სურათზე ბლანტად იღვრება.

თედო: ეს რა ქენი?!

მთხრობელი: თედო ფოტოებს მივარდება, გადარჩენას ცდილობს, მაგიდას წმენდს. კატა კნავილით გაეცლება. ერთ-ერთი სურათი სრულად იჟღინთება ყავით. შავ-თეთრ გამოსახულებას ფერი ეძლევა, სახე თბება, ცოცხლდება.

თედო: მინადორა ტოროშელიძე... მინადორა... პირველი დეპუტატი ქალი... მინადორა...

მთხრობელი: თედო ბუტბუტით ლეპტოპს უახლოვდება და ინტერნეტში სახელის წარმომავლობის ძიებას იწყებს. კლავიატურაზე „მინადორას“ კრეფს, ღილაკებზე საღებავიანი თითების კვალი რჩება.

თედო: მინადორა ბერძნული სახელია და ნიშნავს „თვის საჩუქარს“. ვა... თვის საჩუქარი!..

მთხრობელი: თედოს მინადორა სწორედ ერთი თვის ვადაში უნდა დაეხატა. შეკვეთის მიღებიდან დღემდე მისი ფიქრები საქართველოს პირველ დემოკრატიულ რესპუბლიკას დასტრიალებდა. თედომ იმდენი იფიქრა, თითქოს მის ცხოვრებაში მხოლოდ მინადორას კი არა საკუთარი წარსულის, საკუთარი თავის გაცნობის თვეც დადგა.

თედო: თვის საჩუქარი... საჩუქარია, აბა, რა?!.

მთხრობელი: თედო იღიმება. ფანჯარაში სიბნელე ტყდება. რიჟრაჟია.

კაფე

მთხრობელი: შუადღეს ქეთი და თედო შეთანხმებისამებრ მწერალთა სახლის ეზოში ხვდებიან ერთმანეთს. ქეთი შეპირებული პრუსტის კითხვარით ცდილობს გამოუძინებელი თედოს გამოფხიზლებას.

ქეთი: მინადორას რისი ეშინოდა ყველაზე მეტად?

თედო: სამშობლოს დაკარგვის, ემიგრაციაში არ გაჰყვა მთავრობას, არადა შესთავაზეს. ამ დროს ქმარი ქუთაისის ციხეში ბოლშევიკებთან ერთად იჯდა, თან სამი შვილი ჰყავდა. მოგონებებში წერს: „გაფიქრებაც არ მინდოდა საზღვარგარეთ წასვლაზე, სამშობლოსა და ახლობლების დატოვებაზე და დავრჩი კიდევაც ტფილისში“.

ქეთი: ანუ, რომ წასულიყო, ასცდებოდა, ხომ, გადასახლება?

თედო: ასცდებოდა...

ქეთი: ნეტა წასულიყო...

თედო: არ უნდოდა და არ წავიდა.

ქეთი: კარგი. სად იცხოვრებდა? მოიცა, ამაზე უკვე გვაქვს პასუხი, ტფილისში. რისი კეთება უყვარდა? ჰობი რა იყო?

თედო: არ ვიცი, ქეთი... რა ჰობი? ჰობი ფუფუნებაა. მანდამდე არ მისულა მისი ცხოვრება, ბავშვობაში შიმშილი და ბრძოლა განათლებისთვის... მერეც სულ ბრძოლა, ბრძოლა თავისუფლებისთვის.

ქეთი: მართალია. საკუთარ თავში რა თვისება აღიზიანებდა ყველაზე მეტად?

თედო: არ ვიცი, მართლა არ ვიცი.

ქეთი: რა გჭირს შენ? ცუდ ხასიათზე ხარ?

თედო: ჰო, დრო გამექცა. ვერ ვხატავ. რაღაც მაკლია... ამდენი რამე გავიგე ამ ადამიანზე და... მაინც არ გამომდის. რაღაც არის მის გამოხედვაში, რასაც ვერ ვიჭერ, სახელს ვერ ვარქმევ, მთავარს ვერ ვხატავ — თვალებს.

ქეთი: ნუ ნერვიულობ, დახატავ. ჯერ კიდევ გაქვს ერთი კვირა. მოდი, გავაგრძელოთ, იქნებ დაგეხმაროს ეს კითხვები...

თედო: მიდი, მაინც არ მომეშვები...

ქეთი: თედო, შენი გადამკიდე, მეც სულ მინადორაზე ვფიქრობ, დამესიზმრა კიდეც.

თედო: როგორ დაგესიზმრა?

ქეთი: ძალიან ჩვეულებრივად. აქ მოვედით, ადგილები არ იყო. მიმტანმა კუთხის მაგიდაზე მიგვითითა, იქ დასხედითო. არადა, იქ ვიღაც ქალი იჯდა. მიმტანი, გეგონება, ვერც ამჩნევდა იმ ქალს. მოგვერიდა, მაგრამ მაინც მივედით, მე ვკითხე, ხომ არ შეგიშლით, აქ რომ ჩამოვსხდეთ-მეთქი. გამიღიმა, თითქოს გაუხარდა ჩვენი მისვლა. დავსხედით. თბილად გვიყურებდა, ხმას არ იღებდა, მალევე წავიდა. რომ წავიდა, მერე ვიცანით. მინადორა იყო.

თედო: ნეტა მე დამსიზმრებოდა...

ქეთი: იმისთვის, რომ ადამიანმა სიზმარი ნახოს, ჯერ უნდა დაიძინოს. შენ საერთოდ აღარ გძინავს! ვაგრძელებ: სხვებში რა აღიზიანებდა ყველაზე მეტად?

თედო: უსამართლობა. რუსებში აღიზიანებდა ის, რომ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არ განიხილავდნენ და მუდამ ცდილობდნენ, ჩაეკლათ ეს სულისკვეთება, ჩაეკლათ თავისუფლება...

ქეთი: ყველაზე მეტად რას ნანობდა?

თედო: არაფერს, ან არ ვიცი, ყველაფერს... ყველა დაუხოცეს, თვითონ გადარჩა, მაგრამ, ვაი მაგ გადარჩენას...

ქეთი: ღმერთო, რა მძიმეა. რა იყო მისი მთავარი მიღწევა?

თედო: ბიოგრაფიას რომ მივყვეთ, სულ მნიშვნელოვანი თანამდებობები ეკავა: 1917 წლიდან იყო ტფილისის ქალთა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი. მერე აირჩიეს საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრად. 1918 წლის 26 მაისს ხელი მოაწერა დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტს. ამ წელს იყო პარლამენტის წევრი. მთავარი ალბათ ესაა. თუმცა დანარჩენიც მნიშვნელოვანია.

მთხრობელი: თედო ჯიბიდან პატარა წიგნაკს იღებს და კითხულობს:

თედო: 1918 წლიდან აირჩიეს საქართველოს წითელი ჯვრის გამგეობის წევრად. 19-დან — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრად; პარალელურად იყო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ქალთა ორგანიზაციების ბიუროს თავმჯდომარე.

ქეთი: ეგ ბიურო რას აკეთებდა?

თედო: ქალთა პოლიტიკური კლუბი და დედათა და ბავშვთა დამცველი საზოგადოება ებარა. როგორც ადრეც გითხარი, 21 წლის თებერვალში, წითელი არმიის შემოჭრისას, მუშაობდა ფრონტზე, წითელ ჯვარში. ოკუპაციის მერე დარჩა თბილისში და ჩაება წინააღმდეგობის მოძრაობაში. მუშაობდა ეგრეთ წოდებულ „არაში“.

ქეთი: „არა“ რა არის?

თედო: „არა“ — „ამერიკული დახმარების ადმინისტრაციაა“, ასევე იყო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ქალთა კომიტეტში, რომელიც არალეგალურად მუშაობდა პოლიტიკური პატიმრების და მათი ოჯახების დასახმარებლად; მოგვიანებით ეს კომიტეტი ბოლშევიკურ საოკუპაციო რეჟიმთან მებრძოლი პარტიების ორგანიზაციად გარდაიქმნა — „საქართველოს პოლიტიკურ წითელ ჯვრად“ და პირველი ხელმძღვანელი რომ დააპატიმრეს, მერე მინადორა ჩაუდგა ორგანიზაციას სათავეში.

მთხრობელი: ქეთი თედოს წიგნაკში იყურება და კითხულობს:

ქეთი: 24 წელს რომ დააპატიმრეს და მოსკოვში გაასახლეს, იქიდან 25 წელს გამოიქცა. ვა...

თედო: მართლა საოცარი ქალი იყო. უშიშარი, დაუდეგარი...

ქეთი: ძალიან მაგარია... და რას თვლიდა ყველაზე დიდ უბედურებად?

თედო: ალბათ მონობას.

ქეთი: როგორ სიკვდილს ისურვებდა?

თედო: სიკვდილს ისურვებდა თავის შვილებზე ადრე! მშვიდს! რუსეთისგან თავისუფალ, დამოუკიდებელ, ძლიერ საქართველოში.

ქეთი: რა იყო მისთვის სიმდიდრე?

თედო: ალბათ ის, რაც „ვეფხისტყაოსანშია“: თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენები. მინადორას თავი არასდროს დაუკარგავს, მგონია, რომ ყველა გადაწყვეტილებაში ახლდა... ანუ ახლდა სინდისი, სინდისის კარნახით დგამდა ნაბიჯებს.

ქეთი: მშვენიერია... რა იყო მისი განსაკუთრებული თვისება?

თედო: ვერ იტანდა ნეპოტიზმს, კონფორმიზმს, საკუთარი მდგომარეობის საკუთარი ინტერესებისთვის გამოყენებას. იყო პერიოდი, როცა მისი ქმარი არალეგალური ბოლშევიკური დაჯგუფების წევრობის გამო დააპატიმრეს. ეს იყო 1920 წელი. მაგ პერიოდში მინადორა მუშაობდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში და რესპუბლიკის დამფუძნებელ კრებაში. ამის მიუხედავად არასდროს უცდია ქმრის ციხიდან დასახსნელად თავისი პოლიტიკური გავლენის გამოყენება.

ქეთი: არ უყვარდა ქმარი?

თედო: ეგ რა შუაშია. ეს ისეთი ქალი იყო, არ მგონია, ხალხის აზრის გამო გაჩერებულიყო ქმართან, რომელიც არ უყვარდა. პირიქით, პოლიტიკური წინააღმდეგობის და იდეური შეუთავსებლობის მიუხედავადაც უყვარდა.

ქეთი: შვილებზეც ასე მოიქცეოდა, ნეტა? შვილის გამოხსნა რომ შესძლებოდა ციხიდან... ან იქნებ, იმ ციხეში ჯდომაც არ იყო ისეთი საშინელი, მალაქია თავის თანამოაზრეებთან ერთად თუ იყო დაპატიმრებული, ალბათ იქაც ერთი ამბავი ჰქონდათ, გეგმებს აწყობდნენ, იდეებს ცვლიდნენ...

თედო: გეკითხა ეგ ყველაფერი მინადორასთვის იმ შენს სიზმარში...

ქეთი: აგერ, შენ გეკითხები. ვინ იყო მისი კერპი?

თედო: ნუ იმ პერიოდის ავტორიტეტები კი იცი — ლენინი, სტალინი...

ქეთი: ღმერთო ჩემო...

თედო: ქეთი, წმინდანს კი არ ვხატავ, შეუცდომელს... თუმცა წმინდანებსაც აქვთ შეცდომები. ადამიანს ვხატავ, თავისი სისუსტეებით, შეცდომებით და გმირობებით. ჩვენ უნდა ვისწავლოთ ამ ადამიანების მიღება ყოველგვარი ჰეროიზმების ან დემონიზების გარეშე. თავისი ცხოვრების ყოველ გადაწყვეტილებაში თავისებურად მართალი იყო, თუნდაც დღევანდელი გადასახედიდან ეს სიმართლე შეცდომად ჩანდეს. მაშინ უკეთეს გამოსავალს ვერ ხედავდა. ზოგჯერ უარესსა და ცუდს შორის უწევდა არჩევა. რაც გააკეთა, არაა საკმარისი? სულ პატარა მონაკვეთი რომ აიღო მისი ბიოგრაფიიდან, მუდამ წნეხის და დევნის პირობებში უწევდა ცხოვრება და არასდროს დაუხევია უკან...

ქეთი: და რა აძლევდა ამ ძალას? რა იყო ამ ენერგიის მუდმივი წყარო? მითხარი, რა იყო მინადორას პერპეტუუმ მობილე?

მთხრობელი: თედო დუმს. წიგნაკიდან მინადორას პატარა სურათს იღებს და ხელში ათამაშებს. მერე ახლოდან აკვირდება, თვალებში ჩაჰყურებს. უცებ სახე უნათდება. მოულოდნელად წამოხტება.

ქეთი: რა იყო?

თედო: მაგას ვეძებდი ამდენს ხანს, ქეთი. ზუსტად მაგ ძალას ვეძებდი!

მთხრობელი: ქეთი დაბნეული უყურებს მეგობარს, რომელიც ჩქარ-ჩქარა კრებს ნივთებს და გარბის. მექანიკურად ქეთიც წამოდგება.

ქეთი: თედო, რა ხდება?

მთხრობელი: თედო მწერალთა სახლის ეზოს თაღიდან გახარებული მოტრიალდება და ქეთის ერთადერთ სიტყვას გასძახებს.

თედო: მადლობა!.. სიყვარული, რა თქმა უნდა, სიყვარული... სხვა რა უნდა იყოს პერპეტუუმ მობილე... შვილების, ქმრის სიყვარული, თეატრის, ხელოვნების, ადამიანების, სიცოცხლის, საქართველოს სიყვარული, თავისუფლების სიყვარული...

მთხრობელი: თედო გარბის, თითქოს სახელოსნომდე უნდა მიასწროს, როგორმე მიიტანოს ეს ერთი სიტყვა, სანთელივით ანთებული პასუხი. ყურებში საკუთარი აჩქარებული გულისცემა ესმის. როგორც იქნა, მიაგნო, როგორც იქნა, იპოვა მთავარი ძალა, რაც ყველა ფოტოში უცვლელი დარჩა, რაც ყველა დროსა და სიტუაციაში გადარჩა, რამაც მინადორას ყოველი გამოხედვა სინათლით გააერთიანა. ახლა თედომ ზუსტად იცის, ვის ხატავს, ვინ არის თვის საჩუქარი, წლის საჩუქარი, საუკუნის, ისტორიის საჩუქარი. მინადორა ტოროშელიძე, რომელსაც ყველაფერი წაართვეს შვილები, სამშობლო, თავისუფლება, მაგრამ სიყვარული — ვერა.

არჩილ წერედიანი

მთარგმნელის მიერ დაძლეული სიძნელეები

კრებულში „თარგმანი როგორც შემოქმედება“, რომელიც დალი ფანჯიკიძეს და მის მთარგმნელობით მოღვაწეობას ეძღვნება, თავმოყრილია სხვადასხვა ავტორთა სტატიები, მოხსენებები თუ გამოსვლები, სადაც გადმოცემულია მთარგმნელის ამა თუ იმ ნამუშევრის არა მხოლოდ შეფასებები, არამედ კრებულში შესული ტექსტები ისეა შერჩეული, რომ უმეტეს შემთხვევაში წარმოდგენილია ავტორების თარგმანის პროფესიონალური და კონკრეტულ მაგალითებზე დამყარებული ანალიზი.

თავიდანვე უნდა ვთქვა, რომ ჩემი მიზანი არა იმდენად თავად დალი ფანჯიკიძის, როგორც კლასიკოსი მთარგმნელის შეფასება და მისი მემკვიდრეობის ანალიზი იქნება (თუმცა, რა თქმა უნდა, ამას ვერ ავუვლით გვერდს, ამისთვის თავად კრებულის გაცნობა სრულიად საკმარისია), არამედ უფრო მეტად უშუალოდ კრებულის მიმოხილვა და შეფასება.

დღესდღეობით დალი ფანჯიკიძის გერმანულიდან შესრულებული თარგმანები კლასიკადაა ქცეული და მთარგმნელის გამორჩეულობაც ეჭვქვეშ არ დგება. მის მიერ შესრულებული თარგმანების მეშვეობით ქართველი მკითხველი გერმანული ლიტერატურის ფუნდამენტური მნიშვნელობის ტექსტებს დღემდე ეზიარება. ნაწარმოებები, რომელსაც დალი ფანჯიკიძემ ხელი მოკიდა, იმდენად განსხვავებულია ერთმანეთისაგან, რომ ეს მრავალფეროვნება უკვე მეტყველებს რამხელა დიაპაზონი უნდა ჰქონდეს ასეთ მთარგმნელს, რამხელა ძალისხმევა და ნიჭია საჭირო მათ ქართულად ამეტყველებისთვის. კარგი მხატვრული თარგმანი ნაწარმოების ერთი ენიდან მეორეზე გადატანა როდია, ამისთვის საკმარისი იქნებოდა ენების ცოდნაც, არამედ მას ვინც ამ საქმეს ხელს ჰკიდებს, ენის სიღრმისეულ ცოდნასთან ერთად, ავტორის ორიგინალური სტილის ზედმიწევნითი მგრძნობელობა და მისი გათავისება უნდა შეეძლოს. შემდგომ კი ამ სტილს თარგმანშიც შესატყვისი ეკვივალენტი მოუნახოს. აი, რას წერს თავად დალი ფანჯიკიძე აღნიშნულთან დაკავშირებით, როდესაც თომას მანის „ჯადოსნური მთის“ მისეულ თარგმანზე საუბრობს: „მე მინდოდა შემექმნა ქართული წიგნი და ამავე დროს არ დამეკარგა მისთვის გერმანულობა... ამას მხოლოდ მაშინ ახერხებ, როცა მოცული ხარ იმ სამყაროთი, რომელიც არის ნაწარმოებში, შენ რომ თარგმნი. მთარგმნელი შემოქმედია, მაგრამ მოქცეული იმ ფარგლებში, რასაც სთავაზობს ესა თუ ის სათარგმნი ნაწარმოები და მას არა აქვს უფლება, იქიდან თვითნებურად გამოვიდეს.“

აი, იმ ავტორთა და ნაწარმოებთა მცირე ჩამონათვალი, რომელიც დალი ფანჯიკიძემ ქართული ლიტერატურის ნაწილად აქცია: თომას მანი — „ჯადოსნური მთა“, „ბუდენბროკები“, „ყალთაბანდ ფელიქს კრულის აღსარება“; მაქს ფრიში — „ჰომო ფაბერი“, „ვიქნები თუნდაც განტენბაინი“; ულრიხ პლენცდორფი — „ახალგაზრდა ვ-ს ახალი ვნებანი“; ჰერმან ჰესე — „ფიქრი და განსჯა“; ჰაინრიხ ბიოლი, ალფრედ დიობლინი, ინგებორგ ბახმანი, თანამედროვე ავსტრიელი ავტორების მოთხრობები, რაინერ მარია რილკეს წერილები, ფელიქს ბრაუნისა და ინგებორგ ბახმანის პოეზია, გრიგოლ რობაქიძე, იოჰან ვოლფგანგ გოეთეს „პოეზია და სინამდვილე“. მხოლოდ ავტორთა სახელებისთვის თვალის გადავლება საკმარისია იმის გასაგებად, რომ ასეთი ფართო სპექტრის ავტორთა თარგმნისას სტილის პოვნა ურთულესი რამაა.

თავად კრებულს რომ მივუბრუნდე, თავიდანვე აუცილებლად უნდა ვთქვა, აღნიშნული კრებულის მიზანი არ არის დალი ფანჯიკიძის პიროვნების ან თუნდაც მისი თარგმანების უაპელაციოდ ხოტბის შესხმა, მასში შესული სტატიების ავტორთა პირადი, სუბიექტური დამოკიდებულებების გამომჟღავნება (პირად ემოციებს, თუკი ასეთს აქვს ადგილი, არ სცილდება ზომიერების ფარგლებს). პირიქით, კრებულის უდავო ღირსებაა ის ფაქტი, რომ აქ შემავალი სტატიები უმეტესწილად საქმიანი და ინფორმატიულია. ავტორების უმეტესი ნაწილი დალი ფანჯიკიძის თარგმანებს საკმაოდ სიღრმისეულად და გამოწვლილვით აანალიზებენ. ამ მხრივ საინტერესო ელფერს სძენს კრებულს მასში შესული ძველი — გასული საუკუნის 70-80-იანი წლების დროინდელი სტატიები, მოხსენებები თუ გამოსვლათა ფრაგმენტები. კრებულს სწორედ ასეთი, ლევან ბრეგაძის მოხსენების ტექსტი ხსნის: „ითარგმნება „ჯადოსნური მთა“ (1976). საინტერესო აქ ისაა, რომ მოხსენების წაკითხვისას თარგმანზე მუშაობა ჯერ კიდევ მიმდინარეობს. ამის გამო მასში გამოთქმული მოსაზრებები, შეფასებები, კონკრეტული რჩევები თუ შენიშვნები უაღრესად საქმიანია. აქ მკითხველი, თუ შეიძლება ასე ითქვას, მთარგმნელის შიდა სამზარეულოში იხედება და კონკრეტულ მაგალითებზე ხედავს რა დილემები, რა სიძნელეებია მთარგმნელის წინაშე თითქმის ყოველ ნაბიჯზე. ლევან ბრეგაძის ამ მოხსენების უდავო ღირსებაა ის, რომ მთარგმნელის უნარებისა და მისი ნიჭის ხაზგასმის მიუხედავად, აქ ნაკლებად ჩანს მორიდება, თამამადაა გამოთქმული რჩევები და შენიშვნები მომავალი კლასიკოსი მთარგმნელისადმი. თარგმანის კონკრეტული ადგილების



ორიგინალთან შედარების გზით, ლევან ბრეგაძე არა მხოლოდ თომას მანის მთარგმნელის ორიგინალურობის, ნიჭის, მთარგმნელობითი უნარების დემონსტრირებას ახდენს, არამედ, ამავე დროს, თითქოს დამწყები მთარგმნელებისთვის ერთგვარ მასტერკლასსაც ატარებს. კრებულის სწორედ ლევან ბრეგაძის მოხსენებით გახსნა კრებულის შემდგენლის წარმატებული ნაბიჯია, რომლითაც ერთგვარად განისაზღვრება მთელი წიგნის მიმართულება და ხასიათი.

კრებულში შესულია კიდევ ერთი, ნოდარ კაკაბაძის მცირე რადიოგამოსვლის ტექსტიც, რომელიც 1980 წელსაა ჩაწერილი. აქ ავტორი თომას მანის, როგორც ურთულესი ავტორის შესახებ მსჯელობს, რომლის სათარგმნადაც საკმაოდ ფართო და მრავალმხრივი ცოდნაა საჭირო. ეს საქმე მოითხოვს შოპენჰაუერის, ნიცშეს, ფროიდისა და სხვა მოაზროვნეთა კონცეფციების ღრმად გააზრებას. ეს იმისთვისაა საჭირო, რომ მკითხველი ბოლომდე მიჰყვეს ალუზიებს და ტექსტში არ დაიკარგოს. ვიდრე მთარგმნელი თომას მანის თარგმნას ხელს მოჰკიდებს, იქამდე იგი ვალდებულია, ღრმად გაერკვეს აღნიშნულ საკითხებში. ნოდარ კაკაბაძე მოკლედ მიმოიხილავს თომას მანით დაინტერესების ისტორიას საქართველოში და, რა თქმა უნდა, საგანგებოდ გამოარჩევს თავად დალი ფანჯიკიძის როლს ამ თვალსაზრისით.

კრებული გრძელდება ლევან ბრეგაძის კიდევ ერთი, კვლავ 1980 წლის მცირე გამოსვლის ტექსტით, სადაც ავტორი ამჯერად დალი ფანჯიკიძის თეორიულ შეხედულებებს წარმოგვიჩენს თარგმანის პროცესის და ამ საქმისადმი მისეული მიდგომის თავისებურებების შესახებ. სტატიის ავტორი ცდილობს, ჩაგვახედოს როგორც მწერლისეული ოსტატობის ნიუანსებში, ასევე — მთარგმნელის, როგორც თანაშემოქმედის წინაშე არსებული სიძნელეები, რათა ეს ნიუანსები შეძლებისდაგვარად უცვლელად და ადეკვატურად გადმოიტანოს ორიგინალის ენიდან. უნდა ითქვას, რომ კრებულის ამ მონაკვეთში, სადაც ძველი სტატიებისა თუ გამოსვლების ტექსტები შედის, მთარგმნელი შეფასებულია არა როგორც უკვე შემდგარი კლასიკოსი და მასზე საუბარი მხოლოდ მისადმი პატივის მიგებას კი არ ემსახურება, არამედ სწორედ აქ ხდება რეალური შეფასება დალი ფანჯიკიძისა, რაც ჩვენს წინაშე აცოცხლებს ლიტერატურული თარგმანისა და მისი კრიტიკის ჯანსაღ ურთიერთობას. საინტერესოდ აღიქმება თარგმანთა შეფასებები არა დროის დისტანციიდან, არამედ მაშინდელი დროიდან, როდესაც ეს თარგმანები შექმნის პროცესში იყო, ან სულ ახალი დასრულებული გახლდათ. ეს კრებულის ერთ-ერთი ღირსებაა, რადგან მასში არა მხოლოდ დამწყები თუ უკვე გამოცდილი მთარგმნელი აღმოაჩენს სიახლეებს, არამედ აქ მომავალი კრიტიკოსიც ბევრ საინტერესოს იპოვის.

მოხსენებათა რადიოჩანაწერებს ასრულებს უკვე თანამედროვე მთარგმნელის, გიორგი ლობჟანიძის „რადიო თავისუფლების“ რუბრიკა „ბიბლიოთეკისთვის“ შექმნილი პატარა ტექსტი, რაც კვლავ და კვლავ თომას მანის „ჯადოსნური მთის“ ჯადოსნურ თარგმანს ეძღვნება.

ამას სტატიების ციკლი მოჰყვება, რასაც ლევან ბერძენიშვილის სტატია ხსნის: „ჯადოსნური თარგმანი. დალი ფანჯიკიძე და „ჯადოსნური მთა“. აქ ავტორი გვესაუბრება გასული საუკუნის 70-80-იან წლებში ქართულ მთარგმნელობით სკოლაში დამკვიდრებული ტენდენციების შესახებ, რაც მწერალთა სტილის საკითხებს ეხება: თუ რამდენად საჭიროა მთარგმნელს თავად ჰქონდეს საკუთარი სტილი და მას მიუსადაგოს ორიგინალის სტილიც. ამის ფონზე ნაჩვენებია როგორ ჩაეწერა დალი ფანჯიკიძე და მისეული მიდგომა ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში. ლევან ბერძენიშვილის აზრით სწორედ დალი ფანჯიკიძის დამსახურებაა, რომ განსაკუთრებით მაღალფარდოვან სტილზე უარის თქმის მეშვეობით შეექმნა ელიტური გერმანული რომანის მასობრივად კითხვადი ქართული თარგმანი. სტატიის ავტორი მაგალითებით გვიჩვენებს, თუ რა უპირატესობები გააჩნია თომას მანის ქართველ მკითხველს რომანის უკეთ გასააზრებლად, რაც სწორედ დალი ფანჯიკიძის დამსახურებაა. ხაზგასმულია მისეული თარგმანის „სიმარტივე“, რაც მართლაც დიდი ღირსებაა.

ნინო ფირცხალავას წერილი „დედაენით შემლოცველიც“ ჯადოსნური მთის“ თარგმანს ეძღვნება. არ არის გასაკვირი დალი ფანჯიკიძის მთარგმნელობით მემკვიდრეობისადმი მიძღვნილ კრებულში დიდი ადგილი სწორედ ამ რომანს ეჭიროს, რადგან შეიძლება ითქვას, რომ ეს ტექსტი მეოცე საუკუნის მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი ფუნდამენტია, ამავე დროს მთარგმნელის საუკეთესო ნამუშევრადაც შეიძლება მივიჩნიოთ. სტატიის ავტორი მსჯელობს რომანის სირთულეზე, მის მრავალშრიანობაზე, სტილის თავისებურებებზე, თემათა მრავალფეროვნებაზე: „ამ რომანში ხომ ერთმანეთშია გადახლართული მითოსური სიმბოლიკით დატვირთული ფარული, საგულდაგულოდ დაშიფრული შიდა ფენები და ზღაპრის ელემენტები, ამასთანავე ფილოსოფიური, თეოლოგიური და საბუნებისმეტყველო დარგების ცნებებით უხვად დატვირთული ეს პროზაული ტექსტი, ვაგნერიანული ლაიტმოტივების ტექნიკის წყალობით, კონტრაპუნქტულ ნაწარმოებად, ერთგვარ სიმფონიად იქცევა“. სტატიის ავტორი მიუთითებს, რომ ამ სირთულის ფონზე, მთარგმნელის მიზანი, ზომიერების დაცვასთან ერთად, ტექსტში არსებული პოეტურობაც შეინარჩუნოს, რაც კიდევ უფრო მეტ სირთულესთან არის დაკავშირებული. ნინო ფირცხალავა ამგვარი წინააღმდეგობების გადაჭრის დალი ფანჯიკიძისეული გზის წარმოსაჩენად მისივე, 1988 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომს — „თარგმანის თეორია და პრაქტიკა“ — ეყრდნობა. შენიშნულია, რომ აღნიშნული ნაშრომი მძიმე თეორიული მსჯელობებით კი არ არის დატვირთული, არამედ აქ მთარგმნელი მისეულ გამოცდილებას უზიარებს მკითხველს. სტატიის ავტორს მოჰყავს გოეთეს, ვალტერ ბენიამინის, ი გასეტის და სხვათა შეხედულებები თარგმანის და მისი მნიშვნელობის შესახებ და ამის შემდგომ ავტორიტეტთა მოსაზრებები შედარებულია თავად დალი ფანჯიკიძისეულ მთარგმნელობით მიდგომებსა და პრაქტიკასთან და დაასკვნის: „მხატვრული თარგმანი მასში უცხო და მშობლიური კულტურის შერწყმის ხარისხით ფასდება, ამიტომაც „ჯადოსნური მთის“ მისეული თარგმანი, უცხო და მშობლიური კულტურის ელემენტების იმ ხარისხის სინთეზი, რომელშიც ქართულენოვანი სააზროვნო სივრცის შესაძლებლობათა ერთიანობის მაქსიმალური ათვისების წყალობით, ერთდროულად იქმნება ირონიული და თან ინტელექტუალური თხრობის შთაბეჭდილება, წარმოუდგენლად რომ შერწყმულა წმინდა გერმანულ ატმოსფეროსა და ხასიათთან.“

ალექსანდრე კარტოზიას წერილი „თომას მანის „ბუდენბროკების“ დალი ფანჯიკიძისეული თარგმანის შესახებ“ კრებულის კიდევ ერთი საინტერესო მონაკვეთია. აღნიშნული ნაწარმოები თომას მანის პირველი რომანია და თავის მხრივ, დალი ფანჯიკიძეც იმ დროისათვის, როდესაც მის თარგმანს მოჰკიდა ხელი, სრულიად ახალბედა მთარგმნელი იყო. სტატიის ავტორი შენიშნავს, რომ სქელტანიანი რომანის თარგმნისას, ყველაზე რთული დასაძლევი ტექსტის დასაწყისი ნაწილია. სწორედ რომანის დასაწყისს უტრიალებს სტატიის ავტორიც. აქ მრავლადაა მოყვანილი ავტორისეული, გერმანულენოვანი მონაკვეთები და შემდგომ გაანალიზებულია მთარგმნელის განსხვავებული მიდგომები და სტრატეგიები სწორედ ამ კონკრეტული ფრაგმენტების მაგალითზე. სტატია კრებულის იმ ნაწილს უნდა მივაკუთვნოთ, სადაც მხოლოდ ზოგად შეფასებებს თარგმანის ხარისხისა და მხოლოდ თეორიული შეხედულებების წარმოჩენას კი არ ვაწყდებით, არამედ კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით არის ნაჩვენები მთარგმნელის ოსტატობა. ეს კი განსაკუთრებით საყურადღებოს ხდის კრებულს დამწყები თუ გამოცდილი მთარგმნელებისათვის. განსაკუთრებით მათთვის, ვინც გერმანული ენის მცოდნეა და გერმანულიდან თარგმნის, სტატია კარგ მაგალითებს და დაკვირვებებს იძლევა და დაინტერესებულ მკითხველს, მთარგმნელობითი უნარების განვითარებაშიც დაეხმარება.

კიდევ ერთი სტატია, სადაც დალი ფანჯიკიძის, როგორც მთარგმნელის, მისეული მეთოდის შესახებ კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით არის მსჯელობა გაშლილი, ლევან ცაგარელს ეკუთვნის. აქ უკვე სხვა ავტორზე, მაქს ფრიშზე და ფანჯიკიძისეულ „homo Faber“-ის თარგმანზეა საუბარი. სტატიის ავტორი ჯერ უშუალოდ მწერალზე და მისეულ სტილზე გვესაუბრება, შემდეგ მთარგმნელის მიდგომაზე . იგი ცდილობს, პასუხი გასცეს შეკითხვებს თუ „რა გამოწვევებს წააწყდა მთარგმნელი და რა გადაწყვეტილებები მიიღო მან თარგმანზე მუშაობის პროცესში? რამდენად შეძლო მთარგმნელმა ტექსტის ესთეტიკურ თავისებურებათა სამიზნე ენაში გადატანა? რამდენად „ახლოსაა“ ერთმანეთთან დედანი და თარგმანი? როგორია „ჰომო ფაბერის“ დალი ფანჯიკიძისეული ინტერპრეტაცია.“ სტატიას განსაკუთრებით გამოარჩევს ის ფაქტი, რომ აქ საუბარი ეხება მთარგმნელს, როგორც არა მხოლოდ ერთი ენიდან მეორეზე ტექსტის გადამტანს, არამედ ყურადღება გამახვილებულია მთარგმნელის ფიგურაზე, როგორც ინტერპრეტატორზე. აქვე ვახსენოთ ანა კორძაია-სამადაშვილის წერილიც, რომელიც ასევე მაქს ფრიშის „ვიქნები თუნდაც განტენბაინის“ თარგმანს ეძღვნება.

საინტერესო და გამორჩეულია დავით კაკაბაძის მცირე წერილი ულრიხ პლენცდორფის „ახალგაზრდა ვ-ს ახალი ვნება-

ნის“ შესახებ. სტატია იმითაა საინტერესო, რომ ავტორი ყურადღებას ამახვილებს მთარგმნელობით საქმეში კონკრეტულ ასპექტზე და სირთულეზე, კერძოდ ჟარგონზე და მისი გადმოთარგმნის პრობლემურობაზე. ჟარგონის პრობლემა ისაა, რომ იგი არ ემთხვევა სალიტერატურო ენას და მის ლექსიკურ ერთეულებს. ამავე დროს, ირგვლივ არსებულ გარემოსა და მის ხასიათს გვიმჟღავნებს. აღნიშნული რომანი ერთდროულად რამდენიმე ლიტერატურული წყაროთია ნაკვები. ერთი მხრივ, სახეზეა მეთვრამეტე საუკუნის ამაღლებული სტილი, ამის პარალელურად, მეოცე საუკუნის 70-იანი წლების აღმოსავლეთგერმანული ჟარგონით დატვირთული მონაკვეთები. ეს კი მთარგმნელის წინაში განსაკუთრებულ სირთულეებს ქმნის. ეს სტილური თავისებურებები კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის დალი ფანჯიკიძის მთარგმნელობით უნარებსა და ნიჭს, რომ ალღო აუღოს არა მხოლოდ სხვადასხვა ეპოქის ავტორთა სტილურ განსხვავებულობას, არამედ ერთი ტექსტის ფარგლებში მოქცეულ წინააღმდეგობრივ სტილთა შერწყმასაც.

ქეთევან მეგრელიშვილის წერილი „არა ყვავილით ჰკლა! ალფრედ დიობლინის „ბაბუაწვერას მკვლელობა“ ქართულად“ ექსპრესიონისტული ნოველის, ერთ-ერთ საუკეთესო ნოველის, ქართულ თარგმანს ეძღვნება, რომელიც მეოცე საუკუნის დასაწყისშია დაწერილი, დალი ფანჯიკიძემ კი იგი ასი წლის შემდეგ თარგმნა. სტატიის ავტორი სვამს კითხვას თუ რატომ შეაჩერა თავისი ყურადღება დალი ფანჯიკიძემ სწორედ ამ ნოველაზე. თავისთავად ცხადია, ეს არჩევანი შემთხვევითი არასოდესაა: „რატომ მაინცდამაინც დიობლინის ეს ნოველა? მთარგმნელი ხომ უკვე მისი არჩევანით განსაზღვრავს ამა თუ იმ ნაწარმოების ბედს. მის ოსტატობაზეა დამოკიდებული, შედგება თუ არა ნაწარმოების მეორე, ხელახალი ცხოვრება ახალ ენობრივ და კულტურულ სივრცეში.“ აქვე მოყვანილია დალი ფანჯიკიძის საინტერესო შეხედულებები იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ რა განაპირობებს ზოგადად მთარგმნელის ამ არჩევანს: „სათარგმნი მასალის შერჩევას ორი მხარე აქვს: უპირველეს ყოვლისა, არის თუ არა რომელიმე უცხო ნაწარმოები თავისი შინაარსობრივი და მხატვრული ღირებულებით შენი ერის კულტურული განვითარების მოცემულ ეტაპზე მნიშვნელოვანი და მეორე, შეგწევს თუ არა ძალა დედნის მხატვრული ეკვივალენტი შექმნა მშობლიურ ენაზე.“ „თარგმნისას ერთმანეთს ხვდება არა მარტო ორი სხვადასხვა ენა, არამედ ორი სხვადასხვა კულტურა, სხვადასხვა ლიტერატურული ტრადიცია, ცნებების აღქმისა და მოვლენების შეფასების განსხვავებული კრიტერიუმები, თუნდაც სათაკილოსა და მოსაწონის, საჩოთიროსა და მისაღების, სამარცხვინოსა და საქებრის, სასაცილოსა და სატირლის განსხვავებული გაგება სხვადასხვა ხალხის შემეცნებაში.“

თარგმანი, საბოლოო ჯამში, მაინც გამტარია, შუალედური რგოლია ორ ენას, ორ კულტურას შორის. სტილი და მიდგომაც ორიგინალთან შესატყვისობაში უნდა იყოს. თუკი მწერალს ინდივიდუალურობა, სტილის ორიგინალურობა ღირებულებას მატებს, მთარგმნელი ამ მხრივ იჩაგრება. თუმცა არჩევანი, თუ რას ჰკიდებს ხელს მთარგმნელი, ავლენს მის გემოვნებასა და შემოქმედებით თუ მსოფლმხედველობრივ პოზიციებს. პოეზიის თარგმნისას კი ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება, ამასთან ვლინდება მისი ორიგინალური პოეტური ნიჭიც. კრებულის შემდეგი რამდენიმე სტატია სწორედ დალი ფანჯიკიძის ხასიათს და ინდივიდუალობას აჩვენებს მკითხველს. ამ მხრივ განსაკუთრებულ ელფერს ატარებს ემზარ კვიტაიშვილის წერილი „სრულქმნილი სიტყვის ოსტატი“, სადაც ავტორი განსაკუთრებული უშუალობით საუბრობს დალი ფანჯიკიძეზე, მასთან თანამშრომლობის საინტერესო გამოცდილებაზე, რაც მთარგმნელის საქმისადმი დამოკიდებულებას უსვამს ხაზს. სტატიის ავტორი განსაკუთრებული სითბოთი იგონებს ჰერმან ჰესეს კრებულს, საიდანაც განსაკუთრებული პოეტურობით რამდენიმე ნოველას გამოარჩევს და ფანჯიკიძისეული თარგმანიდანაც მოჰყავს მაგალითები. შემდეგ მსჯელობს ინდებორგ ბახმანის პოეზიის მისეულ თარგმანზე. ეს სტატია იმითაც გამოირჩევა, რომ დალი ფანჯიკიძე ძირითადად პროზაული თარგმანებით არის ცნობილი და შედარებით ჩრდილშია მოქცეული მისი პოეტური თარგმანები, აქ კი სწორედ ეს მხარეა ნაჩვენები. ემზარ კვიტაიშვილი ჩვეული უშუალობითა და პოეტურობით, მაგრამ ამავე დროს დიდი პროფესიონალიზმით საუბრობს ბახმანის პოეზიის თავისებურებებზე და მკითხველს პოეტური თარგმანის ღრმა ნიუანსებში ახედებს.

მთარგმნელის პიროვნული ხასიათისა და ინდივიდუალობის უკეთესად დასანახად კრებულში კიდევ ორი სტატიაა, რომელიც დალი ფანჯიკიძის პოეტურ თარგმანებს შეეხება: ივანე ამირხანაშვილის „თარგმანი, როგორც ხასიათი“ და მაია გამეზარდაშვილის „ფელიქს ბრაუნის პოეზიის ქართული თარგმანი“.

რა თქმა უნდა, კრებულის ამ მცირე მიმოხილვაში არ შევეხები თითოეულ სტატიას, რომელიც მასში შედის. აქ არაერთი სხვა წერილიცაა, რომელსაც ამ მცირე მიმოხილვაში არ შევხებივართ. ჩემი მიზანი მკითხველში ინტერესის აღძვრაა. კრებული პირობითად ორი ნაწილისაგან შედგება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთი ნაწილი 1970-80-იან წლებშია შექმნილი და თავისთავად უკვე აქვს კრიტიკის ისტორიისთვის მნიშვნელობა, მეორე ნაწილი კი სწორედ ამ კრებულისთვისაა დაწერილი, თუმცა მის შემდგენელთა სასახელოდ უნდა ვთქვა, რომ მათთვის, ვინც მთარგმნელობითი საქმიანობითაა დაინტერესებული, ეს წიგნი მრავალმხრივ იქნება საინტერესო და ბევრ პრაქტიკულ, საქმიან რჩევას იპოვის.

ილია გველესიანი

გამოუძინებელი

მაღვიძარა საათი
მეგობრობას არ მიწევს,
უთენია უზრდელად
დარეკავს და მაღვიძებს.

დედაჩემის ძახილით
გული ხომ სულ ამდება:
— თიკო, ჩქარა ადექი,
ბაღში გაგვიანდება!

გინდ ზარმაცი მეძახეთ,
გინდაც მწარედ დამცინეთ,
ოღონდაც ჩემს გემოზე
ერთხელ გამომაძინეთ!

ვთამაშობთ სადილობანას

— ყურადღება!
ყურადღება!
გასაგონად პატარის!
გთხოვთ,
სუფრასთან დაბრძანდით,
ცხელი კერძი მზად არის.
ნუ დაარღვევთ მაგიდასთან
ადათ-წესებს ჭამისა!
ერთი კოვზი დედისაა,
ერთი კოვზი — მამისა;
ერთი კოვზი ბებოსია,
ერთი კოვზი — მამიდის.
შეაჩერეთ ყველა კოვზი,
თუ პირისკენ არ მიდის!
ჩუქუ-ჩუქუ მატარებელს
გაუხსენით გვირაბი.
— გაგვატარეთ! —
გაჰყვირიან
კუ, ზღარბი და ჟირაფი.
— გუგუ-გუგუ! —
გუგუნებენ
მატარებლის ბორბლები.
— ჩქარა-ჩქარა!
ჩქარა-ჩქარა!
გავიარეთ სოფლები.
— რა კარგია,
რა კარგია,
ყველა ერთად ვიქნებით!
მოგვაქვს ბურთი, სახტუნაო
და ზღაპრების წიგნები!
— ახლა ჩვენი ჯერი არის,
არ მიგვიღებთ მარტორქებს?

გეხვეწებით, გვეშინია,
ნუ დაგვტოვებთ მარტოკებს.
— გაიარეთ, გამატარეთ,
უბილეთო მგზავრი ვარ.
ვერ მიცანით?
შემომხედეთ,
ციცქნა დინოზავრი ვარ!
— გააჩერეთ, არ გაუშვათ
უბილეთო მგზავრები! —
წკრიალებენ იისფერი
სადგურების ზარები.
— აგერ, ჩვენ გვაქვს ბილეთები,
ნუ გგონივართ ობლები!
მალე წამოგვეწევიან,
თეფშში სხედან მშობლები!
— დააჩუმეთ ეს კურდღლები,
რა სიმღერას მღერიან!
— გაგვატარეთ, ბატონებო,
ახლა ჩვენი ჯერია!..
— ჩქარა, ყველამ ჩამოიღეთ
ბარგი, ეგერ, ზევით დევს.
— ყურადღება!
ნუ დატოვებთ
თქვენს ჩანთებს და ჩემოდნებს.
შეადგინეთ უბილეთო,
გთხოვთ, მგზავრების სიები.
ვინც კი დარჩა ჩასასვლელი
სპილოს კუდზე მიებით.
— მარტო დავრჩი მელაკუდა,
ძლივს მოვედი აქამდის...
— ა, გვირაბი ღია არის,
გთხოვთ, მიბრძანდით...
ნახვამდის!

ვის ცივა და ვის არა

ცივა, ცივა, ლამის არის,
გაითოშონ ჩიტები.
მელიები კანკალებენ,
ცხვირიდან სდით წვინტლები.
თერმომეტრში ვერცხლის წყალი
დგას ოცდახუთ მინუსზე.
თეთრი დათვი ციგურებით
დასრიალებს ყინულზე.
ჭრელ ზღვაზე რომ გადებული
გაყინული ხიდია,
ზღვის ლომები იქ დგანან და
ტკბილ ნაყინებს ყიდიან.
ნაყინებზე მარტო სულ რომ
პინგვინების რიგია,
მეც თაგვივით ვფიქრობ, მაგრამ,
რა ვქნა, ვერ გამიგია.
ეუბნება ზღარბი ჟირაფს:
— ამ ყინვაში, ჟირაფო,
ჩვენ ვერ შევჭამთ მაგ ნაყინებს,
თუნდაც გააიაფონ.

თაგვის იმედით

აკნატუნებს ხუთი
მზესუმზირას კნუტი.
ნახეთ, სორო რას ჰგავს!
ზედ ძირს ჰყრიან ნაგავს...
იმედი აქვთ თაგვის,
რომ მოვა და დაგვის.

კლასობანა

— აღარ მინდა თამაში,
შენთან, ძმაო მელია!
ბრჭყალი როგორ გამკარი,
ტვინი გამოგელია?!

— კლასობანას თამაში
არ გცოდნია, მამალო.
რა ვქნა, აბა, მითხარი,
ბრჭყალები სად დავმალო?

— კმარა, თათი გამიშვი,
ნერვები მაქვს მოშლილი,
საქათმეში მივდივარ,
მელოდება ცოლ-შვილი.

მე და კუ

— ნახე, დედი, ბუჩქებში
რა ლამაზი კუ არის!
მოდი, სახლში წავიყვან,
გთხოვ, არ მითხრა უარი.
ფეხი ვერ გადაუდგამს
წესიერად საცოდავს.
სახლში თავის დედიკო
აჭმევს, ალბათ, რა ცოტას!
შინ მივიყვან, შევაჭმევ
სუფს, ფაფას და ფუნთუშებს.
მერე, ნახე, მინდორში
როგორ გაიკუნტრუშებს.

მელია და მონადირე

კოხტაპრუწა ნარჩიტაო
მელამ შორით გაჩითაო.
დაიჭირა, წაიყვანა,
გაიმინდვრა, გაიყანა.
მონადირემ დაინახა,
სულ ცხვირ-პირი დაინაყა.
დაუძახა:
— მელიაო,
ტყვია გამომელიაო.
შენი იყოს დღეისაო,
ხვალ განახებ სეირსაო!
მელაკუდამ მიაძახა:
— ხმა გაკმინდე, ვიღაცა ხარ!
ჯერ მჭირდება მიგნებაო,
ვერ მპოულობ იქნებაო.
არ დაუკრათ საჭიდაო,
მელას დარჩა ნარჩიტაო.
მელაკუდას — ტაშიაო,
მონადირე — ჭაშიაო.

მივდივართ სპილოსთან

გუშინ სპილომ დამირეკა,
დამპატიჟა ყავაზე.
მერე მითხრა:
— შენებურად
კუდს ნუ გადებ ყავარზე.
ხვალ საღამოს ექვს საათზე
უსიკვდილოდ შინ გელი.
რომ იცოდე, ცეკვისათვის
ცირკში მომცეს სიგელი.
აფრიკიდან ჩამომივლენ
სტუმრად კუ და გუგული.
საყვარელი მეგობრისთვის
მოდი, გიძგერს თუ გული.
თან ირინე მომიყვანე,
ასეთი მაქვს სურვილი! —
პასუხს არც კი დაელოდა,
დამიკიდა ყურმილი.
წინასწარ ვგრძნობ, სპილოს სუფრა
რომ ექნება მეფური.
საჩუქრად კი რა ვუყიდო,
რომ არა მაქვს მე ფული?
თუმცა, ისიც კი არ ვიცი,
სიმინდს ჭამს თუ სტაფილოს.
რანაირი ცხოველია,
რას გაუგებ ამ სპილოს!

→

ᲛᲝᲛᲐᲙᲕᲓᲐᲕᲘ ᲧᲕᲐᲕᲘ

იმდენი ჭამა
ყვანჩალამ ყველი,
ერთად ასტკივდა
კუჭი და ყელი.
სამას ერთი წლის
მოხუცებული
ბუდეში იწვა
გაოცებული; —
მეგობარს ყველი
რომ არ გაუყო,
მისმა დაწყევლამ,
ნახეთ, რა უყო!
კართან სიკვდილის
რეკავდა ჟამი.
კვდებოდა ყველის
ძუნწი და ხამი.
შვილი მოუკლეს,
დატოვა ცოლმა,
ძმა შარშან ქარხნის
გაგუდა ბოლმა.
ამიტომ თავთან
არავინ ეჯდა.
საწყალი ბალიშს
სიმწრისგან გლეჯდა.
სტკიოდა ყელი,
სტკიოდა კუჭი.
სიცოცხლე ყველმა
გახადა ფუჭი.
ზამთარი იდგა,
წიოდა ქარი,
ხის ჭრიალებდა
ცისფერი კარი.
ყვავს არ სციოდა
(მადლობა, ღმერთო!),
კუთხეში ნავთის
ღუმელი ენთო.
ტყე ივსებოდა
ფიფქების ხვავით.
ბუდეში მარტო
კვდებოდა ყვავი.

ᲟᲘᲠᲐᲤᲘ

ზოოპარკში ვიყავი
(დავიღალე ისე — რა!)
გავიცანი ჟირაფი,
მაღალი გრძელკისერა.

ჩემი ბაღის ამბები
მოვუყევი, იცინა,
მერე თავი ჩაკიდა,
ფეხზე ჩამოიძინა.

ᲠᲕᲐ ᲢᲧᲣᲞᲘ

შინ მესტუმრა ტყაპტყუპით
მე სელაპი რვა ტყუპი.
კი არ ვამბობ შექებით,
სულ არ იყვნენ ცელქები.

ვერ წაუვალ სიცხადეს!
ასე გამომიცხადეს:
— მოგვიდუღე კაკაო,
რომ მოვედით აქაო;

გაანძრიე თითები
და დაგვიცხე ბლითები.
— რადგან დედა გაშიებთ,
მე გაგაძღებთ წამშივე!..

ავუსრულე წადილი,
მოვუმზადე სადილი.
არ მოსვლიათ მათ ჩხუბი,
ისე გაძღა რვა ტყუპი.

პანაწინა მუჭებით
მოიწმინდეს ტუჩები,
და ისევე ტყაპტყუპით
შინ წავიდა რვა ტყუპი.

ᲨᲘᲜ ᲒᲐᲛᲝᲙᲔᲢᲘᲚᲘ

სიცხე მქონდა, წამლების
დალევაც კი დამჭირდა.
შინიდან არ მიშვებენ,
ვიყურები ფანჯრიდან.

ჩემი ტოლი ბავშვების
გარეთ ჟრიამულია.
დახტიან და ანცობენ,
მთელ ეზოს გარს უვლიან.

გაზაფხული იცინის,
აფრქვევს ირგვლივ სინაზეს.
— შენც გამოდი ეზოში,
გაციების ჯინაზე;

შენც იხტუნე ბავშვებთან,
შენც გადადი ყირაზე! -
გაზაფხული მეძახის,
მიკაკუნებს მინაზე.

გაციების გულისთვის
შინ ხუთი დღე დავყავი.
სახლში ჩაკეტილი ვარ,
როგორც მზეთუნახავი.

ᲩᲐᲨᲮᲐᲛᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ

მე ამბავს გიამბობთ
ვარსკვლავთა ცვენაზე,
ტყეში რომ ცვიოდა
ნაცრისფერ სცენაზე.
ჩატარდა მწერების
კონცერტი მაგარი.
ჟღერდა სიმღერები
მართლაც რომ სხვაგვარი.
გაკრული რომ ვნახე
ჯერ მარტო აფიშა,
ისე მომეწონა,
კინაღამ „გამთიშა“.
მამის ნაჩუქარი
გავყიდე ჟილეტი
და ხელზე ვიყიდე
კონცერტის ბილეთი.
ასე რომ, კონცერტი
თავად მაქვს ნახული.
ეს დაუვიწყარი
დღე იყო ზაფხულის.
სინათლის წრეებში
ცეკვავდნენ რწყილები,
თან ღიმილს ჩუქნიდნენ
ერთმანეთს წყვილები.
ტყავის ქურთუკების
გაეხსნათ ღილები,
და გაღეღილები
ყვიროდნენ მღილები.
ტკბილხმიან ბანჯოზე
ბაღლინჯო უკრავდა.
პეპელა კიოდა,
რვაფეხა ბუქნავდა.

ზოლიან ტრუსებში,
მაგარი ტიპები,
დახტოდნენ გიჟურად
სცენაზე ტკიპები.

ბზიკი კი მაკრატლით
კიკინას იჭრიდა,
თან პირში მიკროფონს
კისკისით იჩრიდა.
ბუზი აკორდეონს
წვალებით ქაჩავდა,
თვითონ კი საკრავის
უკნიდან არ ჩანდა.
ჩემი იმედები
გამართლდა, ასრულდა:
ბრწყინვალე კონცერტი
ტაშის კვრით დასრულდა.
სახლში რომ მივედი,
დავკარგე ფერია,
დამეწყო ფხანა და
გული ამერია.
საავადმყოფოში
მგლებმა წამიყვანეს.
ტურებმა ყურებში
რაღაც გამიყარეს.
დამჩხვლიტეს ნემსებით,
მატირეს, მაყვირეს
და მერე ფერებით
შემპირდნენ ნაყინებს.
ვფიქრობდი:
„რომელი
დამისვამს დიაგნოზს?..
ჩემს ავადმყოფობას
ვერვინ რომ მიაგნოს?..“
როცა დიაგნოზის
მაჩვენეს ფურცელი,
შიშისგან ამტკივდა
ყური და მუცელი:
„რადგანაც დაბუდდნენ
შენს თმებში მწერები,
საავადმყოფოდან
ვერ გაეწერები!“
მთელი თვე ვიწექი
და ოფლი მასხამდა.
ვარსკვლავთა კონცერტის
ყურება ჩამშხამდა.

ᲩᲘᲢᲘᲡ ᲑᲐᲠᲢᲧᲘ

წკაპაწკუპით მოდის წვიმა,
ჭყუმპალაობს ბარტყი ტბორში.
დედამ გარეთ გამოუშვა,
რომ მიირთვა ფეტვის ბორშჩი.

ფრთას არ ახლებს კაკანათებს,
იცის, მისი დამჭერია;
არ თამაშობს ფისოებთან,
ბარტყი დედის დამჯერია.

ბატის ჭუჭულს შესიციინებს,
ძია მამალს ესალმება;
ქორის მართვეს თვალს არიდებს,
აღარ ენათესავება.

ბარტყმა უკვე კარგად იცის,
ვინ ციცქნა და ვინ მეტია.
მამით ობლად გამოზრდილი,
დედის დიდი იმედია.

დედის ბარტყი ცუდს არ იზამს,
დედის ბარტყი ჭკვიანია.
არასოდეს მას ბუდეში
ჯერ არ დაუგვიანია.

ᲯᲐᲓᲝᲡᲜᲣᲠᲘ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ

ჩემს ჯადოსნურ ტელეფონზე
ხან ვინ რეკავს, ხან - ვინა.
აი, გუშინ, მაგალითად,
დამირეკა მალვინამ.
შემომჩივლა:
— დამეკარგა
ძმობილი ბურატინო.
თუ ვიპოვე, ისე ვცემ, რომ
ცრემლი უნდა ვადინო.
დამივიწყა ხის ბიჭუნამ,
მეგობრობა ეს არის?..
თქვენთან ვეძებ ბურატინოს,
ამას რას მოვესწარი!..
მერე ვილა „ყიყლიყოდან“,
ერთი დიდი ამბავით,
ერთმა გოგომ დამირეკა...
თუ მიხვდებით, აბა, ვინ?!
დიახ, დიახ, პეპი იყო,
ეფროიმის ასული.
ზუსტად იმ დღეს ჩამოსულა,
ზღვაზე იყო წასული.
მითხრა:
— ტომი
ჯარში არის,
დედა გახდა ანიკა.
მე კი ისევ მარტო ვცხოვრობ,
არ მაწუხებს პანიკა...
რეკავს, რეკავს ტელეფონი,
ვის არ ვუსმენ, ვის არა.
ბევრი ჭორებს მიყვება და
ბევრმაც ბევრი მიშარა.

ზოგი ჩხავის, ზოგი ყმუის,
ზოგიც კიდევ ყიყინებს.
ზოგი გლანდებს უჩივის და
ზოგიერთი — ხიხინებს.
კარლსონი და ვინი პუჰი
დილაობით რეკავენ.
შეკითხვებით მაწუხებენ,
ჩემს ცხოვრებას ქექავენ.
ვეღარც საჭმელს მივირთმევ და
ვეღარც კიდევ — ყავასა.
ხან ჟირაფი დამირეკავს,
ხანაც ცელქი ავაზა.
არ ჩერდება ჯადოსნური
ტელეფონის წკრიალი.
მომენატრა ქუჩა-ქუჩა
უთავბოლოდ წრიალი.
ზღვის პლაჟიდან დღეში ხუთჯერ
რეკავს ურცხვი თოლია;
რეკავს მელა, მეუბნება:
— ტყეში მოუთოვია.
რეკავს სპილო აფრიკიდან
კოქტეილით დამთვრალი.
თავდაყირა დააყენა
ტყუილი და მართალი...
მერე მაჩვმაც დამირეკა,
ვიჩხუბეო მხეცებთან;
დათუნია მოსაკლავად
მონადირეს ეძებდა;
მგელს ბებია კითხულობდა,
წითელქუდა ხის მჭრელებს...
ყველაფერი ამერია,
ფიქრი თვალებს მიჭრელებს.
რეკავს, რეკავს ტელეფონი
გრძლად და გაუთავებლად...
ვერაფრით ვერ მოვახერხე
ნიფხვის გაუთოვება.

ჯვარზე მაცვეს, გამაგიჟეს,
რა დღეში ვარ, ხომ ხვდებით?!
ტელეფონის გადამკიდე
საგიჟეთში მოვხვდები.
თქვენს ტელეფონს თუ გამიცვლით,
აი, ზუსტად ასეთში,
მომაკითხეთ, ჩემს მისამართს
ხვალ ვაქვეყნებ გაზეთში.

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი **ირაკლი ჯავახაძე**
რედაქტორის მოადგილე **უჩა შერაზადიშვილი**
ჟურნალისტი **თამარ ჟურული**

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940
9 772346 794004